ყოველი კომპანია ბაზრის კომპლექსური, დინამიური და ცვალებადი მოთხოვნების წინაშე დგას მწვავე კონკურენციის ფონზე. კომპანიები წარმოადგენენ პროდუქციას, რომელიც არ არის ბევრად განსხვავებული კონკურენტებისგან და ამიტომ ძვირადღირებულ სარეკლამო კამპანიებს ახორციელებენ გაყიდვების სტიმულირებისთვის. ამდენად, ტრანზაქციური მარკეტინგი არის ძვირადღირებული, ხოლო მოგება არის მცირე [123]. სამაგიეროდ, ურთიერთობების მარკეტინგი უფრო ეფექტური საშუალებაა მდგრადი კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად [123; 178]. უფრო მეტიც, ბევრი კომპანია აცნობიერებს, რომ მომხმარებელთა მოლოდინების ზრდა, თანამშრომლების მოთხოვნების ცვლილება, მთავრობის კანონმდებლობა და ზეწოლა, ინვესტორების დაინტერესება სოციალური კრიტერიუმებისადმი ავალებს მარკეტინგს, გასცდეს ორგანიზაციისა და მისი მომხმარებლების ზღვარს [123]. აქედან გამომდინარე, კომპანიები უნდა აკმაყოფილებდნენ როგორც თავიანთი კლიენტების, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეების მოთხოვნებს, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მეშვეობით [123]. სწორედ, ურთიერთობების მარკეტინგი ეხება კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

ურთიერთობებს [123] [143], რომლის დროსაც სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტი გულისხმობს, რომ ორგანიზაცია ითვალისწინებს იმ როლს, რომელსაც მარკეტინგი თამაშობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაში [123].

ტრანსაქციური მარკეტინგიც ხელს უწყობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკას, რაც უკავშირდება კლიენტებს, მომწოდებლებსა და ინვესტორებს. დაინტერესებული მხარეები ამ თვალსაზრისით არიან კომპანიის ეკონომიკური პარტნიორები [123].

როგორც ჩანს, ტრანსაქციური და ურთიერთობის მარკეტინგის კომბინაცია უმნიშვნელოვანესი ელემენტია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისთვის [123].

კვლევები ადასტურებენ, რომ თუ კომპანია ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებს გაითვალისწინებს, შეძლებს შემოსავლის და მოგების ზრდას, რითიც გაზრდის გადარჩენის შესაძლებლობას გრძელვადიან პერსპექტივაში. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კავშირი ფილანტროპიასთან და ეკოლოგიასთან, გავლენას ახდენს ორგანიზაციის ეფექტიანობაზე. ამას გარდა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებში ინვესტირებასა და ორგანიზაციულ მწარმოებლურობას შორის არსებობს დადებითი კავშირები [123].

მარკეტინგს შეუძლია სოციალური პასუხისმგებლობის შექმნისა და განხორციელების მხარდაჭერა, რადგან მარკეტინგის საქმიანობის განსაზღვრული ტიპი დამოკიდებულია სოციალურ საკითხებზე და დაინტერესებულ მხარეებზე [123].

საერთოდ, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა დადებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის წარმატებაზე, რადგან მომხმარებელი მსჯელობს ეთიკურად, რაც, დიდი ალბათობით, მის ყიდვებზე ახდენს გავლენას [180]. მომხმარებლები, დროთა განმავლობაში, გამოხატავენ მოწონებას იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ცდილობენ, ჰქონდეთ პასუხისმგებლობა სხვადასხვა ეთიკური და სოციალური ფაქტორებისადმი ბაზარზე. შესაბამისად, ეთიკური და სოციალური საკითხების გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარკეტეროლოგებისთვის [180].

იმისთვის, რომ მარკეტოლოგები მოქმედებდნენ ეთიკურად და ჰქონდეთ სოციალური პასუხისმგებლობა, უნდა აცნობიერებდნენ მის მნიშვნელობას. აშშ-ში, მარკეტინგის სპეციალისტების ეთიკისა და სოციალური საკითხებისადმი

დამოკიდებულების კვლევამ აჩვენა, რომ ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა მარკეტოლოგებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია ორგანიზაციული ეფექტიანობის მისაღწევად [179]. თუმცა, კულტურათაშორისი განსხვავებებით აიხსნება მარკეტინგის სპეციალისტების განსხვავებული ეთიკური ქცევა და დამოკიდებულებები; აგრეთვე, განსხვავებული შეხედულებები ორგანიზაციულ ეფექტურობაში ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით [180; 23; 78].

ავსტრალიის, მაღაიზიის, სამხრეთ აფრიკის და ამერიკის შეერთებული შტატების მარკეტოლოგები, განსხვავებულად აღიქვამენ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკის მნიშვნელობას ორგანიზაციის წარმატებისთვის ისეთ ასპექტებში, როგორცაა ხარისხი, კომუნიკაცია, მოგება, კონკურენტუნარიანობა, ეფექტიანობა, გადარჩენა და დაინტერესებული ჯგუფების მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ განსხვავებებს განაპირობებს ქვეყნების განსხვავებული კულტურა, ეკონომიკური განვითარება და ლეგალურ-პოლიტიკური გარემო, ორგანიზაციის ეთიკური კლიმატი და გენდერული განსხვავებები [180].

კომპანიის რეპუტაციის შესახებ ემპირიული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ, რაც უფრო მაღალია ფირმის წვლილი სოციალურ კეთილდღეობაში, მით უკეთესია მისი რეპუტაცია. ხელსაყრელი რეპუტაცია კი შესაძლებლობას აძლევს ფირმას, დააწესოს მაღალი ფასები, მიიზიდოს საუკეთესო აპლიკანტები და ინვესტორები, ასევე, ზრდის კომპანიის წვდომას კაპიტალის ბაზარზე [26]. გარდა ამისა, რეპუტაცია, არის რა მჭიდრო კავშირში ბრენდის ცნობადობასთან, ხელს უწყობს ბრენდის დეფერენციაციას და კონკურენტული უპირატესობის მიღწევას [26].

იტალიაში ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ იმის შესახებ, არის თუ არა კავშირი კომპანიის სოციალური ორიენტაციის აღქმასა და მომხმარებელთა განზრახვას შორის, შეიძინონ კომპანიის პროდუქტები, დაადასტურა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოქმნის ნდობას. ხოლო ნდობა გარდაიქმნება მომხმარებელთა განზრახვად, იყიდონ პროდუქტები, ანუ ზრდის ბრენდის ლოიალურობას [158; 41]. ამდენად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება გახდეს ბრენდინგის ინსტრუმენტი, თუკი დაინტერესებულ მხარეებთანაა შეთანხმებული [159].

არსებობს საზოგადო შეთანხმება, რომ გლობალური ბრენდები უნდა ახორციელებდნენ სოციალურ პასუხისმგებლობას, მაგრამ ამისთვის

ორგანიზაციებს უნდა ესმოდეთ, თუ რა არის სოციალური პასუხისმგებლობა და როგორ აუმჯობესებს ეს მათ საქმიანობას [159]. ამასთან, ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ კომპლექსურობის სამი ტიპი: პრობლემა, ორგანიზაცია და კომუნიკაცია, როდესაც ისინი განიხილავენ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ბრენდინგის სტრატეგიას [159].

ბრენდის ღირებულებაზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დადებითი გავლენის მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ კომპანიის ზომას და ბაზრის ეფექტიანობას, ამ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება [138].

ფიჩი (Fitch) კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, როგორც სოციალური პრობლემების გადაჭრის სერიოზულ მცდელობას, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოწვეულია კორპორაციის მიერ. მაგრამ რა არის საუკეთესო ქმედება ფირმისთვის, რომელსაც სურს, გახდეს სოციალურად პასუხისმგებელი? როგორ ადგენენ და განსაზღვრავენ კომპანიები სოციალურ პრობლემას? როგორ ირჩევენ კომპანია, რომელი სოციალური პრობლემის გადაჭრისკენ მიმართოს თავისი რესურსები? [73]. ჩვეულებრივ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება შეიცავს მარკეტინგისა და ადამიანური რესურსების სამსახურებს [139]. არსებობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების რამდენიმე ტიპი, როგორცაა ეკოლოგიური ანუ მწვანე მარკეტინგი [219; 108; 50], ადგილობრივი მოსახლეობის განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კლიენტებისთვის სპეციალური მომსახურება, თანამშრომელთა დივერსიფიკაცია, პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება, მომწოდებელთა წახალისება [128], გულწრფელი საჯარო ინფორმაცია, პერიოდული აუდიტი და ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის [219].

ამას გარდა, დიდი კომპანიები ქმნიან კომიტეტებს, რომლებიც ახორციელებენ სოციალური საკითხებისა და დაინტერესებული მხარეების მენეჯმენტს. მათ ხშირად ეწოდებათ „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის“ ან „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ კომიტეტები. მათ მოვალეობაში შედის შემდეგი საქმიანობები: ეკოლოგიური და თანამშრომელთა დაკავშირებული საკითხები, მომხმარებელთა ურთიერთობა (მაგალითად, მომხმარებელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, პროდუქტები და მომსახურება, რეკლამა), მრავალფეროვნება და თანაბარი შესაძლებლობები, ეთიკური ბიზნესის წარმართვა

(მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტი, სამართლიანი სავაჭრო პრაქტიკა, ანტიმონოპოლია, მომწოდებლებთან ურთიერთობა, საერთაშორისო ბიზნესი), კორპორაციული ფილანტროპია [65; 168].

კომპანია პასუხისმგებელია არა მხოლოდ აქციონერების (მფლობელების) წინაშე, არამედ ყველა იმ დაინტერესებული მხარის მიმართ, რომელთა წვლილიც აუცილებელია კომპანიის წარმატებისთვის [11; 50].

ნელსონი (Nelson) წარმოგიდგენს სამ პრინციპს კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის შესაქმნელად:

1. ძირითადი ბიზნესის ეფექტიანად და ეთიკურად განხორციელება, მაგალითად, ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე გადაწყვეტილებების მიღება, ინვესტირება და დისტრიბუცია ღარიბების წვდომის გათვალისწინებით, ადგილობრივი სამუშაო ადგილების შექმნა, გადასახების გადახდა, ადამიანური რესურსების სოციალური პოლიტიკის განხორციელება და ა.შ.
2. სოციალური კაპიტალდაბანდება და ფილანტროპია, მაგალითად, საზოგადოებისთვის სატრენინგო პროგრამების შეთავაზება, საგანმანათლებლო პროექტები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროექტები და ა.შ.
3. საჯარო პოლიტიკურ დებატებში კოტრიბუცია. მაგალითად, დახმარება კერძო სექტორის განვითარებაში, პროგრესისთვის ხელშეწყობა, ანტიკორუფციული ინიციატივები, ადამიანთა უფლებების დაცვის სტანდარტები და ა.შ. [219; 50; 105].

კომპანიებს, ისევე, როგორც საზოგადოების წევრებს, აქვთ გარკვეული ვალდებულებები [83], რაშიც მოაზრება განსაზღვრული წესების დაცვა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ადამიანთა გამოცდილების, ტრადიციებისა და აზროვნების შედეგად. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დროთა განმავლობაში და ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, სხვადასხვა სოციალური ქვესისტემებისადმი მოლოდინები იცვლება [120]. ადამიანები ელოდებიან ბიზნესისგან უფრო მეტს დღეს, ვიდრე 20 ან 30 წლის წინ.

კომპანიების პასუხისმგებლობას საზოგადოებისადმი ლეისინჯერი (Leisinger) ყოფს სამ კატეგორიად: რისი გაკეთების ვალდებულება აქვთ კომპანიებს, რისი გაკეთება არის *სახურველი* და რისი გაკეთება *შეუძლიათ* [120].

1. საზოგადოების მიერ ბიზნესისადმი მოთხოვნა – სოციალური პასუხისმგებლობის კატეგორია „უნდა გააკეთო“, როგორცაა, მაგალითად, პროდუქტებისა და მომსახურების კარგი ხარისხით და სამართლიან ფასად მიწოდება, კანონებისა და რეგულაციებისადმი მორჩილება, მართებული სამუშაო პირობების შექმნა და რიგიანი ხელფასების გადახდა თანამშრომლებისთვის, მოგების მიღება და გონივრული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება [120].
2. საზოგადოების მიერ ბიზნესისადმი მოლოდინი – სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტი „სასურველია, რომ გააკეთო“ მოიცავს ისეთ ვალდებულებებს, როგორცაა საექვო საქმიანობების თავიდან აცილება, სამართლიანობა და პასუხისმგებლობა დაინტერესებული მხარეების მიმართ. ეს აღემატება საკანონმდებლო ჩარჩოებს და უკავშირდება მაღალი სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვას [120].
3. საზოგადოების მიერ ბიზნესისადმი თხოვნა – სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტი „შეიძლება, გააკეთო“, რომლის შესრულებაც იმსახურებს შექმნას საზოგადოებისგან. ეს ასპექტი შეიცავს კორპორაციულ ფილანტროპიას [120].

მაშინ, როდესაც ინდივიდუალური აქტორები – მთავრობები, დონორები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორი – შეიძლება იყოს ეფექტური და ეფექტიანი თავისი კონკრეტული მიზნების მიღწევაში, არც ერთ მათგანს, ცალკე აღებულს, არ შეუძლია გადაჭრას ყველა პრობლემა. სხვადასხვა აქტორებს ამოძრავებთ განსხვავებული მოტივაცია და აქვთ განსხვავებული კონცეფციები, უნარები, ტექნიკა, გამოცდილება და რესურსები. ამიტომ მათი თანამშრომლობის შედეგად მიღწეული სინერგია ბევრად ეფექტურია. განსხვავებული ბიოგრაფიებისა და გამოცდილების წყალობით, განსხვავებულ აქტორებს შეუძლიათ, გააანალიზონ პრობლემა და მისი გადაჭრის გზები სხვადასხვა კუთხით. მათ შორის კოლაბორაცია და კოორდინაცია ქმნის სინერგიას და უზრუნველყოფს ისეთ გადაწყვეტილებებს, რისი მიღწევაც მხოლოდ ერთი რომელიმე ცალკეული აქტორისთვის შეუძლებელია [120; 165].

სოციალური პასუხისმგებლობა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება კონკურენტული წარმატებისთვის. პორტერისა და კრამერის (Porter & Kramer) თანახმად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები პრაქტიკაში რომ განახორციელოს, კომპანიამ უნდა გააერთიანოს სოციალური

პერსპექტივები იმ ძირითად პრინციპებში, რასაც ის უკვე იყენებს, რათა შეისწავლოს კონკურენცია და უხელმძღვანელოს თავის ბიზნეს სტრატეგიას [160]. სოციალური პასუხისმგებლობის გაგება, როგორც საერთო ღირებულებების შექმნისა და არა როგორც უბრალოდ ზიანის კონტროლი ან პიარ კამპანია, მოითხოვს ბიზნესის მკვეთრად განსხვავებულ აზროვნებას [160].

კორპორაციები პასუხისმგებელი არ არიან მთელი მსოფლიოს პრობლემებზე და არც საკმარისი რესურსები აქვთ ყველა მათგანის გადასაჭრელად. თითოეულმა კომპანიამ უნდა განსაზღვროს სოციალური პრობლემების კონკრეტული ჯგუფი, რომლის გადაჭრაც შეუძლია და რისი გადაჭრითაც მიაღწევს კონკურენტულ უპირატესობას.

პორტერისა და კრამერის აზრით, კომპანიამ უნდა დაადგინოს გადაკვეთის წერტილები კომპანიის მიზნებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის – რა გავლენას ახდენს ბიზნესი საზოგადოებაზე და პირიქით, საზოგადოებრივი ვითარება – ბიზნესზე. შემდეგ, კომპანიამ უნდა განსაზღვროს სოციალური პრობლემების პრიორიტეტები და შეარჩიოს ის სოციალური პრობლემა, რომლის გადაჭრისკენ მიაპყრობს ყურადღებას და რომელიც წარმოადგენს ერთობლივი ღირებულებების შექმნის შესაძლებლობას. კომპანიებმა არ უნდა სცადონ, მოაგვარონ ყველა სოციალური პრობლემა. მათ უნდა შექმნან კორპორაციული სოციალური განრიგი – შეისწავლონ მოლოდინები, რათა მიაღწიონ სოციალურ და ეკონომიკურ უპირატესობებს [160; 157].

თითოეულმა კომპანიამ უნდა დაახარისხოს თავისი ქმედებები სამ კატეგორიაში პოტენციური გავლენის მიხედვით. (1) ზოგადი სოციალური პრობლემები შეიძლება მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, მაგრამ არ აქვს არსებითი გავლენა ორგანიზაციის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობაზე. (2) ღირებულების ჯაჭვის სოციალური გავლენები - რომლებზეც კომპანია მნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას თავისი ქმედებებით ბიზნესის ნორმალური მსვლელობისას. (3) კომპეტენტური კონტექსტის სოციალური ასპექტები - ფაქტორები გარე სამყაროში, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ კონკურენტულობის სტიმულებზე იმ ადგილებში, სადაც კომპანია ოპერირებს [160].

პორტერისა და კრამერის თანახმად, ბიზნესს აქვს მორალური მიზანი. სამსახურების შექმნით, კაპიტალდაბანდებებით, საქონლის შესყიდვებითა და ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობებით, კორპორაციებს აბსოლუტურად დადებითი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე. უმნიშვნელოვანესი რამ, რისი გაკეთებაც

კორპორაციას შეუძლია საზოგადოებისთვის და ნებისმიერი ადგილობრივი მოსახლეობისთვის, არის მისი წვლილი ეკონომიკის წარმატებაში. მთავრობებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად ავიწყდებათ ეს ფუნდამენტური ჭეშმარიტება. როდესაც განვითარებადი ქვეყნები არღვევენ პრინციპებს და ამცირებენ სტიმულებს ბიზნესისთვის, მაგალითად, პროდუქტიულ კომპანიებს აჯარიმებენ. ასეთი ქვეყნები განწირულნი არიან სიღარიბისთვის, დაბალი ხელფასებისა და თავისი ბუნებრივი რესურსების დიდი ფასდაკლებებით გაყიდვისთვის. კორპორაციებს აქვთ ნოუჰაუ და რესურსები, რომ შეცვალონ ეს მდგომარეობა არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში, არამედ ეკონომიკურად არახელსაყრელ პირობებში მყოფი ადგილობრივი საზოგადოებებისთვის პროგრესულ ქვეყნებშიც [160].

2007 წელს ბიზნესმენებმა მსოფლიოში განახორციელეს არაერთი ინიციატივა, დაკავშირებული სოციალურ პასუხისმგებლობასთან, მათ შორისაა: პერსონალის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება, სამუშაო გამოცდილების მიწოდება/ შეგირდობა, ქველმოქმედება, სამსახურში თანასწორობისა და მრავალფეროვნების მხარდაჭერა, მოქნილი სამუშაო გრაფიკის ნების დართვა, ნარჩენების მენეჯმენტის გაუმჯობესება, ენერჯის ეფექტიანობის გაუმჯობესება, საზოგადოებრივ საქმიანობებში მონაწილეობა, პროდუქციის/ მომსახურების შეცვლა, სხვა ბიზნესისადმი დახმარება მწარმოებლურობის გასაუმჯობესებლად [83; 215; 195; 191; 145].

კომპანიების უმეტესობას აქვს ფორმალური სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები, რომლებიც გაწერილია დოკუმენტებში ან სტრატეგიაში [83].

ამგვარად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა აღარ არის მხოლოდ დიდი კორპორაციების კუთვნილება და უკვე არის არა არჩევანი, არამედ აუცილებლობა. კერძო ბიზნესი, რომელიც ითვისებს ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას სწრაფად და ეფექტიანად, გადარჩება. ხოლო ისინი, ვინც ვერ ახერხებენ იმოქმედონ დღეს, აღმოჩნდებიან გაურკვეველი მომავლის პირისპირ [83]. ამასთან, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება არ უნდა ტრიალებდეს მხოლოდ ბრენდინგის ირგვლივ. უფრო მეტიც, ეს არ უნდა იყოს მოგების მაქსიმალურად ზრდის სტრატეგია, მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფცია გაგებულა, როგორც მარკეტინგის ფუნდამენტური ასპექტი. კომპანიების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკურ, ლეგალურ და სოციალურ პასუხისმგებლობას [139].

1.4. სოციალური პასუხისმგებლობის გლობალური სტანდარტების გავლენა მარკეტინგულ საქმიანობაზე

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არაერთი წამოწყებაა ინიცირებული, რომელიც ვალდებულებებს აკისრებს კომპანიებს, ნებაყოფლობით დაიცვან უფრო მაღალი სტანდარტები თავიანთ ბიზნეს საქმიანობაში [69]. ეს სტანდარტები გავლენას ახდენენ კომპანიის მარკეტინგზე, ვინაიდან უკავშირდება ეკოლოგიურ,

სოციალურ, ადამიანთა უფლებების, ეთიკურ საკითხებს.

გლობალური ეკოლოგიური ინტერესების დასაცავად, გაერომ 2000 წელს, გენერალური მდივნის, კოფი ანანის თაოსნობით, დაიწყო „გლობალ კომპაქტის“⁶ ინიციატივა, რომლის მიზანია, ბიზნესთან პარტნიორული ურთიერთობების შედეგად, სოციალური და ეკოლოგიური გაუმჯობესების მიღწევა მსოფლიო მასშტაბით [87; 183]. 2000 - 2011 წლებში დაახლოებით 8000-მა კომპანიამ დადო პირობა, რომ დაიცავდნენ გლობალ კომპაქტის⁷ პრინციპებს და ყოველწლიურ ანგარიშებს წარმოადგენდნენ მათი განხორციელების შესახებ [87; 125; 19; 200]. კომპანიები დაეთანხმნენ ინიციატივას, რომ ნებაყოფლობით დაიცვან ადამიანთა უფლებები, სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტები და ებრძოლონ კორუფციას თავიანთი გავლენის სფეროში მთლიანად [172]. „გლობალ კომპაქტი“ წარმოადგენს კულტურათაშორის ეთიკურ პრაქტიკას ბიზნესისთვის, რომელიც მზადაა დაიცვას პრინციპები ოთხ მთავარ სფეროში: ადამიანთა უფლებები, შრომითი სტანდარტები, გარემო, ანტი-კორუფცია [83; 154].

1990 წელს გაეროს კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა ეკოლოგიასა და მდგრად განვითარებას, დაარსდა მსოფლიო ბიზნეს საბჭო მდგრადი განვითარებისთვის. მისი მიზანია ეკოლოგიური მენეჯმენტის მაღალი სტანდარტების ხელშეწყობა და ამ სფეროში ფირმებს, მთავრობებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა [139].

⁶ www.unglobalcompact.org

⁷ გლობალ კომპაქტის მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება გაეროს პრინციპებს ადამიანთა უფლებების, შრომის კოდექსის, გარემოსა და მართვის შესახებ. ამ მოდელმა რამდენიმე გაზომვადი ინდიკატორი დანერგა. რანჟირების ნახვა შესაძლებელია: <http://i-ratings.innovestgroup.com>

ამ ინიციატივების ფარგლებში, ფირმები ნებაყოფლობით ცდილობენ, დანერგონ მდგრადი განვითარების პრინციპები და დგამენ კონკრეტულ ნაბიჯებს [204]. ეს ნაბიჯებია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ანალიზი, რაც ნიშნავს ყველა მონაცემის შეგროვებას, რომელიც შეეხება პროდუქტის ეკოლოგიურ ზეგავლენას და მისი მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას ყველა ეტაპზე [139]. შედეგად კი, მიიღწევა კონკურენტული უპირატესობა ხარჯების დაზოგვის სხვადასხვა ფორმით, როგორცაა, მაგალითად, პროდუქციის დიფერენცირება, ტექნოლოგიური ინოვაცია და სტრატეგიული დაგეგმარება [74; 139].

1988 წლიდან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის მალკომ ბალდრიჯის ხარისხის მენეჯმენტის⁸ კრიტერიუმის ელემენტიც [77]. ვინაიდან ბალდრიჯის ჯილდოს⁹ აძლევენ ბიზნესს ხარისხის მენეჯმენტისთვის და მწარმოებლურობის სრულყოფილებისთვის, ბალდრიჯის კრიტერიუმი¹⁰ არაპირდაპირი მტკიცებაა იმისა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა იწვევს ორგანიზაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებას [77].

დოუ ჯონსის (Dow Jones) განმარტებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის „ბიზნესის პრინციპი, გრძელვადიან პერსპექტივაში შექმნას აქციონერული ღირებულება“ [58]. იმისთვის, რომ ფირმები გახდნენ დოუ ჯონსის მდგრადი განვითარების ინდექსის¹¹ წევრები, მათ აფასებენ შესაძლებლობების და რისკების მიხედვით, რაც უკავშირდება ეკონომიკის, ეკოლოგიის და სოციალურ ასპექტებს [27].

შემუშავდა არაერთი ზოგადი პრინციპი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ კორპორაციებმა მსოფლიოში. ყველა ეს სტანდარტი გლობალური კომპანიებისთვის არის ჰიპერ-ნორმები და მიმართულია იქითკენ, რომ ნებაყოფლობით მოხდეს შეგნებული, პასუხისმგებლობის მქონე ქცევის დაცვა [204; 68; 161]. ვერჰანის (Werhane) თანახმად, ამ პრინციპების თითოეული ჯგუფი უკავშირდება იმასა, რასაც ადამ სმიტი წერდა 230-ზე მეტი წლის წინ, რომ ეთიკა და ეკონომიკა (და

⁸ Malcolm Baldrige for performance excellence

⁹ Baldrige Award

¹⁰ Baldrige Criteria

¹¹ Dow Jones Sustainability Index (DJSI) - დოუ ჯონსის მდგრადი განვითარების ინდექსი, 1999 წ.-დან, პირველი მდგრადობის გასაზომი ინსტრუმენტი მსოფლიოში, ზომავს გრძელვადიან მწარმოებლურობას, აქვს ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი საზომები, არ შეიცავს განსაზღვრულ სექტორს, როგორცაა ფირმები, რომლებიც იღებენ მოგებას: ალკოჰოლის ბიზნესი, თამბაქოს ბიზნესი, სათამაშო ბიზნესი, იარაღის ბიზნესი, გართობის ბიზნესი [27].

პოლიტიკაც) გადაჯაჭვულია; მათი დაყოფა სარისკოა. ეს ბოლოდროინდელმა ფინანსურმა კრიზისმაც აჩვენა [204].

ის კომპანიები კი, რომლებიც მისდევენ გლობალური სოციალური პასუხისმგებლობის მეთოდს, ქმნიან უნივერსალურ ქცევის კოდექსებს და იყენებენ მათ ყველა კულტურულ კონტექსტში, სადაც მათი ბიზნესი ოპერირებს [8].

ამგვარად, მარკეტოლოგები ითვალისწინებენ აღნიშნულ კოდექსებს, სტანდარტებს და ქცევის ნორმებს მარკეტინგული სტრატეგიების დაგეგმვის თუ მარკეტინგული კამპანიების განხორციელების დროს.

1.5. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის თავისებურებები

1.5.1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მარკეტინგის კონტექსტში


კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გავლენას ახდენს კომპანიის სტრატეგიასა და ქცევაზე მთელ მსოფლიოში. თუმცა, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა კავშირებს სოციალურ პასუხისმგებლობასა და სტრატეგიულ მარკეტინგს შორის. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შედეგი არის კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გაუმჯობესება. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სასურველი ეფექტის მიღწევა რთულია და არსებობს ბარიერები მისი წარმატებული განხორციელებისთვის [157].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მომხრეები თვლიან, რომ სულ უფრო მზარდ ეკონომიკაში, სადაც კონკურენცია გახდა მძვინვარე და ტრადიციული განმასხვავებელი ფაქტორები ფირმებს შორის არის მოძველების ზღვარზე, წარმატებული ფირმები იქნებიან ისინი, რომლებიც შეძლებენ უპასუხონ დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს, რა მოთხოვნებიც არ უნდა იყოს ისინი [56; 95; 182; 96].

თითოეული კომპანია ფუნქციონირებს განსაზღვრულ სოციო-ეკონომიკურ გარემოში ამა თუ იმ დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებით [113; 144].

კლასიკური განსაზღვრების თანახმად, დაინტერესებული მხარეები არიან „ნებისმიერი ჯგუფი ან ინდივიდი, რომელიც ახდენს გავლენას ან განიცდის ზეგავლენას კორპორაციული მიზნების მიღწევის შედეგად“ [189] (იხ. სქემა 4).

სქემა 4. კომპანიის დაინტერესებული მხარეები



წყარო: Коновалова, Корсаков и Якимец, 2003: 53.

მთავარი დაინტერესებული მხარეები არიან ინდივიდები, ორგანიზაციები და ადგილობრივი საზოგადოება, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ კომპანიის საქმიანობასთან [128; 113] და რომელთა მუდმივი მონაწილეობის გარეშეც კორპორაცია ვერ გადარჩება [36].

ხოლო არაპირდაპირი დაინტერესებული მხარეები არიან ინდივიდები და ორგანიზაციები, რომლებსაც ირიბი კავშირები აქვთ კომპანიის საქმიანობასთან. ისინი გავლენას ახდენენ კორპორაციაზე ან განიცდიან მისი საქმიანობების ზეგავლენას, მაგრამ არ არიან არსებითები კომპანიის გადარჩენისთვის [36]. მათ რიცხვში შედის სახელმწიფო მართვის ორგანოები, არაკომერციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, აქტივისტები, კონკურენტები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები [113; 128].

რადგანაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება არ ხდება ვაკუუმში, არამედ ასეთი ინიციატივები ხორციელდება განსაზღვრულ

სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში, სადაც განსხვავებული აქტორები იღწვიან თავიანთი ინტერესებისთვის, ამიტომ ანალიზი ორიენტირებული უნდა იყოს კონტექსტზე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროცესებზე და დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობაზე [96].

კვლევები ადასტურებენ, რომ მარკეტინგის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის დიზაინსა და განხორციელებაში. კორპორაციულმა სოციალურმა პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები; ორგანიზაცია უნდა უსმენდეს და პასუხობდეს დაინტერესებულ ჯგუფებს, რომლებიც ქმნიან ორგანიზაციულ ურთიერთობებს [123]. ამასთან, ორგანიზაციამ თავიდან უნდა აიცილოს ვარაუდები, რადგან გამოცდილი მენეჯერებისთვისაც კი სარისკოა ვარაუდი იმის შესახებ, თუ რა არის დაინტერესებული მხარეებისთვის უკეთესი. კომპანიებს უნდა ესმოდეთ ბიზნესის რეალური მდგომარეობა დაინტერესებული მხარეების თვალთახედვით, რაც მოითხოვს იმის ცოდნას, თუ როგორ აღიქვამენ დაინტერესებული მხარეები ბიზნესს [123].

ტრადიციული მარკეტინგის 3C¹² სტრუქტურას - კომპანია, კლიენტი, კონკურენცია, ემატება მეოთხე - საზოგადოება¹³, როგორც მთავარი დაინტერესებული მხარე. ეს მოსაზრება გამოდახილს კპოვებს სტერეოტიპად ქცეული 4P¹⁴ - პროდუქტი, ფასი, სტიმულირება და ადგილი, ტაქტიკურ სტრუქტურაში. მეცნიერთა მტკიცებით, ეს სტრუქტურა უნდა შეიცავდეს ხალხს, პარტნიორებს და პლანეტას¹⁵ [21; 140; 164; 197].

სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია კომუნიკაციას [9; 200]. კომპანიებისთვის არა მარტო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა არის მნიშვნელოვანი, არამედ ამ საქმიანობების შესახებ საზოგადოებისთვის ანგარიშის წარდგენაც [52; 216; 2; 79; 47; 1]. ვალერისა და ლანის (Waller & Lanis) თანახმად, ყოველწლიური კორპორაციული ანგარიში უფრო მეტად სავალდებულო გახდა, ვიდრე ფინანსური ანგარიში საჯარო კომპანიებისთვის. ბევრი კომპანია კი მას, ასევე, იყენებს, როგორც მნიშვნელოვან მარკეტინგულ ინსტრუმენტს [201].

¹² company, customer, and competition

¹³ community

¹⁴ product, price, promotion, and place

¹⁵ people, partners, and the planet

სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები მზარდი ინტერესის საგანია ბიზნეს სამყაროში. ბევრი კომპანია ყოველწლიურ ანგარიშებში ნებაყოფლობით ააშკარავენ ინფორმაციას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობებთან შესახებ [201]. თითოეული დაინტერესებული მხარისთვის მზადდება ცალკე რეპორტი მათი ინტერესების გათვალისწინებით [189]. როცა, მაგალითად, აკრიტიკებენ რეკლამის ეთიკურ ღირებულებებს [176], ზოგიერთი სარეკლამო სააგენტო იყენებს სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციას, რათა წარმოაჩინოს სააგენტოს ბიზნეს საქმიანობის პოზიტიური მხარე [201].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რეპორტინგი, როგორც კორპორაციული კომუნიკაციის სტრატეგიის ნაწილი, ასრულებს რამდენიმე როლს: (ა) მიაწოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს კომპანიის განზრახვების შესახებ, რათა გაზარდოს მისი სოციალური ეფექტურობა; (ბ) გავლენა მოახდინოს დაინტერესებული მხარეების აღქმაზე კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებით; (გ) ყურადღება გადაიტანოს ნეგატიური მოვლენებიდან პოზიტიური ქმედებების გამოკვეთის გზით; (დ) სცადოს გავლენა იქონიოს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებზე კორპორაციულ ქცევასთან დაკავშირებით [52].


პორტერისა და კრამერის თანახმად, 250 უდიდესი მულტინაციონალური კომპანიიდან 64%-მა გამოაქვეყნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რეპორტი 2005 წელს ან როგორც ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი ანდა როგორც ცალკე მდგრადობის ანგარიში [160]. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშების ინსტრუმენტია კომპანიების ვებგვერდები. კორპორაციული ვებსაიტები წარმოიშვნენ, როგორც საკომუნიკაციო ინსტრუმენტები სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისთვის გზავნილების გადასაცემად. ვებსაიტი გამოიყენება, როგორც ინფორმაციის გაზიარების საშუალება [118].

ინტერნეტში კორპორაციული თვით-წარდგენის შესახებ შედარებითი კვლევისას, მეიამ და როულსტანმა (Maignan & Ralston) აღმოაჩინეს, რომ აშშ კომპანიების 53% იხსენიებს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას კომპანიის ვებსაიტზე იმ დროს, როცა მხოლოდ 29% ფრანგული და 25% დანიური კომპანიებისა აკეთებს იგივეს [132].

როგორც მარკეტინგული, ასევე მეცნიერული კვლევები გვიჩვენებს, რომ ძირითადი დაინტერესებული მხარეები, როგორცაა, მომხმარებლები,

თანამშრომლები და ინვესტორები სულ უფრო და უფრო მოქმედებენ ისე, რომ დააჯილდოვონ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კორპორაციები და დასაჯონ უპასუხისმგებლოები [59; 81]. თუმცა, მთავარი გამოწვევა, სოციალური პასუხისმგებლობის ეფექტური კომუნიკაციური სტრატეგიის დაგეგმვაში, არის დაინტერესებული მხარეების სკეპტიციზმის შემცირება [59]. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მკვლევარები წარმოგიდგინებენ სოციალური პასუხისმგებლობის კომუნიკაციის სტრუქტურას [59] (იხ. სქემა 5).

სქემა 5. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კომუნიკაციის სტრუქტურა



წყარო: Du et al., 2010: 11.

დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ რომელი პრობლემა გადაჭრას კომპანიამ ან რომელ არამომგებიან ორგანიზაციას დაეხმაროს, ზრდის მათ მხარდაჭერას და აუმჯობესებს სოციალური პასუხისმგებლობის კომუნიკაციას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სანამ დაიწყებს სოციალური ინიციატივების განხორციელებას, კომპანიამ მარკეტინგული კვლევა ჩაატაროს, რათა შეაფასოს დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა ამა თუ იმ სოციალური საკითხის მოგვარებისადმი და იმ სოციალური ინიციატივების

განხორცილება დაიწყო, რომელიც მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეებისთვის [59].

მარკეტინგის დისციპლინა არ არის სტატიკური, არამედ განიხილება, როგორც „ცოცხალი ორგანიზმი“, რომელიც ქმნის და იყენებს ახალ კონცეფციებს, თეორიებსა და მეთოდებს, რათა გავლენა მოახდინოს ფირმის ქმედებებზე [196].

მარკეტინგის დეფინიცია და მნიშვნელობა შეიცვალა დროთა განმავლობაში, თუმცა უცვლელი დარჩა ის ფაქტი, რომ მარკეტინგი არის სოციალური დისციპლინა, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ, სოციალურ კონტექსტში [196].

მარკეტინგის მასწავლებელთა ეროვნულმა ასოციაციამ¹⁶, რომელიც არის ამერიკის მარკეტინგის ასოციაციის¹⁷ წინაპარი, მარკეტინგის პირველი ოფიციალური განსაზღვრება 1935 წელს გამოაქვეყნა. ეს განსაზღვრება გადააკეთა ამერიკის მარკეტინგის ასოციაციამ 1948 წელს, ხოლო 1960 წელს კვლავ გადახედა, მაგრამ გადაწყვიტა, არ შეეცვალა იგი. თავდაპირველი დეფინიცია გადასწორდა მხოლოდ 50 წლის შემდეგ, 1985 წელს შემდეგნაირად: „მარკეტინგი არის საქონელთან, იდეებთან და მომსახურებებთან დაკავშირებული კონცეფციების, ფასის, სტიმულირებისა და გავრცელების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი, რათა მოხდეს გაცვლა-გამოცვლა, რომელიც დააკმაყოფილებს ინდივიდისა და ორგანიზაციის მიზნებს“. ეს განსაზღვრება განიხილავს მარკეტინგს, როგორც პროდუქტის მიმწოდებელსა და მიმღებს შორის გარიგებას, რომლის დროსაც მიმწოდებელი აკმაყოფილებს მიმღების მოთხოვნილებას და სამაგიეროდ ღებულობს გარკვეულ ანაზღაურებას ამისთვის [196]. 2004 წელს წარმოდგენილი კიდევ ერთხელ შეცვლილი დეფინიციის მიხედვით, „მარკეტინგი არის ორგანიზაციული ფუნქცია და პროცესების თანმიმდევრობა კლიენტებისთვის ღირებულების შექმნის, კომუნიკაციისა და მიწოდებისთვის და კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯმენტისთვის იმგვარად, რომ ორგანიზაცია და მისი დაინტერესებული მხარეები სარგებელს ღებულობდნენ“ [196]. ახალი დეფინიცია ხაზს უსვამს ღირებულებას კლიენტებისთვის და პირველ პლანზე წამოწევს მარკეტინგის კლიენტზე ორიენტირებულობას. ამგვარად ორელემენტია პერსპექტივამ – ორგანიზაცია და ინდივიდი, გადაინაცვლა სამელემენტო

¹⁶ National Association of Marketing Teachers

¹⁷ American Marketing Association - AMA

პერსპექტივისკენ – ორგანიზაცია, კლიენტები და სხვა გარეშე დაინტერესებული მხარეები [196].

მაგრამ მარკეტინგის მეცნიერებაში, კვლავ არ არსებობს ნათელი განსაზღვრება, თუ რა არის მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობა [29; 196]. ეს კი წარმოქმნის სირთულეებს მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის კვლევისას, რაც მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. არადა, სტრატეგიული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მარკეტინგის კონტექსტში განსაკუთრებით მართებულია, რადგან ორიენტირებულია კომპანიის სარგებელზე დაინტერესებულ ჯგუფებთან, როგორცაა, მაგალითად, კლიენტები, ურთიერთობების მეშვეობით [196; 90].

1.5.2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლი მარკეტინგულ სტრატეგიაში

მკვლევარები განიხილავენ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც ოპტიმალურ მენეჯერულ ინსტრუმენტს პოზიციონირებისა და სტიმულირებისთვის და აღნიშნავენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლს ეფექტურ კორპორაციულ მარკეტინგში [93].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დეფინიცია მარკეტინგის კონტექსტში წარმოდგენილია როგორც ეკოლოგიური, ეთიკური და სოციალური მოვლენებით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მენეჯმენტი, რათა შეიქმნას კორპორაციული სარგებელი [196].

მარკეტინგთან დაკავშირებული არაერთი კონცეფცია იკვეთება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტთან, როგორცაა, მაგალითად, სოციალური მარკეტინგი, მიზეზთან დაკავშირებული მარკეტინგი, ეკოლოგიური მარკეტინგი, ცხოვრების ხარისხი, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ყიდვა და მდგრადი მოხმარება [196].

მკვლევარებმა შეისწავლეს მარკეტინგის უურნალებიდან სტატიები, რომლებიც ეხებოდა კორპორაციულ სოციალურ მარკეტინგს და გააანალიზეს, თუ როგორ ხედავს მარკეტინგის ლიტერატურა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას. მიმოხილვაში მათ გამოიყენეს მხოლოდ შეერთებული შტატებისა და ევროპის მარკეტინგის ინგლისურენოვანი უურნალები, რომელთა გამოცემის დროის

დიაპაზონი მოიცავდა 1995 – 2005 წლებს [196]. ანალიზისას გამოიკვეთა სამი თემატური კატეგორია: ეთიკური, ეკოლოგიური და სოციალური. ეთიკა დომინირებს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში შიდა ორგანიზაციულ დონეზე. ამავდროულად, სამივე კატეგორია მნიშვნელოვანია ფირმასა და მის დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობისას და აგრეთვე, ფირმის ურთიერთობისას მთელს საზოგადოებასთან [196].

კორპორაციული მარკეტინგი არის სტრატეგიული პერსპექტივა, რომელიც ხელმძღვანელობს კომპანიის მოსაზრებებსა და ქმედებს, რომლის ცენტრიცაა ფუნდამენტური კითხვა: „შეგვიძლია თუ არა, რომ გვქონდეს მნიშვნელოვანი, პოზიტიური და სასარგებლო ორმხრივი მიმდინარე (გრძელვადიანი) ურთიერთობები კლიენტებთან, სხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან და საზოგადოებასთან?“ [93]. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ მოგების მაქსიმიზაცია კი არ არის მთავარი, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ბიზნესის გადარჩენა და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამიტომ საჭიროა ამჟამინდელი დაინტერესებული მხარეებისა და სოციალური საჭიროებების დაბალანსება მომავლის საჭიროებებთან. კორპორაციული მარკეტინგის ამგვარი კონცეპტუალიზაციის კავშირი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოტივაციასა და მიზნებთან აშკარაა [93].

კორპორაციული მარკეტინგის შემადგენელი ელემენტების ფილოსოფია გადმოცემულია 6C -ის მეშვეობით¹⁸: ხასიათი - რაც ჩვენ უეჭველად ვართ; კულტურა – რასაც შევიგრძნობთ, რომ ვართ; კონცეპტუალიზაცია – როგორსაც გვხედავენ; შეთანხმება – რაც დაპირებული და მოსალოდნელია; კლიენტურა – ვის მომსახურებასაც ვცდილობთ; კომუნიკაცია – რასაც ვამბობთ, რომ ვართ [93].

ამგვარად, კორპორაციული მარკეტინგის ხედვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სვამს ორ ფუნდამენტურ კითხვას: (1) როგორ შეგვიძლია უკეთესად გავიგოთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიის სხვადასხვა მახასიათებლების თვალსაზრისით? (2) რას აკეთებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა დაინტერესებული ჯგუფებისთვის და როგორ რეაგირებს ეს უკანასკნელი პირველზე? [93].

წარმატებული მარკეტინგული სტრატეგია ყოველთვის როდი უკავშირდებოდა ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებისა და საჭიროებების

¹⁸ 6C – Character, Culture, Conceptualizations, Covenant, Constituencies, Communication.

დაკმაყოფილებას [128], არამედ კომპანიები მხოლოდ კლიენტებზე იყენებენ ორიენტირებულნი. ყველა დაინტერესებულ მხარეზე ორიენტირებულობა კი ნიშნავს, რომ მარკეტინგი გამოდის ტრადიციული ჩარჩოებიდან (ბაზრები, კონკურენტები და არხის წევრები), რათა შეისწავლოს და მიმართოს მცდელობები ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ [128].

მარკეტინგში სოციალური პასუხისმგებლობის განსახორციელებლად არსებობს მეთოდოლოგია, რომელიც შედგება რვა ეტაპისაგან.

1) *ორგანიზაციული ღირებულებებისა და ნორმების აღმოჩენა*: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ღირებულებებს, ნორმებსა და მისიას. არსებული ღირებულებები და ნორმები ისინია, რომლებიც განსაზღვრავენ დაინტერესებულ ჯგუფებს და დაინტერესებული მხარეებისთვის საინტერესო საკითხებს და რასაც ორგანიზაცია მიიჩნევს უმნიშვნელოვანესად [128].

2) *დაინტერესებული მხარეების დადგენა*: ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების საჭიროებების, სურვილებისა და მოთხოვნების გამოცნობა. კომპანია დამოკიდებულია დაინტერესებული მხარეების რესურსებზე და პირიქით, ორგანიზაციის წარმატებაზეა დამოკიდებული დაინტერესებული მხარეების კეთილდღეობა [128].

3) *დაინტერესებული მხარეებისთვის საინტერესო საკითხების დადგენა*: ეს ეტაპი მოიცავს იმის გამოკვლევას, თუ რომელი პრობლემა აინტერესებს კომპანიის სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფს ყველაზე მეტად, რაზეც ორგანიზაციამ უნდა გაამახვილოს ყურადღება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების ფარგლებში [128].

4) *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის შეფასება*: ამ ეტაპზე პირველი სამი ეტაპი ერთიანდება, რათა დადგინდეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონკრეტული განსაზღვრება, რომელიც განსაკუთრებით შეესაბამება ორგანიზაციის ინტერესებს. ეს ზოგადი დეფინიცია გამოიყენება მიმდინარე პრაქტიკის შესაფასებლად და სოციალური პასუხისმგებლობის კონკრეტული ინიციატივების შესარჩევად. ფუნქციური სფეროები, როგორცაა, მაგალითად, მარკეტინგი, იყენებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობების იმ განსაზღვრებას, რომელიც დაინტერესებული მხარეების ინტერესებს შეეფერება [128].

5) *მიმდინარე საქმიანობის რევიზია*: სოციალური რევიზია არის ბიზნესის ეფექტიანობისა და სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისა და რეპორტირების პროცესი. თუმცა, კონტროლის განხორციელება შეუძლებელია მიღწეული სოციალური მიზნების გაზომვის ღონისძიებების გარეშე. სოციალური პასუხისმგებლობის აუდიტის ორი მთავარი კითხვაა: რას იყენებს ორგანიზაცია დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახორციელებლად და რომელ საქმიანობებს სჭირდება გაუმჯობესება [128].

6) *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების განხორციელება*: ეს პროცესი იწყება იმ პრობლემებისთვის პრიორიტეტების მინიჭებით, რომლებიც გამოიკვეთა მეხუთე ეტაპზე. აქ აღსანიშნავია ორი ძირითადი კრიტერიუმი: ორგანიზაციის ფინანსური ღონე და პრობლემის გადაუდებლობა [128].

7) *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირება*: მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის შიდა და გარე დაინტერესებულმა მხარეებმა იცოდნენ განხორციელებული ინიციატივების შესახებ. საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტი აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეებს, როგორცაა აქციონერები, საინვესტიციო ფონდები, ბიზნეს პარტნიორები და თანამშრომლები. ამავე მიზნისთვის გამოიყენება კომპანიის ინტერნეტ გვერდები და ტრადიციული რეკლამა [128].

8) *დაინტერესებული მხარეების უკურეაქციის მიღება*: დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება კმაყოფილების ან რეპუტაციის შესახებ გამოკითხვა. დაინტერესებული მხარეების უკურეაქცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯმენტის პროცესის პირველი სამი ეტაპის გადაფასება გრძელვადიან პერსპექტივაში (დაახლოებით ყოველ ოთხ წელიწადში). გამოკითხვამ შეიძლება აჩვენოს ახალი და მნიშვნელოვანი დაინტერესებული ჯგუფები ან აღმოაჩინოს მათთვის საინტერესო სხვა პრობლემები. მარკეტინგი კი ესმარება ორგანიზაციას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საერთო ღირებულებებისა და ნორმების განხორციელებაში [128].

ამგვარად, დაინტერესებული მხარეების მოდელი გამოიყენება სოციალური პასუხისმგებლობის განსახორციელებლად მარკეტინგში. მარკეტინგმა გადაინაცვლა კლიენტზე ვიწრო ორიენტაციიდან ურთიერთობების მენეჯმენტისკენ და ყველა

დაინტერესებული მხარის სარგებლობისკენ. ეს მოდელი წარმოადგენს საფუძველს ორგანიზაციული იდენტობისა და რეპუტაციის შექმნისთვის [128].

დაინტერესებული მხარეების თეორია აღწერს ბიზნესს, როგორც ღია და მოქნილ სისტემას, რომელიც შედგება სხვადასხვაგვარი მოთამაშეებისგან და მოქმედებს სხვადასხვა მოთამაშეებთან ურთიერთობების ქსელში [127].

მარკეტინგული კომუნიკაცია დადებითი კორპორაციული იმიჯის გავრცელებას უწყობს ხელს ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორიცაა რეკლამა, სტიმულირება, საჯარო გამოსვლები და საინფორმაციო ბიულეტენები [127]. ასეთი ტიპის კომუნიკაცია ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მხარეებს ფირმის ინიციატივების შესახებ, რომელნიც უკავშირდებიან სოციალური პასუხისმგებლობის განსაზღვრულ საკითხებს [127].

1.5.3. სოციალური მარკეტინგი

სოციალური მარკეტინგი ტრადიციული მარკეტინგის ახალი მიმართულებაა, მისი მიდგომა და დამოკიდებულება უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების, ეკოლოგიური, ჯანრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას. იგი გვევლინება მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ხელშეწყობა ინსტიტუტად სახელმწიფოსთან ერთად. სოციალური მარკეტინგი წარმართავს პროგრამებს საზოგადოების მიერ შეთავაზებული სოციალური იდეების შესაბამისად. იგი კომერციული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენებით ახორციელებს სოციალური პროდუქტის შესწავლას (ქცევის პროგნოზირება, დაგეგმვისა და ფორმირების პროცესი), რის შედეგად იცვლება სოციალური ნორმები საზოგადოების საკეთილდღეოდ [222].

სულ უფრო მეტი არაკომერციული ორგანიზაცია იყენებს მარკეტინგის კონცეფციებს ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად.

მარკეტოლოგები ურჩევენ ეკლესიებს, როგორ გაზარდონ წევრების რაოდენობა, საქველმოქმედო ფონდებს – როგორ მიიღონ მეტი შემოწირულობა, მუზეუმებს და სიმფონიურ ორკესტრებს – როგორ მიიზიდონ მეტი სპონსორი [114]. სოციალური რეკლამა კი იმდენად პოპულარულია, რომ ისმება არა მისი გამოყენების კითხვა, არამედ – თუ როგორ გამოვიყენოთ იგი [114].

მაგრამ სოციალური მარკეტინგი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სოციალური რეკლამა და სოციალური კომუნიკაციაც კი.

კოტლერი და ზალტმენი (Kotler & Zaltman) სოციალურ მარკეტინგს შემდეგნაირად განმარტავენ: „სოციალური მარკეტინგი არის იმ პროგრამების შემუშავება, განხორციელება და კონტროლი, რომლებიც გათვლილია სოციალური იდეების მისაღებობაზე გავლენის მოსახდენად და შეიცავს პროდუქტის დაგეგმვას, ფასწარმოქმნას, კომუნიკაციას, გავრცელებასა და მარკეტინგულ კვლევას“ [114].

ამგვარად, მარკეტინგული შესაძლებლობები გამოიყენება სოციალური საქმიანობის გარდასახვისთვის უფრო ეფექტური დიზაინისა და კომუნიკაციის მქონე პროგრამებად, რაც გამოიწვევს აუდიენციის სასურველ რეაქციას. სხვა სიტყვებით, მარკეტინგული მეთოდები აკავშირებენ ცოდნის უბრალო ფლობასა და ცოდნის დეკლარირებას, ცოდნის სოციალურად სასარგებლო განხორციელების მექანიზმებს ერთმანეთთან [114].

სოციალურ მარკეტინგს საფუძველი ჩაუყარა სოციოლოგ ვეიბის (Wiebe)¹⁹ სტატიამ, ხოლო მარკეტინგის სფეროში ამ თემაზე ფოკუსირება იწყება კოტლერისა და ლევის (Kotler & Levy)²⁰ და მოგვიანებით, კოტლერისა და ზალტმენის ნაშრომებიდან [114]. სოციალური მარკეტინგის პრაქტიკული გამოყენებაც ამავე პერიოდიდან იწყება [6].

ტერმინი „სოციალური მარკეტინგი“ პირველად გამოჩნდა კოტლერისა და ზალტმენის სტატიაში²¹, 1971 წელს [57]. ხოლო, სოციალური მარკეტინგის პირველი განსაზღვრება – „სოციალური მარკეტინგი არის მარკეტინგის გამოყენება სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად“ - გაჩნდა 1960-იან წლებში, როდესაც მეცნიერები მსჯელობდნენ, თუ როგორ შეიძლებოდა მარკეტინგის ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენება ჯანდაცვის, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად. რადგანაც ბევრ სოციალურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემას აქვს ქცევითი მიზეზი და მარკეტინგი გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევაზე, სოციალური

¹⁹ Wiebe, G.D. 1951–52. Merchandising Commodities and Citizenship on Television. *Public Opinion Quarterly*. 15: 679–91, Winter.

²⁰ Kotler, Philip and Sidney J. Levy. 1969. Broadening the Concept of Marketing. *Journal of Marketing*. 33: 10–15, January.

²¹ Kotler, P. & Zaltman, G. 1971. Social marketing: an approach to planned social change. *Journal of Marketing*. 35: 3-12. July.

მარკეტინგი წარმოადგენს იმედისმომცემ სტრატეგიას ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების სტიმულირებისთვის [135].

სხვა მოსაზრების თანახმად, სოციალური მარკეტინგი გაჩნდა 1970-იანი წლების დასაწყისში, როგორც უფრო მეტი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე და ეთიკური მოდელი მარკეტინგისთვის [46].

1970-იან წლებში, სოციალური მარკეტინგი ნიშნავდა „იდებებს“ გაყიდვას და დიდწილად დაკავშირებული იყო სოციალურ კომუნიკაციასთან [57]. მაგრამ სოციალური კომუნიკაცია და სოციალური მარკეტინგი ერთი და იგივე არ არის. სოციალური მარკეტოლოგი დაინტერესებულია არა მხოლოდ მესიჯის კომუნიკაციით, არამედ ცდილობს იმ შეცვლილი ქცევის გამოყენებას, რომლის მიღწევაც შედარებით იოლია [57]. გარდა ამისა, სოციალური მარკეტინგი უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ იდეებს, კერძოდ, აგრეთვე, დამოკიდებულებებს და ქცევასაც [6].

წარსულში, სოციალური მარკეტინგი არასწორად განიმარტებოდა, როგორც სოციალური პროპაგანდა და განათლება [57; 149]. სოციალური მარკეტინგის თანამედროვე დეფინიცია კი უკავშირდება ქცევის შეცვლის პროცესს. კოტლერის ხედვით, სოციალური მარკეტინგი არის მარკეტინგის პრინციპებისა და ტექნიკის გამოყენება, რათა გავლენა მოახდინოს მიზნობრივ აუდიტორიაზე, რომ ნებაყოფლობით დათანხმდნენ, უარყონ, შეცვალონ ან უარი თქვან ქცევაზე, ინდივიდების, ჯგუფების და მთელი საზოგადოების სასარგებლოდ [57].

სოციალური მარკეტინგი არის მარკეტინგული კონცეფციისა და ინსტრუმენტების ფორმა, სოციალური მოთხოვნების გამოვლენის, პროგნოზირებისა და სასურველი ქცევის ფორმირებით საზოგადოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, იგი წარმართავს სოციალურად ორიენტირებულ პროგრამებს საზოგადოებისთვის სოციალური იდეების მისაწოდებლად. ეს პროცესი მოიცავს მარკეტინგული სტრატეგიის ყველა სახის საქმიანობას: მარკეტინგულ კვლევებს, პროდუქტის დაგეგმვას, ფასწარმოქმნას, დისტრიბუციასა და კომუნიკაციის ელემენტების ერთობლიობას. სოციალური მარკეტინგის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა [222].

მეტ-ნაკლებად მიღებული განსაზღვრება განმარტავს სოციალურ მარკეტინგს, როგორც „კომერციული მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენებას იმ პროგრამებისთვის, რომლებიც შექმნილია მიზნობრივი აუდიტორიის ქცევებზე

გავლენის მოსახდენად, რათა გააუმჯობესოს მათი პირადი და იმ საზოგადოების კეთილდღეობა, რომლის ნაწილიც არიან“ [6; 163].

დომეგანის (Domegan) მტკიცებით, სოციალური მარკეტინგი არის მარკეტინგის პრინციპების გამოყენება და სოციალური საკითხების გაცვლა-გამოცვლა. იგი ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეკოლოგიურ კამპანიებში [57].

კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, სოციალური მარკეტინგი არის კომერციული მარკეტინგული ტექნოლოგია იმ პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის, რომლებიც შექმნილია, რათა გავლენა მოახდინონ მიზნობრივი აუდიტორიის ნებაყოფლობით ქცევაზე, რომ გაუმჯობესდეს მათი პირადი და საზოგადოების კეთილდღეობა [6; 57]. მაგალითად, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიები იყენებენ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც სოციალური მარკეტინგის ინსტრუმენტს, რათა სასიკეთოდ შეცვალონ საზოგადოების დამოკიდებულებები ალკოჰოლისადმი მათივე ინტერესების სასარგებლოდ და ამავედროულად, გაიუმჯობესონ იმიჯი [66].

ჰასტინგის (Hastings) დეფინიციის თანახმად, „სოციალური მარკეტინგის ყველაზე უფრო ფუნდამენტური თვისება არის კომერციისგან მიღებული ცოდნა, როგორცაა მომხმარებელზე ორიენტირებულობა, ორმხრივად სასარგებლო გაცვლა-გამოცვლა, ქცევის შეცვლაზე ორიენტირებულობის საჭიროება და როგორც კონტექსტისადმი, ასევე, ინდივიდისადმი ინტერესი“ [57; 88].

ამრიგად, განსაზღვრებები გვიჩვენებენ, თუ როგორ პოპულარული ხდება სოციალური მარკეტინგი, რომლის მიზანია, გავლენა მოახდინოს მომხმარებლის ქცევაზე; მისი რაციონალური მარცვალია ნებაყოფლობითი ქცევითი ცვლილება. ხოლო, ნებაყოფლობითი ქცევითი ცვლილებები ხორციელდება როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე. კონტექსტის გაცვლა-გამოცვლა კი მიანიშნებს ურთიერთობებზე.

სოციალური მარკეტინგის კოტლერის დეფინიცია მოუწოდებს მარკეტოლოგებს, მარკეტინგის კონცეფციის ძირითად ელემენტებს – კლიენტის კმაყოფილება და რენტაბელობა, დაუმატონ მესამე – „მომხმარებლის გრძელვადიანი კეთილდღეობა“ [46]. ეს კი ნიშნავს, რომ, რაც ინდივიდუალური მომხმარებლისთვის კარგია, შესაძლოა, სულაც არ იყოს კარგი მთელი საზოგადოებისთვის, ასეთია მაგალითად, კერძო მანქანების ყიდვის შემდეგ ჰაერის გაბინძურების მატება. ამავედროულად, რაც მომხმარებლის დაუყოვნებლივი

მოთხოვნაა, შესაძლოა არ იყოს მის გრძელვადიან ინტერესებში (მაგალითად, თამბაქოსი და ალკოჰოლური პროდუქტების მოხმარება). აქედან გამომდინარე, მარკეტოლოგებმა უნდა გაითვალისწინონ, რას გამოიწვევს მომხმარებელთა დაუყოვნებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორც მოკლევადიან, ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში. ამგვარად, სოციალური მარკეტინგი ეთიკური მარკეტინგული მიდგომების შესაძლებლობას იძლევა.

მარკეტოლოგები ცდილობენ მომხმარებელთა ქცევის გაგებას, ხოლო სოციალური მარკეტინგი იყენებს ამ ცოდნას სოციალური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევის შესაცვლელად [88].

სოციალური მარკეტინგი აკავშირებს საზოგადოებრივ ჯანდაცვას და კომერციას. მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ქცევაზე, გადაჭრას სოციალური პრობლემები და განახორციელოს სასარგებლო სოციალური ცვლილებები [88].

მეცნიერების განმარტებით, სოციალური მარკეტინგი უკავშირდება მარკეტინგული ცოდნის, კონცეფციების და ტექნიკის გამოყენებას, რათა გააუმჯობესოს სოციალური და ეკონომიკური შედეგები. იგი, აგრეთვე, უკავშირდება მარკეტინგის სტრატეგიების, გადაწყვეტილებების და საქმიანობების სოციალური შედეგების ანალიზს [88].

კოტლერი და რობერტო (Kotler & Roberto) სოციალურ მარკეტინგს უთანაბრებენ სოციალური ცვლილებების კამპანიას, რომელსაც განმარტავენ, როგორც „ორგანიზებული მცდელობას, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი ჯგუფი (ცვლილების აგენტი) და რომლის მიზანია, გაიყოს სხვები (სამიზნე მიმღებები), რომ მიიღონ, შეცვალონ ან უარი თქვან იდეებზე, დამოკიდებულებებზე, საქმიანობებზე და ქცევებზე“ [5].

კოტლერი აქცენტს აკეთებს პროდუქტების სახეობებზე, რომლებიც სოციალური მარკეტინგის თვალსაზრისს ან შეესაბამებოდნენ ან არა. ოთხი ძირითადი ტიპის პროდუქტი არსებობს პროდუქტების სარგებლობის მიხედვით მომხმარებლის მოკლევადიანი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მისი გრძელვადიანი კეთილდღეობის თვალსაზრისით: (1) არასრულყოფილი, უკმარი პროდუქტები, როლებსაც არც მოკლე და არც გრძელვადიანი სარგებელი არ მოაქვთ; (2) მარგებელი პროდუქტები, რომლებსაც აქვთ ნაკლები დაუყოვნებელი მიმზიდველობა, მაგრამ მაღალი სარგებლობა მომხმარებლისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში; (3) სასიამოვნო პროდუქტები, რომლებსაც მოაქვთ დაუყოვნებელი კმაყოფილება, მაგრამ იწვევენ ზიანს გრძელვადიან პერსპექტივაში; (4) სასურველი

პროდუქტები, რომლებშიც შერწყმულია დაუყოვნებელი კმაყოფილება გრძელვადიან სარგებელთან [46; 89].

კოტლერის მტკიცებით, უკმარი პროდუქტები უნდა ამოიღოს კომპანიამ თავისი პროდუქტების რიგიდან; მარგებელი და სასიამოვნო პროდუქტები უნდა შეცვალოს ისე, რომ სასურველი პროდუქტების რიცხვს მიეკუთვნონ; ხოლო, სასურველი პროდუქტები უნდა იყოს მარკეტინგული ძალისხმევის ძირითადი მიზანი [46].

ანდრისანის (Andreasen) თანახმად, სოციალური მარკეტინგი არის კომერციული მარკეტინგული ტექნოლოგიების ადაპტაცია იმ პროგრამებისთვის, რომლებიც შექმნილია, რომ გავლენა მოახდინოს მიზნობრივი აუდიტორიის ნებაყოფლობით ქცევაზე, რათა გააუმჯობესოს მათი პირადი და იმ საზოგადოების კეთილდღეობა, რომლის ნაწილნიც არიან [5]. ამგვარად, სოციალური მარკეტინგის ძირითადმა მიზანმა „მომხმარებლის გრძელვადიანი კეთილდღეობიდან“ გადაინაცვლა „საზოგადოების კეთილდღეობისკენ“ [46].

სოციალური მარკეტინგი განიხილება, როგორც საჯარო სექტორის მარკეტინგის სახეობა, როცა გამოიყენება საჯარო ორგანიზაციების მიერ, რათა მოხდეს განსაზღვრული სოციალური მიზნების სტიმულირება [163].

სოციალური მარკეტინგული პროგრამების მიზანია, გავლენა მოახდინოს ქცევაზე, მაგრამ ყოველთვის არ ცვლის მას. სოციალური მარკეტინგი ცდილობს სარგებლის მოტანას სამიზნე მომხმარებლებისთვის და/ან მთლიანად საზოგადოებისთვის, და არა მარკეტოლოგებისთვის [5].

მკვლევარებმა, ქრეინმა და დეზმანდმა (Crane & Desmond), სოციალური მარკეტინგის შესახებ კოტლერის მიერ გამოქვეყნებული პირველი ნაშრომიდან 30 წლის შემდეგ, გააანალიზეს სოციალური მარკეტინგის გავლენა მარკეტინგის თეორიასა და პრაქტიკაზე და დაასკვნეს, რომ კონცეფცია იწვევს ფუნდამენტურ სიძნელეებს; მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღებისას საჭიროა კომპლექსური სოციალური და კულტურული პროცესების შეცნობა [46].

სოციალური მარკეტინგის თეორიისა და პრაქტიკის უმეტესობა მიმართულია ინდივიდუალურ დონეზე ქცევის შეცვლისკენ, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ადამიანი, როგორც სოციალური ქმნილება, შეგნებულად და ქვეცნობიერად, ფორმირდება სხვების მიერ. სოციალური გავლენა არსებობს მიკრო-სოციალურ და მაკრო-კულტურულ დონეებზე [39].

BP ცდილობს ადგილობრივ საზოგადოებებში სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ტრენინგების მეშვეობით [98]. ხოლო, JTI-Japan Tobacco International-ი აქცენტს აკეთებს ფილანტროპიულ პროგრამებზე და ახორციელებს საქველმოქმედო პროექტს „კარიტასთან“ (საქველმოქმედო სასაფლაო) [98]. „ვისოლის“ სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები კი, მიმართულია საზოგადოების გრძელვადიანი საჭიროებებისკენ ქველმოქმედების გზით; ამასთან, ისინი ზრუნავენ მომხმარებლის ჯანმრთელობაზე, ყიდიან რა ბიოპროდუქტებს სუპერმარკეტების ქსელში [98].

ამგვარად, როგორც სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებენ, კომპანიების უმეტესობა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას აღიქვამს მარკეტინგის ნაწილად და ახორციელებს მას იმიჯისა და რეპუტაციის გასაუმჯობესებლად, დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან ურთიერთობების შენარჩუნებისთვის და მომხმარებელთა ლოიალურობის გაზრდისთვის. თუმცა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ეფექტური განხორციელება შეუძლებელია წესების მკაცრი დაცვით და ის უნდა მოერგოს თითოეული ქვეყნის კულტურას,

საჭიროებებს და თავისებურებებს [139]. როგორც კვლევებმა აჩვენეს, სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება რთული ამოცანაა და სისტემურ წესებს ან სტანდარტებს არ უნდა მიყვებოდეს იმ ფაქტის გამო, რომ თითოეულ ქვეყანას აქვს განსხვავებული კულტურა და უნიკალური სოციალური სისტემა. ამავე დროს, სოციალური პასუხისმგებლობის ღირებულებები უნდა მიესადაგებოდეს ყოველი ქვეყანის თავისებურებებს, რათა მიიღწეს სასურველი შედეგი. იმ საზოგადოებაში, რომელშიც საწარმოები ოპერირებენ სოციალური ინტერესების გათვალისწინებით და არა მხოლოდ მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა მუშაობს ეფექტურად და ზრდის მოგებას [139].

1.9. ლიტერატურის მიმოხილვის დასკვნა

ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც მარკეტინგის როლი კომპანიის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში, კომპლექსური საკითხი და მეცნიერებს შორის მწვავე დისკუსიის საგანია.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მსჯელობა ამოუწურავი თემაა. მისი ხელშეწყობა და განმტკიცება ნიშნავს ბიზნესის დამოკიდებულების შეცვლას, რათა გახდნენ უფრო მეტად სოციალური და საზოგადოებაზე ორიენტირებულნი [139].

21-ე საუკუნეში, ბიზნესი სულ უფრო და უფრო ინტერესდება ეთიკის საკითხებით და ადამიანთა უფლებებით, ამასთან, არის ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად აქტიური და აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. ამავედროულად, კანონები და სხვა საჯარო ინიციატივები დიდ ზეწოლას ახდენენ ინდუსტრიებზე, რომ გააუმჯობესონ ეთიკური ბიზნეს პრაქტიკა, პროცესები და ქმედებები [106; 148]. ამას გარდა, მზარდი ტენდენციაა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომ დაარწმუნონ ბიზნესი, იყოს პასუხისმგებელი თავის ქმედებებზე [106].

ბოლო წლებში, ტერმინი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოიშვა, როგორც ინკლუზიური და გლობალური კონცეფცია, რომელიც მოიცავს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, რეაქციულობას და

ბიზნესის სოციალურად სასარგებლო აქტივობების მთელ სპექტრს. აქცენტი კეთდება კორპორაციულ ქცევაზე და სოციალურ სფეროში მიღწევებზე. ფირმებმა უნდა ჩამოაყალიბონ სოციალური მიზნები და განახორციელონ პროგრამები; აგრეთვე, დანერგონ ეთიკურობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სტრატეგიებსა და საქმიანობებში [31]. ხოლო, იმისთვის, რომ განისაზღვროს სოციალური პასუხისმგებლობის შედეგები, უნდა შეფასდეს ბიზნესი იმ კრიტერიუმებით, რომლებიც შეიცავენ რაოდენობას, ხარისხს, ეფექტურობასა და ეფექტიანობას [31; 53]. თუმცა, ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი იმისთვის, რომ მიიღწეს შეთანხმებული და უნივერსალური კრიტერიუმები [53].

მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა იდეოლოგიიდან რეალობაში გადავიდა და მისდამი ყურადღება გაიზარდა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა კვლავ საწყის სტადიაზეა [20; 123].

ამ სფეროს კვლევაში, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ის ფაქტი, რომ კორპორაციული სოციალური საკითხები არ არის შავ-თეთრი სურათი. არ არსებობს აბსოლუტურად პასუხისმგებლობის მქონე კომპანია. ყველა ბიზნესს დედამიწაზე შეიძლება მოეძებნოს რაიმე არასწორი [95]. ამდენად, ყოველი კომპანია არის რამდენადმე კარგი და რამდენადმე ცუდი, ამიტომ საკითხავია: „რამდენად კარგი არის საკმარისად კარგი?“ [95].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსებული მრავალი განსაზღვრებაში, უმნიშვნელოვანესი, მაინც, არის კომპანიის მიერ დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების გათვალისწინება ბიზნეს საქმიანობის ყველა ეტაპზე. ამდენად, მარკეტინგს, ამ თვალსაზრისით, მთავარი როლი აკისრია. ერთის მხრივ, იგი შეისწავლის მომხმარებლების, პარტნიორების და სხვა პირადპირი თუ არაპირდაპირი დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს და საჭიროებებს; მეორე მხრივ, ეხმარება კომპანიას, უპასუხოს ამ მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე; დაბოლოს, მარკეტინგული კომუნიკაციის მეშვეობით, მუდმივ კავშირში იყოს დაინტერესებულ მხარეებთან, მიაწოდოს რა ყველა მათგანს მათთვის საინტერესო ინფორმაცია კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების შესახებ შესაბამისი მარკეტინგული არხებით. ამდენად, მარკეტინგი წარმოადგენს ცენტრალურ რგოლს კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების პროგრამებში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დეფინიციის შესახებ კონსენსუსის არარსებობის მიზეზი არის შემდეგი: (1) სოციალური პასუხისმგებლობა ბევრი კომპანიისთვის არის სოციალური მარკეტინგის კონცეფცია და კომპანიები ზრუნავენ თავიანთ საზოგადოებრივ იმიჯზე, რაც ხელს უშლის რეალური ცვლილებების განხორციელებას და ბიზნესმენები კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას ხშირად მორალური პასუხისმგებლობის გარეშე მართავენ [112]. ეს იწვევს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის დისკრედიტაციას და შემოიფარგლება მხოლოდ რიტორიკით. (2) მეორე მიზეზი ისაა, რომ ტერმინს „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ არ აქვს ერთიდაიგივე მნიშვნელობა კონტინენტურ ევროპულ ან აზიურ ტრადიციებში, როგორც ეს არის ანგლო-ამერიკულ კონტექსტში, საიდანაც ის მომდინარეობს [112].

ლიტერატურის მიმოხილვამ დაადასტურა, რომ სოციალურ პასუხისმგებლობას დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ბრენდის ღირებულებაზე, მომხმარებელთა ლოიალურობაზე და კომპანიის რეპუტაციაზე; ხელსაყრელი რეპუტაცია კი შესაძლებლობას აძლევს ფირმას, დააწესოს მაღალი ფასები, მიიზიდოს საუკეთესო აპლიკანტები და ინვესტორები, ასევე, ზრდის კომპანიის წვდომას კაპიტალის ბაზარზე. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შესაძლოა ეფექტური ბრენდინგის ინსტრუმენტი გახდეს. გარდა ამისა, სოციალური პასუხისმგებლობა ზრდის კომპანიისადმი მომხმარებელთა ნდობას. უფრო მეტიც, მომხმარებლები ამჩნევენ და იმახსოვრებენ პოზიტიურ კორპორაციულ ქცევას.

დაბოლოს, მიუხედავად კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის მარკეტინგული ასპექტების კვლევების სიმცირისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაში მარკეტინგის წვლილის შესახებ კვლევების ნაკლებობისა, მათ შორის კავშირები აშკარაა და მოითხოვს მეტ ყურადღებას მკვლევარების მხრიდან.

თავი 2. მომხმარებლის ინფორმირებულობა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ

2.1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ კვლევა განხორციელდა ორ ძირითად ეტაპად:

I ეტაპი - საექსპერტო გამოკვლევა,

II ეტაპი - ქართველი მომხმარებლების გამოკვლევა.

კვლევის თოთოეული ეტაპი შედგებოდა მოსამზადებელი, ტესტირების, ძირითადი კვლევის, მონაცემების დამუშავების და ანალიზის ეტაპებისგან. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემების დასადგენად შეირჩა საექსპერტო გამოკვლევის მეთოდი. კვლევისთვის შედგა შესაბამისი ანკეტა (იხ. დანართი 2), რომელიც შედგებოდა შემდეგი საკითხებისგან: I ბლოკი: ინფორმაცია კომპანიის შესახებ (კითხვა 1-4);

II ბლოკი: კომპანიის მონაწილეობა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში (კითხვა 5-12);

III ბლოკი: კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება (კითხვა 13-17);

IV ბლოკი: კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივები (კითხვა 18-22);

V ბლოკი: კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის მიზანი (კითხვა 23-24);

VI ბლოკი: სოციალური პასუხისმგებლობის მართვა (კითხვა 25-27);

VII ბლოკი: მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობა (კითხვა 28-33);

VIII ბლოკი: მენეჯმენტის დამოკიდებულება სოციალური პასუხისმგებლობისადმი (კითხვა 34-44);

IX ბლოკი: მენეჯმენტის დამოკიდებულება კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისადმი (კითხვა 45-49).

კვლევა მიზნად ისახავდა სოციალური პასუხისმგებლობისადმი ქართული კომპანიების დამოკიდებულების განსაზღვრას და პრობლემების გამოვლენას, რაც საფუძველად დაედებოდა სოციალური პასუხისმგებლობისადმი ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულების გამოკვლევას. საექსპერტო კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად დაიგეგმა კვლევის შემდეგი ეტაპი და შედგა მომხმარებლის ანკეტა.

საექსპერტო კვლევაში მონაწილეობდნენ:

1. თსუ მარკეტინგის კათედრის სრული პროფესორი ნ. თოდუა (მეცნიერ-ხელმძღვანელი),
2. თსუ მარკეტინგის კათედრის დოქტორანტი ი. გიგაური (ორგანიზატორი),
3. ცხრა ქართული კომპანიის წარმომადგენელი/ მენეჯერი: „სინგულარ ჯგუფი“, „აგრო თრეიდიנג ჯორჯია“, „ეისითი კვლევა“, „ჯორჯიან ქარდბოარდი“, „ოპტიმალ სერვისი“, „მო მანი კრედიტ“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“, „ელექტრონი“, „ჯორჯიან მობაილ იმპორტი“.

მონაცემთა ანალიზი მოხდა სტატისტიკური პროგრამისა და ‘მაიკროსოფტ ექსელის’ მეშვეობით. მონაცემები მომზადდა კომპიუტერულ პროგრამაში MS Excel 2011 და დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 15.0 for Windows, გამოყენებული იყო აღწერითი სტატისტიკა და სიხშირული ანალიზი.

კვლევა განხორციელდა 2012 წლის თებერვალში და მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის კომპანიების წარმომადგენლები.

სოციალური პასუხისმგებლობისადმი ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულების შესასწავლად შეირჩა აღწერითი გამოკვლევის მეთოდი, რადგან მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მეცნიერული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში, რომელიც უხელმძღვანელებდა ამ კვლევას და მისი საფუძველი გახდებოდა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.

ანკეტა შედგებოდა ხუთი ბლოკისაგან (იხ. დანართი 1):

- I ბლოკი: მომხმარებლის პრიორიტეტები პროდუქციის შექმნისას (1-2 შეკითხვა);
- II ბლოკი: მომხმარებლის ინფორმირებულობა კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ (3-6 შეკითხვა);
- III ბლოკი: მომხმარებლის დამოკიდებულება კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისადმი (7-8 შეკითხვა);

IV ბლოკი: მომხმარებლის დამოკიდებულება ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობისადმი (9-23);

V ბლოკი: მომხმარებელთა სოციალურ-დამოგრაფიული მახასიათებლები (24-29 შეკითხვა).

კვლევის მიზანია უპასუხოს მთავარ კითხვებს: როგორია მომხმარებლის დამოკიდებულება კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისადმი და არის თუ არა მოთხოვნა მომხმარებლებს შორის კომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობებისადმი.

კვლევისთვის რესპონდენტების შერჩევა მოხდა არაშემთხვევითი შერჩევის შედეგად. შერჩევის ეს მეთოდი მარტივია, იაფია, მოხერხებულია და იძლევა დიდი რაოდენობის ინფორმაციის სწრაფად შეგროვების შესაძლებლობას, მაგრამ, ამასთან, ხასიათდება ნაკლები რეპრეზენტაციულობით და შეუძლებელია შერჩევის ცდომილების გამოთვლა. ასეთი ტიპის შერჩევის გამოყენება განაპირობა იმან, რომ პოპულაცია ნაკლებად მისაღწევია და შერჩევის ყველა წევრი არ არის ხელმისაწვდომი იმისთვის, რომ შემთხვევითი შერჩევის გამოყენება ყოფილიყო შესაძლებელი. ამასთან, ინფორმაციის შეგროვების სწრაფი და იაფი ხერხის გამოყენება იყო საჭირო. ეს კი მოითხოვდა პოპულაციის ისეთი წევრების შერჩევას, რომლებიც მეტ-ნაკლებად ინფორმირებულნი არიან საკვლევი საკითხების შესახებ და ადვილად დათანხმდებოდნენ გამოკითხვაში მონაწილეობას.

გარდა ამისა, რადგან მეცნიერული კვლევა კომპანიების მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ პირველად ჩატარდა და არ არის სხვა კვლევა, რომელსაც შევადარებდით შედეგებს, ამდენად, არ იყო ალბათური შერჩევის გამოყენების გადაუდებელი აუცილებლობა.

კვლევისთვის რესპონდენტების შერჩევა მოხდა მიზნობრივი შერჩევის შედეგად. სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებული და ამ საკითხით დაინტერესებული რესპონდენტები შეირჩა თოვლის გუნდას პრინციპით. რესპონდენტები არიან თბილისის მცხოვრებლები, რომელთა უმრავლესობას აქვს ინტერნეტი, სამსახური, განათლება, შემოსავალი.

რესპონდენტები შეირჩა ინტერნეტის მეშვეობით და გამოკითხვა განხორციელდა თვით-ადმინისტრირებადი კითხვარის იმეილზე გაგზავნის საშუალებით. კვლევის ეს მეთოდი უკავშირდება მინიმალურ დანახარჯებს, რაც მოსახერხებელი იყო ამ შემთხვევაში. თუმცა, იმეილით გამოკითხვას აქვს

გარკვეული ტექნიკური შეზღუდვები, როგორცაა, მაგალითად, რესპონდენტის პროგრამული პრობლემები, რესპონდენტმა, შესაძლოა, ვერ გახსნას ფაილი და სხვ. გარდა ამისა, ინტერნეტ-გამოკითხვისგან განსხვავებით, რესპონდენტს თვითონ უწევს, მანუალურად, გარკვეული ქმედებების განხორციელება, რადგან კითხვარი არ გადადის ავტომატურად, როგორც ეს ხდება ინტერნეტ-გამოკითხვისას, არამედ მოითხოვს, რომ რესპონდენტმა წაიკითხოს ინსტრუქცია ყურადღებით და თუ საჭიროა, გამოტოვოს განსაზღვრული შეკითხვა ან გადავიდეს მითითებულ შეკითხვაზე.

კითხვარის მეთოდისას გასათვალისწინებელია მკვლევარისა და რესპონდენტის მიერ შეკითხვის განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. თვით-ადმინისტრირებული გამოკითხვისას რესპონდენტი ხელმძღვანელობს ინსტრუქციით, ინტერვიუერის ან მოდერატორის დახმარების გარეშე.

თვით-ადმინისტრირებადი კითხვარის ნაკლოვანება ისაა, რომ არ ხდება მკვლევარის მიერ რესპონდენტის გარემოს კონტროლი მონაცემების შეგროვებისას და მიუხედავად იმისა, რომ არ არის მოქნილი პროცედურა, მონაცემთა მოცულობა მისაღებია კვლევისთვის. კითხვარის შევსებისას, რესპონდენტის განკარგულებაში არ არის ინტერვიუერი ან მოდერატორი, ვინც განუმარტავდა შეკითხვებს. სამაგიეროდ, გამორიცხულია ინტერვიუერის მიერ ინფორმაციის მცდარი ინტერპრეტირება. მაგრამ მისი მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ არის იაფი და სწრაფი გამოკითხვის მეთოდი, რაც ამ კვლევისთვის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო იმის გათვალისწინებით, რომ კვლევა ჩატარდა ბიუჯეტის, ასისტენტის და ყოველგვარი დახმარების გარეშე. ამიტომ იმეილით გამოკითხვა თვით-ადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით ჩანდა ყველაზე უფრო ოპტიმალურ მეთოდად.

კვლევა ჩატარდა 2012 წლის მაისში. ანკეტაზე პასუხის გაცემა მოითხოვდა დაახლოებით 15-25 წუთს.

კვლევაში ჩართულნი იყვნენ თსუ მარკეტინგის მაგისტრატურის სტუდენტები, რომლებმაც ანკეტების გაგზავნასა და შეგროვებაში მიიღეს მონაწილეობა.

თავდაპირველად, პილოტური გამოკითხვა ჩატარდა რესპონდენტთა მცირე ჯგუფის მონაწილეობით, რის შედეგადაც შესწორდა შეკითხვები და გაიგზავნა 700 რესპონდენტთან იმეილზე. მათგან, უკან დაბრუნდა 420 ანკეტა, რომელთაგან 408 მისაღები იყო კვლევის ანალიზისთვის. პასუხთა კოეფიციენტმა შეადგინა 60%. აღმოჩნდა, რომ 12 ანკეტა გამოუსადეგარი იყო კვლევისთვის, რადგან

რესპონდენტებმა ვერ ან არასწორად გაიგეს შეკითხვა, ან რთულად მოეჩვენათ და არ გასცეს სრულყოფილი პასუხი დასმულ შეკითხვას, არ წაიკითხეს ან უყურადღებოდ წაიკითხეს ინსტრუქცია.

შეკითხვების კოდირების შემდეგ, კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, გაანალიზდა მიღებული პასუხები.

კითხვარში გამოყენებული იყო ლაიკერტის სკალა – 5 ბალიანი გრადაცია, სტეიპელის უნიპოლარული 10 ბალიანი სკალა და სემანტიკური დიფერენციულობის შვიდბალიანი სკალა ბიპოლარული ლეიბლებით, ნეიტრალური 0-ის გარეშე. შეკითხვები იყო როგორც დახურული, ასევე, ღია ტიპის და დიქტომური „დიახ“ „არა“ შეკითხვები.

რესპონდენტთა უმეტესობა იყო ქალი და ამდენად შესაძლოა მცირედი ცდომილება ამ თვალსაზრისით. გარდა ამისა, კვლევა უკავშირდებოდა აღქმას, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა განხვავებები არსებობდეს მომხმარებლის აღქმას/ განზრახვასა და რეალურ ქცევას შორის.


მონაცემთა ანალიზი მოხდა სტატისტიკური პროგრამისა და ‘მაიკროსოფტ ექსელის’ მეშვეობით. მონაცემები მომზადდა კომპიუტერულ პროგრამაში MS Excel 2011 და დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 15.0 for Windows. გამოყენებული იყო აღწერითი სტატისტიკა, სიხშირული ანალიზი, კროსტაბულაციური ანალიზი, აგრეთვე, Oneway Anova. სანდლობის კოეფიციენტი არის 95%.

დემოგრაფიული თვალსაზრისით, მომხმარებლის ანალიზი განხორციელდა ოთხ ჯგუფში: სქესის, ასაკის, შემოსავლის და სოციალური კატეგორიის მიხედვით. დემოგრაფიული განსხვავებების ანალიზი განხორციელდა, რათა დადგენილიყო მომხმარებლის მიერ ინფორმაციის მიღების წყაროების უპირატესობები, ასევე, განათლებასა და სოციალურ პასუხისმგებლობისადმი დამოკიდებულებას შორის კავშირები. გარდა დემოგრაფიისა, გაანალიზდა დამოკიდებულება სხვადასხვა ცვლადებს შორისაც. ამასთან, ანალიზის დროს, მოხდა ასაკობრივი კატეგორიების გაერთიანება და მისი დაყოფა თავდაპირველი ოთხის ნაცვლად მხოლოდ ორ ჯგუფად: 20-დან 34 წლამდე და 35 წლის ზემოთ.

2.2. ექსპერტების კვლევა ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ


კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა იყო საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი, მათი 33% წარმოადგენდა მსხვილ ბიზნესს, ხოლო 11% - მცირე ბიზნესს (იხ. დიაგრამა 2.1).

დიაგრამა 2.1. კვლევაში მონაწილე კომპანიები ფორმის მიხედვით




კვლევაში მონაწილე კომპანიების უმეტესობა (89%) არის ქართული, მათი მხოლოდ 11%-ია შერეული ტიპის (იხ. დიაგრამა 2.2).

დიაგრამა 2.2. კვლევაში მონაწილე კომპანიები ტიპის მიხედვით




რესპონდენტების უმრავლესობა (89%) არ წარმოადგენდა „გლობალ კომპაქტის“ წევრ კომპანიას. მათგან მხოლოდ 11%-მა აღნიშნა, რომ მათი კომპანია არის „გლობალ კომპაქტის“ წევრი. გამოკითხულთა 56%-მა დაადასტურა, რომ მათ კომპანიებს არ აქვთ სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია, ფორმალური სტრატეგია აქვს 22%-ს და არაფორმალური სტრატეგია - ასევე 22%-ს (იხ. დიაგრამა 2.3). მაგრამ გამოკითხულთა 43% გეგმავს სოციალური პასუხისმგებლობის ფორმალური სტრატეგიის შექმნას, ხოლო მათი უმეტესობა (57%) არ აპირებს ასეთი სტრატეგიის შემუშავებას (იხ. დიაგრამა 2.4)

დიაგრამა 2.3. კომპანიების მონაწილეობა სოციალურ პასუხისმგებლობაში




დიაგრამა 2.4. კომპანიის მონაწილეობა სოციალური პასუხისმგებლობის ფორმალური სტრატეგიის შექმნაში



კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობაში, მათი კომპანიები ითვალისწინებენ სოციალურ და კომერციულ მიზნებს ერთდროულად (იხ. დიაგრამა 2.5).


დიაგრამა 2.5. კვლევაში მონაწილე კომპანიების მიერ სოციალური და კომერციული მიზნების გათვალისწინება



რესპონდენტების უმეტესობისთვის (78%) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს ეკოლოგიურ, „მწვანე“ მარკეტინგს. მათი 67% ფიქრობს, რომ ადგილობრივ მოსახლეობაზე/ საზოგადოებაზე ზრუნვა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. გამოკითხულთა ასევე 67% თვლის, რომ

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის იმ პროგრამების მხარდაჭერა, რომლებსაც გრძელვადიანი სოციალური შედეგები მოაქვთ, ხოლო 56%-ს მიაჩნია, რომ ესაა გარემოს დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა. ექსპერტების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ეთიკას, პატიოსნებას, კანონმორჩილებას, ხელშეწყობას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის, კლიენტებისა და მომხმარებლებისადმი სამართლიან მოპყრობას. გამოკითხულთა მხოლოდ 11% მიიჩნევს თვით-რეგულირებას, პასუხისმგებლობას/ ანგარიშვალდებულებას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობად. ამდენივე ფიქრობს, რომ ის არის მომხმარებელზე ორიენტაცია, წარმატებული ბიზნესი. რესპონდენტები, ასევე, თვლიან თანამშრომლებისადმი კარგ მოპყრობას, პროდუქციის ხარისხს და უსაფრთხოებას, სამართლიან ფასებს და განათლების ხელშეწყობას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობად (იხ. დიაგრამა 2.6).


დიაგრამა 2.6. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აღქმა კომპანიებში



კვლევაში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი კომპანიის მთავარი დაინტერესებული მხარე არის მათი აქციონერები/ მფლობელები. მათი 89% ფიქრობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი მთავარი

დაინტერესებული მხარე. ექსპერტებს არაპირდაპირ დაინტერესებულ მხარედ მიაჩნიათ ბიზნეს ასოციაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მასმედია, პოლიტიკური პარტიები, არაკომერციული ორგანიზაციები. გამოკითხულთა 44% აღნიშნავს, რომ მთავრობა მათ კომპანიებზე გავლენას ახდენს, ხოლო 33% მას არაპირდაპირ დაინტერესებულ მხარედ მიიჩნევს. მათი 44%-ის აზრით, პოლიტიკური პარტიები და არაკომერციული ორგანიზაციები კომპანიებზე გავლენას არ ახდენენ (იხ. დიაგრამა 2.7).

დიაგრამა 2.7. კომპანიის დაინტერესებული მხარეები




კვლევაში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ კომპანიებს არასოდეს მიუღიათ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რაიმე ჯილდო, თუმცა მათი 56% დადებითად პასუხობს შეკითხვას: „ახორციელებს ამჟამად თქვენი კომპანია კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობებს“. მათი 22% ამბობს, რომ მათი კომპანია აკმაყოფილებს სოციალური პასუხისმგებლობის გლობალურ სტანდარტს (იხ. დიაგრამა 2.8)


კითხვაზე, სოციალური პასუხისმგებლობის თუ რომელ ასპექტებს ახორციელებენ მათი კომპანიები ამჟამად, რესპონდენტები პასუხობენ, რომ ახორციელებენ შემდეგ პროგრამებს: ქველმოქმედება/ ფილანტროპია/ სპონსორობა, თანაბარი შესაძლებლობები ყველა თანამშრომლისთვის, ეკოლოგიაზე ზრუნვა, ნარჩენების კონტროლი, „მწვანე“ მარკეტინგი, ენერჯის დაზოგვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა, მოხუცებულებზე ზრუნვა, კულტურის/ ხელოვნების/ განათლების პროგრამების განხორციელება, ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებაზე ზრუნვა, მომხმარებელთა მოთხოვნების იმგვარად

დაკმაყოფილება, რომ დაცული იყოს მათი ინტერესები და უფლებები (იხ. დიაგრამა 2.9).

დიაგრამა 2.8. გამოკითხულთა პასუხები, აკმაყოფილებს თუ არა მათი კომპანია სოციალური პასუხისმგებლობის რომელიმე გლობალურ სტანდარტს




დიაგრამა 2.9. სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება



კვლევაში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლების უმეტესობა (56%) აღნიშნავს, რომ მათი კომპანიებისთვის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტული მიმართულებაა პერსონალის განვითარება, რასაც მოსდევს ჯანდაცვა და უსაფრთხო სამუშაო პირობები (44%), შემდეგ ადგილზე სამართლიანი საქმიანი პრაქტიკა (33%). ხოლო 22%-ის აზრით, მათი კომპანიებისთვის პრიორიტეტული მიმართულება გარემოსდაცვითი საქმიანობა და რესურსების დაზოგვაა. 11% კი ამბობს, რომ ეს არის ადგილობრივი


საზოგადოების განვითარება და ამდენივეს თქმით, ქველმოქმედებაა მათი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტული მიმართულება (იხ. დიაგრამა 2.10).

დიაგრამა 2.10. კომპანიებისთვის სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტული მიმართულებები



კომპანიებმა სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობები დამოუკიდებლად (44%) ან მთავრობასთან თანამშრომლობით (11%) განახორციელეს (იხ. დიაგრამა 2.11).


დიაგრამა 2.11. სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობების განხორციელების ფორმა



სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობებს შორის, რესპონდენტებმა დაასახელეს: თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვა/ განათლების ხელშეწყობა, ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება, ქველმოქმედება/

სონსორობა/ მოხალისეობა, ეთიკური, სამართლიანი, პატიოსანი ქცევა, ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვა, მომხმარებელზე ორიენტირებულობა, სამართლიანი ფასების დადგენა, სტაჟირების პროგრამები, ჯანდაცვის პროგრამები, სოციალური ინტეგრაციის პროგრამები, თანასწორი შესაძლებლობები თანამშრომლებისთვის, მაღალი ხელფასები/ ბონუსები, ეკოლოგიური პასუხისმგებლობა/ ენერჯის დაზოგვის ინიციატივები/ რეციკლირება (იხ. დიაგრამა 2.12).

დიაგრამა 2.12. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები




კვლევაში მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა მომხმარებელთა მოთხოვნებს პასუხობს. მაგრამ კითხვას, პასუხობს თუ არა მათი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა კონკურენტების ზემოქმედებას, რესპონდენტებმა განსხვავებული პასუხები გასცეს (იხ. დიაგრამა 2.13): 22% მიიჩნევს, რომ პასუხობს, ამდენივეს არ აქვს პასუხის ამ კითხვაზე, ხოლო 11% აღნიშნავს, რომ მათი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა კონკურენტების ზემოქმედებას ვერ პასუხობს.


კვლევაში მონაწილეთა 22% მიიჩნევს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა ეხმარება მათ კომპანიას, მიაღწიოს მეტ ეფექტიანობას/ წარმატებას, რასაც ნაწილობრივ ეთანხმება მათი 33%. მათი უმეტესობისთვის (40%), სოციალური პასუხისმგებლობა არის კომპანიის ხედვა, 20%-20%-სთვის კი ტრადიცია,

კონცეფცია, მისია (იხ. დიაგრამა 2.14).

დიაგრამა 2.13. პასუხობს თუ არა კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა კონკურენტების ზემოქმედებას



დიაგრამა 2.14. რა არის სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიისთვის




გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ სოციალურ პასუხისმგებლობას მათი კომპანიები ახორციელებენ კომპანიის სტრატეგიის/ ხედვის/ მისიის გამო. ხოლო 33% ამბობს, რომ ამას საზოგადოებასთან ურთიერთობებისთვის აკეთებენ. ამდენივეს აზრით, ბრენდინგის/ რეპუტაციის/ იმიჯისთვის ახორციელებენ მათი კომპანიები სოციალურ პასუხისმგებლობას. რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა მათ კომპანიებში ხორციელდება მარკეტინგული სტრატეგიის გამო, თანამშრომელთა შენარჩუნებისთვის/ ახალი ტალანტების მოსაზიდად, მომხმარებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აქციონერების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, ან ინვესტორებთან ურთიერთობებისთვის (იხ. დიაგრამა 2.15).


კვლევაში მონაწილე ექსპერტები თვლიან, რომ კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობაზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენენ აქციონერები/ მფლობელები, მენეჯმენტი და თანამშრომლები. თუმცა, თანამშრომელთა ოჯახებს და მომხმარებლებსაც აქვთ გავლენა. მათი თქმით, კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობაზე ნაკლები გავლენა აქვთ მასმედიას და ინვესტორებს, ხოლო

არასამთავრობო/ არაკომერციული ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და ბიზნეს ასოციაციები უმნიშვნელო გავლენას ახდენენ მასზე (იხ. დიაგრამა 2.16).

დიაგრამა 2.15. სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივი




დიაგრამა 2.16. მთავარი დაინტერესებული მხარეების გავლენა კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობაზე



კომპანიები, სოციალური პასუხისმგებლობის კომუნიკაციისთვის იყენებენ საინფორმაციო ბიულეტენებს/ რეპორტებს, კომპანიის ვებ-გვერდებს და იშვიათად, ბეჭდურ მედიას, ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს (იხ. დიაგრამა 2.17).


სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატორი, ძირითადად, არის დირექტორი/ დირექტორთა საბჭო ან ტოპ-მენეჯმენტი. შესაბამისად, მას დირექტორი მართავს ან ავალებს მის მართვას სხვადასხვა გუნდს, ხოლო იშვიათად, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მართავს სოციალურ პასუხისმგებლობას კომპანიებში.

დიაგრამა 2.17. სოციალური პასუხისმგებლობის საკომუნიკაციო არხები



კვლევაში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მათი კომპანიის მარკეტინგის სამსახური მონაწილეობს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში. ამასთან, მათი უმეტესობა (87%) თვლის, რომ მარკეტინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანიის წარმატებაში. გარდა ამისა, მონაწილეთა 56%-მა დაადასტურა, რომ მათი კომპანია იყენებს სოციალურ მარკეტინგს, ხოლო 11%-მა აღნიშნა, რომ მათ კომპანიებს განუხორციელებიათ მიზეზთან დაკავშირებული მარკეტინგი (იხ. დიაგრამა 2.18).

დიაგრამა 2.18. კომპანიების მიერ გამოყენებული მარკეტინგის ტიპი




რესპონდენტთა 62%-ის მტკიცებით, პროდუქტის ბაზარზე გატანამდე, მათი კომპანია იკვლევს მის გავლენას მომხმარებელზე, რასაც არ ადასტურებს გამოკითხულთა 38%. თუმცა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კომპანიები ცდილობენ პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას. გამოკითხულთა 78% ამბობს, რომ მათი კომპანიის პროდუქტის ხარისხის შესახებ სრული ინფორმაცია დატანილია მის ეტიკეტზე. ხოლო 22% აცხადებს, რომ პროდუქტის ხარისხის შესახებ სრული ინფორმაცია მის ეტიკეტზე დატანილი არ არის.

ყოველდღიურ სამსახურებრივ საქმიანობაში სოციალურ და კომერციულ მიზნებს ერთდროულად ითვალისწინებენ გამოკითხულთა 44%, მათი 33% უფრო ითვალისწინებს, ვიდრე არა, ხოლო 22%, პირიქით, უფრო მეტად არ ითვალისწინებს. ამასთან, მათი უმეტესობა (89%) ფიქრობს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ახალი ბიზნეს მოდელი. გარდა ამისა, გამოკითხული კომპანიების წარმომადგენლები თვლიან, რომ მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობას მოაქვს კონკურენტული უპირატესობა და დადებითი შედეგები კომპანიისთვის. ისინი მიიჩნევენ, რომ სოციალური პასუხისმგებლობა არის მარკეტინგის ინსტრუმენტი და გავლენას ახდენს კომპანიის რეპუტაციაზე. მათი 89% ფიქრობს, რომ პროდუქტის შექმნისას მომხმარებელი ითვალისწინებს კომპანიის რეპუტაციას, ხოლო 56%-ის აზრით, მომხმარებელი პროდუქტის შექმნისას ითვალისწინებს კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას/ ეთიკურობას.

გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ, თანაბარი ფასისა და ხარისხის შემთხვევაში, მომხმარებლისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ბრენდს (89%), ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის იმიჯი (78%) და კომპანიის ეთიკური რეპუტაცია (22%), ხოლო მნიშვნელოვანია რეკლამა (56%). მათი 33% მიიჩნევს, რომ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხოლო შეფუთვა სრულად უმნიშვნელოა 11%-სთვის (იხ. დიაგრამა 2. 19).


დიაგრამა 2.19. გამოკითხულთა აღქმა, თუ რას ითვალისწინებს მომხმარებელი თანაბარი ფასისა და ხარისხის შემთხვევაში



კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა (56%) ფიქრობს, რომ კომპანიის


სოციალური რეპუტაცია/ ეთიკური იმიჯი მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია პროდუქტის შექმნის დროს, მათი 22%-ის აზრით კი, ეს უმნიშვნელოა (იხ. დიაგრამა 2.20).

დიაგრამა 2.20. კომპანიის ეთიკური იმიჯის მნიშვნელობა პროდუქტის შექმნის დროს



გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ კომპანიის სოციალურ/ ეთიკურ რეპუტაციას მომხმარებელი ყველაზე მეტად მედიკამენტების შექმნისას ითვალისწინებს, რასაც მოსდევს საკვები პროდუქტები და ჰიგიენის საშუალებები. მათი 63% ფიქრობს, რომ ნაკლებად ითვალისწინებს ტანსაცმლის შექმნისას, ხოლო 25%-ის აზრით არ ითვალისწინებს ფეხსაცმლის შექმნისას (იხ. დიაგრამა 2.21).

დიაგრამა 2.21. გამოკითხულთა აღქმა, თუ რომელი პროდუქტის შექმნისას ითვალისწინებს მომხმარებელი კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას



კვლევაში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ მათი კომპანია დადებით ეკონომიკურ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და ამბობს,

რომ აქვთ ეთიკური სტანდარტები. ამასთან, მათი 67% აღნიშნავს, რომ მათი კომპანიები არ ახორციელებენ საქველმოქმედო ან ფილანტროპიულ საქმიანობებს. ხოლო 56% თვლის, რომ მათი კომპანია ზრუნავს ეკოლოგიაზე. კითხვას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობა მათი კომპანიისთვის, მხოლოდ 11%-მა უპასუხა, რომ უმნიშვნელოვანესია, 44%-სთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია და ამდენივესთვის - მნიშვნელოვანი.

ამგვარად, ექსპერტების კვლევაში მონაწილეები აღნიშნავენ, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს ეკოლოგიურ, „მწვანე“ მარკეტინგს, მოსახლეობაზე/ საზოგადოებაზე ზრუნვას, იმ პროგრამების მხარდაჭერას, რომლებსაც გრძელვადიანი სოციალური შედეგები მოაქვთ, სოციალურ საქმიანობას, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის და ადგილობრივ მოსახლეობაზე/ საზოგადოებაზე ზრუნვას.

ექსპერტები თვლიან, რომ კომპანიის მთავარი დაინტერესებული მხარე არის მისი მფლობელები/ აქციონერები, რასაც მოსდევს მენეჯმენტი, თანამშრომლები, მომხმარებლები და მომწოდებლები. მათი აზრით, კომპანიებზე გავლენას არ ახდენენ არაკომერციული ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და ადგილობრივი საზოგადოება.

კვლევიდან ჩანს, რომ ქართული კომპანიები, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, აქცენტს ქველმოქმედებაზე და ეკოლოგიაზე აკეთებენ.

სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიებისთვის არის ხედვა, ტრადიცია, მისია ან კონცეფცია. სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივად კი დასახელდა: კომპანიის სტრატეგია/ ხედვა/ მისია, საზოგადოებასთან და ინვესტორებთან ურთიერთობები, ბრენდინგი/ იმიჯი, მარკეტინგული სტრატეგია, აგრეთვე, თანამშრომელთა შენარჩუნება და ახალი ტალანტების მოზიდვა, მომხმარებლების და აქციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება, კონკურენტული უპირატესობის მოპოვება.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათი კომპანიები იყენებენ სოციალურ მარკეტინგს და მიზეზთან დაკავშირებულ მარკეტინგს.

მენეჯერებისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ახალი ბიზნეს მოდელი და ისინი ითვალისწინებენ სოციალურ და კომერციულ მიზნებს ერთდროულად ყოველდღიურ სამსახურებრივ საქმიანობაში.

კვლევის თანახმად, მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობას მოაქვს კონკურენტული უპირატესობა და დადებითი შედეგები კომპანიისთვის. სოციალური

პასუხისმგებლობა კი არის მარკეტინგის ინსტრუმენტი და გავლენას ახდენს კომპანიის რეპუტაციაზე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროდუქტის შექმნისას მომხმარებელი ითვალისწინებს კომპანიის რეპუტაციას და კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას / ეთიკურობას. მათი აზრით, თანაბარი ფასისა და ხარისხის შემთხვევაში, მომხმარებლისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ბრენდს, ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის იმიჯი და მნიშვნელოვანია რეკლამა, ხოლო კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა ნაკლებად მნიშვნელოვანია.

კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა მათი კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია. ისინი აღნიშნავენ, რომ მომხმარებელი ითვალისწინებს კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას პროდუქციის შექმნისას და ყველაზე მეტად კი მედიკამენტების ყიდვისას.

მოსამზადებელი კვლევის შემდეგ განხორციელდა ძირითადი კვლევა მომხმარებლებში, რათა დადგენილიყო მათი დამოკიდებულება კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობისადმი.

2.3. მომხმარებლის პრიორიტეტები პროდუქციის შექმნისას


კვლევაში მონაწილეებს უნდა აღენიშნათ, რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის პროდუქციის შექმნისას. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობისთვის (68%) გადამწყვეტი მნიშვნელობა პროდუქტის შექმნისას აქვს მის ხარისხს, ხოლო 25%-სთვის ხარისხი მნიშვნელოვანია. რესპონდენტთა 53% აღნიშნავს, რომ პროდუქტის ფასია მნიშვნელოვანი და 15% ფასს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. ხოლო, 21%-სთვის ფასს ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს პროდუქტის შექმნისას. მწარმოებელი კომპანიის იმიჯს/ რეპუტაციას მნიშვნელობა აქვს პროდუქტის შექმნისას რესპონდენტთა მხოლოდ 21%-სთვის, ნაკლებად მნიშვნელოვანია 35%-სთვის, უმნიშვნელოა 14%-სთვის და 31%-სთვის მას ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე რაოდენობა ითვალისწინებს, პროდუქტის შექმნისას, მწარმოებელი კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას: 5%-სთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას პროდუქტის შექმნის გადაწყვეტილებისას, 17%-სთვის კი მნიშვნელოვანია, მაგრამ არ აყენებს მას პირველ ადგილზე. კომპანიის სოციალური

პასუხისმგებლობა უმნიშვნელოა რესპონდენტთა 42%-სთვის, ხოლო 37% ნეიტრალურადაა განწყობილი. პროდუქტის შექმნისას წარმოშობის ქვეყანა უმნიშვნელოა გამოკითხულთა უმრავლესობისთვის (54%), ნაკლებად მნიშვნელოვანი 27%-სთვის, მხოლოდ მცირე ნაწილისთვის (11%) არის პროდუქტის წარმოშობის ქვეყანა მნიშვნელოვანი, როდესაც ირჩევენ პროდუქტს შესაძენად.

ამგვარად, გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის, პროდუქციის შექმნისას, მნიშვნელოვანია პროდუქციის ხარისხი და ფასი, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა (იხ. დიაგრამა 2.22).

კვლევის ამ შედეგმა დაადასტურა არლის და ლესმონოს [7] კვლევის დასკვა, რომლის თანახმადაც, განვითარებად ქვეყნებში, მომხმარებელთა უმეტესობისთვის მნიშვნელოვანია პროდუქტის ფასი და ხარისხი. თუმცა, ინდონეზიაში კვლევამ აჩვენა, რომ იქ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის პროდუქტის ფასი [7], მაშინ როდესაც, თბილისში მცხოვრები რესპონდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის პროდუქციის ხარისხი და მხოლოდ ამის შემდეგ არის პროდუქციის ფასი მნიშვნელოვანი.

დიაგრამა 2.22. მნიშვნელოვანი ფაქტორები პროდუქციის შექმნისას



ამასთან, რესპონდენტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას, რაც, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ ისინი ნაკლებად ინფორმირებულები არიან სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხებით.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტთა ორივე ჯგუფისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, პროდუქტების ხარისხია ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქციის შექმნისას. მაგრამ იმ რესპონდენტებისათვის, ვისაც სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ფასისა და ხარისხის შემდეგ, კომპანიის რეპუტაცია და სოციალური პასუხისმგებლობა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ამ საკითხებისადმი ნეიტრალურად განწყობილი რესპონდენტები კი არის კომპანიისთვის ის დიდი ბაზარი, რომელსაც გააჩნია პოტენციალი, რომ მნიშვნელოვანი გახდეს სოციალურ პასუხისმგებლობა პროდუქციის შექმნისას, თუ ამ საკითხის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება. ეს ნიშნავს, რომ კომპანიებს შეუძლიათ მომხმარებელთა ამ ნაწილზე გავლენის მოხდენა მარკეტინგული ინსტრუმენტების მეშვეობით. ამდენად, კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ, განახორციელონ მარკეტინგული აქტივობები მომხმარებელთა ამ ჯგუფისთვის, რათა გაზარდონ მათი აღქმა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და ამით მეტი კლიენტი მიიზიდონ, რაც საბოლოო ჯამში, გავლენას მოახდენს კომპანიების წარმატებაზე და დადებითად აისახება მათ ფინანსურ მაჩვენებლებზე. კვლევიდან ირკვევა, რომ სოციალური პასუხისმგებლობა გახდება მნიშვნელოვანი იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლებს მეტი ინფორმაცია მიეწოდებათ იმ საკომუნიკაციო არხებით, რომლებსაც ანიჭებენ უპირატესობას. კროსტაბულაციური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მათთვის, ვისაც სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, პროდუქციის შექმნისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ხარისხს და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის იმ რესპონდენტების უპირატესობას შორის პროდუქტის შექმნისას, ვინც ინფორმირებულია სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და ვისაც არ სმენია მის შესახებ.

პროდუქციის შექმნის პრიორიტეტები განსხვავდება სქესისა და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ამ ჭრილში, ასაკობრივი განსხვავება უმნიშვნელოა იმ რესპონდენტთა შორის, ვისთვისაც კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანია პროდუქციის შექმნისას. მწარმოებელი კომპანიის სოციალურ

პასუხისმგებლობას მნიშვნელოვნად და ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტთა 12% და 35 წელზე ზემოთ ასაკის რესპონდენტთა 11%. მათი უმეტესობისთვის, ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანია კომპანიის იმიჯი/ რეპუტაცია. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული შეკითხვა დასმული იყო ლაიკერტის 5 ბალიანი გრადაციის მქონე სკალის გამოყენებით. ამიტომ გამოკითხულთა უმეტესობამ პირველი ადგილი მიანიჭა მათთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს პროდუქციის შექმნისას.

პროდუქციის შექმნისას ხარისხს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს გამოკითხულ ქალთა 65% და მამაკაცთა 72%. ამასთან, ხარისხი უმნიშვნელოვანესია 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტთა 61%-სთვის, ხოლო 35-ზე ზემოთ ასაკის რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (78%). ყველა სქესის და ასაკის გამოკითხულთა უმეტესობა, ხარისხის შემდეგ, მნიშვნელობით მეორე ადგილზე აყენებს პროდუქციის ფასს. ქალთა 54%-ის და მამაკაცთა 50%-სთვის პროდუქციის შექმნისას მნიშვნელოვანი ფასია. ამასთან, ფასის მიმართ ნეიტრალურადაა განწყობილი ქალთა 22% და მამაკაცთა 18%. გარდა ამისა, 20-34 წლის რესპონდენტთა 45% და 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტთა 64%, ასევე, ფასს ანიჭებს მნიშვნელობას პროდუქციის შექმნისას. ფასი თითქმის ერთნაირად მნიშვნელოვანია ქალებისთვისაც (54%) და მამაკაცებისთვისაც (50%).

პროდუქციის შექმნისას კომპანიის იმიჯი და რეპუტაცია უმნიშვნელო ან ნაკლებად მნიშვნელოვანია 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტებისთვის. მათი 39% აღნიშნავს, რომ იმიჯი ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხოლო 11%-სთვის – უმნიშვნელოა. კომპანიის იმიჯი ნაკლებად მნიშვნელოვანია ქალთა 41%-სთვის, ხოლო 13% მას საერთოდ უმნიშვნელოდ თვლის. თითქმის იგივე შედეგია მამაკაცთა შორისაც: მათი 24%-სთვის კომპანიის იმიჯი ნაკლებად მნიშვნელოვანია პროდუქციის შექმნისას, ხოლო 16%-სთვის უმნიშვნელოა.

კომპანიის იმიჯი/ რეპუტაციისადმი 20-34 წლის რესპონდენტთა 29% და 35-ზე მეტი ასაკის 33% ნეიტრალურადაა განწყობილი. ამასთან, მამაკაცთა 32% და ქალთა 30%, ასევე, ნეიტრალურადაა განწყობილი მწარმოებელი კომპანიის იმიჯისადმი პროდუქტის შექმნისას. ეს შედეგი აჩვენებს, რომ კომპანიის სწორი სტრატეგიის შედეგად, ნეიტრალურად განწყობილი მომხმარებელი შეიძველის პოზიციას და პოტენციურად, მისთვის მნიშვნელოვანი გახდება კომპანიის რეპუტაცია.

მწარმოებელი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა ქალების უმეტესობისთვის უმნიშვნელო (54%) ან ნაკლებად მნიშვნელოვანია (24%). ასევე, მამაკაცთა უმეტესობისთვის უმნიშვნელო (53%) ან ნაკლებად მნიშვნელოვანია (32%). მაგრამ მათი ნაწილი – მამაკაცთა 5% და ქალების 11%, ნეიტრალურადაა განწყობილი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისადმი. ეს შედეგი მიუთითებს, რომ კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა, ამ ადამიანების ყურადღება მიიქციონ მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენებით და მათზე ზეგავლენა მოახდინონ.

35 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის უფრო მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობა, ვიდრე უმცროსი ასაკის რესპონდენტებისთვის. წარმოშობის ქვეყანა მნიშვნელოვანია გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 19%-სთვის, მამაკაცთა 13%-სთვის, 20-34 წლის ასაკის რესპონდენტთა 18%-სთვის და 35-ზე მეტი ასაკის მომხმარებელთა 15%-სთვის. პროდუქტის შექმნისას ნაკლებად მნიშვნელოვანია წარმოშობის ქვეყანა გამოკითხულ ქალთა 27%-სთვის, მამაკაცთა 32%-სთვის, 20-დან 34 წლის ასაკის რესპონდენტთა 39%-სთვის და 35-ზე მეტი ასაკის 33%-სთვის. მწარმოებელი ქვეყნისადმი ნეიტრალურადაა განწყობილი ქალების 33%, მამაკაცების 42%, 20-34 წლის რესპონდენტთა 39% და 35-ზე მეტი ასაკის 33%. ამგვარად, წარმოშობის ქვეყანა, პროდუქციის შექმნისას, თითქმის ერთნაირად არის მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის და არც სქესის მიხედვითაა მკვეთრი განსხვავება, თუმცა, მამაკაცები მაინც უფრო ნეიტრალურად არიან განწყობილნი.


პირსონის სანდლობის კოეფიციენტი (Pearson Chi-Square) გამოყენებული იყო პროდუქციის შექმნის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკური სანდლობის დასადგენად. დადგინდა, რომ ყველგან $\chi^2 < 0.05$, რაც ამტკიცებს, რომ ანალიზის შედეგი აღნიშნულ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდოა.

ამრიგად, გამოკითხულთა უმეტესობისთვის, როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისთვის, ხარისხი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი პროდუქციის შექმნისას, მეორე ადგილზეა პროდუქტის ფასი, ამას მოჰყვება მწარმოებელი ქვეყნის იმიჯი და რეპუტაცია, შემდეგ წარმოშობის ქვეყანა, ხოლო ბოლო ადგილზეა მწარმოებელი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა.

პროდუქციის შექმნისას, პრიორიტეტები განსხვავდება იმ გამოკითხულთა ორ ჯგუფს შორის, ვინც ინფორმირებულია კორპორაციული სოციალური

პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და ვისაც არ სმენია ამ თემის შესახებ (იხ. დიაგრამა 2.23).

დიაგრამა 2.23. დამოკიდებულება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობასა და პროდუქციის შექმნის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის



იმ რესპონდენტებისათვის, ვისაც სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, გადამწყვეტი ფაქტორი პროდუქციის შექმნისას არის მისი ხარისხი. იმ მომხმარებელთა 51%-სთვის, ვინც იცის კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ, ხარისხი არის უმნიშვნელოვანესი და 36%-სთვის ხარისხი ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი ფაქტორი. ხოლო მათთვის, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის

შესახებ, პროდუქტის ხარისხი უმნიშვნელოვანესია 81%-სთვის და ასევე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობის – 16%-სთვის.

პროდუქტის შექმნის გადაწყვეტილებისას, მეორე განმსაზღვრელი ფაქტორი არის ფასი. იმ გამოკითხულთა 21%-სთვის, ვისაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სმენია, ყველაზე მნიშვნელოვანი ფასია და 43%-სთვისაც ფასი ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობის პროდუქციის შექმნისას. გამოკითხულთა იმ ჯგუფისთვის, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ფასი ყველაზე მნიშვნელოვანი 11%-სთვის, ხოლო ასევე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა უმნიშვნელოვანესი – 60%-სთვის.

მწარმოებელი კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციას ნაკლები მნიშვნელობა აქვს გამოკითხულთა 27%-სთვის, ხოლო 21%-სთვის ის საერთოდ უმნიშვნელოა. სამაგიეროდ, 25% აღნიშნავს, რომ ნეიტრალურადაა განწყობილი ამ ფაქტორისადმი.

გამოკითხულთა ის ჯგუფი, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, კომპანიის იმიჯს და რეპუტაციას ნაკლებად აქცევს ყურადღებას პროდუქტის შექმნისას. 49%-სთვის ეს ფაქტორი ნაკლებად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა. სამაგიეროდ, 35% არის ნეიტრალურად განწყობილი, რაც კომპანიებს მოქმედებისკენ უბიძგებს.

ის მომხმარებლები, ვინც იცის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, მაინც არ ითვალისწინებენ ამ ფაქტორს პროდუქტის შექმნისას. გამოკითხულთა 30%-სთვის კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ხოლო უფრო მეტისთვის (41%) ეს ფაქტორი აბსოლუტურად უმნიშვნელოა პროდუქტის შექმნისას. სამაგიეროდ, გამოკითხულთა 11% ნეიტრალურადაა განწყობილი მწარმოებელი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისადმი, რაც კომპანიებს მომხმარებელთა ამ ნაწილზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს.

ის მომხმარებლები, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, პროდუქტის შექმნისას, როგორც სავარაუდო იყო, არ ითვალისწინებენ ამ ფაქტორს. გამოკითხულთა ამ ჯგუფში მიიჩნევენ, რომ კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას, პროდუქტის შექმნისას, ნაკლები მნიშვნელობა აქვს (25%) ან უმნიშვნელოა (63%).

წარმოშობის ქვეყანას, ასევე, ნაკლები მნიშვნელობა აქვს პროდუქციის შექმნისას. გამოკითხულთა 50% ამ ფაქტორს ნაკლებად ან არ ითვალისწინებს, ხოლო 32% ნეიტრალურადაა განწყობილი მის მიმართ.

მათგან, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, 40% ნეიტრალურად არის განწყობილი წარმოშობის ქვეყნისადმი, ხოლო 32%-სთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია პროდუქტის შექმნისას.

პირსონის სანდლობის კოეფიციენტი (Pearson Chi-Square) გამოყენებული იყო პროდუქციის შექმნის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობას შორის სტატისტიკური სანდლობის დასადგენად. დადგინდა, რომ $\chi^2 < 0.05$, რაც ამტკიცებს, რომ ანალიზის შედეგი ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდოა.

ამრიგად, ისინი, ვისაც სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და ისინი, ვისაც არ სმენია, თითქმის ერთსადაიმთავე ფაქტორებს ითვალისწინებენ პროდუქტის შექმნის დროს გადაწყვეტილების მიღებისას. სამაგიეროდ, მათი დიდი ნაწილი, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, უფრო მეტად არის ნეიტრალურად განწყობილი მწარმოებელი ქვეყნის იმიჯის/ რეპუტაციისადმი (35%), წარმოშობის ქვეყნისადმი (40%), ხოლო უფრო ნაკლებად ნეიტრალურია მწარმოებელი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისადმი (7%).

კვლევის ეს შედეგი მიუთითებს იმ შესაძლებლობებზე, რაც კომპანიებს ეძლევათ, რომ მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებით, გაზარდონ სოციალური პასუხისმგებლობის აღქმა მომხმარებელთა ამ ჯგუფში და ამით ხელი შეუწყონ თავიანთი პროდუქციის პოზიციონირებას ბაზარზე. მომხმარებლის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გათვალისწინება პროდუქციის შექმნისას, კომპანიებისთვის არა მხოლოდ მეტ ღირებულ მომხმარებელს ნიშნავს, არამედ კომპანიის დადებით იმიჯს და რეპუტაციასაც, რაც საბოლოო ჯამში, პოზიტიურად აისახება ამ კომპანიების წარმატებაზე ბაზარზე.

აღსანიშნავია ასევე, რომ მათთვის, ვისაც სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ხარისხისა და ფასის შემდეგ, მნიშვნელოვანია მწარმოებელი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა. ხოლო, მათთვის, ვისაც სმენია სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ეს ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია პროდუქციის შექმნისას, ვიდრე მათთვის, ვისაც არ სმენია ამის შესახებ.

ამდენად, მომხმარებელთა ის ჯგუფი, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, არის ის დიდი ბაზარი, რომელსაც გააჩნია პოტენციური მხარი დაუჭიროს კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას და აქედან გამომდინარე, სოციალური პასუხისმგებლობა გახდეს კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მარკეტინგული ინსტრუმენტი მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის.

2.4. კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა მომხმარებლის მიერ პროდუქტის შეძენის გადაწყვეტილებაზე

გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარი სავსებით ეთანხმება იმ აზრს, რომ თანაბარი ფასისა და ხარისხის შემთხვევაში, შეიძენდა იმ კომპანიის პროდუქტს, რომელსაც აქვს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის რეპუტაცია. გამოკითხულთა დიდი ნაწილი, პროდუქციის შეძენისას, ითვალისწინებს კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას, 34% უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება ამ აზრს, ხოლო 18% - სავსებით ეთანხმება.

ამავდროულად, გამოკითხულ რესპონდენტთა 35% აცხადებს, რომ არ ყიდულობს იმ კომპანიის პროდუქტებს, რომლებიც უპასუხისმგებლო ან არაეთიკურ საქმიანობებს ეწევიან, ხოლო 18% უფრო მეტად ეთანხმება ამ აზრს, ვიდრე არ ეთანხმება.

გამოკითხულ მომხმარებელთა დიდი ნაწილი უფრო ეთანხმება (23%) ან სავსებით ეთანხმება (25%) განაცხადს, რომ გადაიხდის უფრო მეტს იმ კომპანიის პროდუქტებში, რომელიც ზრუნავს მთელს საზოგადოებაზე. ხოლო 27% ამ საკითხისადმი ნეიტრალურადაა განწყობილი, რაც კომპანიებს მათზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს.

გარდა ამისა, მათგან ვისაც სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, უფრო დიდი ნაწილი (27%) აღნიშნავს, რომ მეტს გადაიხდის სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის პროდუქტებში, ვიდრე ისინი, ვისაც არ სმენია სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ (5%).

კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას თითქმის თანაბრად ითვალისწინებს მომხმარებელთა ორივე ჯგუფი - ვისაც სმენია და ვისაც არ სმენია

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ამდენად, განაცხადს „როდესაც რამეს ვყიდულობ, ვითვალისწინებ კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას“ სავსებით ეთანხმება იმ რესპონდენტთა 16%, ვისაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სმენია, ხოლო მათგან, ვისაც არ სმენია, ამ განაცხადს სავსებით ეთანხმება 19%. მაშინ, როდესაც ნეიტრალურადაა განწყობილი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მცოდნე გამოკითხულთა 34% და არმცოდნეთა 33%.

განაცხადს - „არ ვყიდულობ იმ კომპანიის პროდუქტებს, რომლებიც უპასუხისმგებლო ან არაეთიკურ საქმიანობებს ეწევიან“ სავსებით ეთანხმება იმ რესპონდენტთა 30%, რომელმაც იცის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და იმ რესპონდენტთა 39%, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.


თუმცა, გამოკითხულ რესპონდენტთა ის ჯგუფი, რომელმაც იცის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, სრულიად არ ეთანხმება განაცხადს, რომ უფრო მეტს გადაიხდიდა იმ კომპანიის პროდუქტებში, რომელიც მთელ საზოგადოებაზე ზრუნავს (20%), მაშინ როდესაც რესპონდენტთა იმ ნაწილიდან, ვისაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, აღნიშნულ განაცხადს მხოლოდ 12% ეთანხმება სრულად. რესპონდენტთა ამ ჯგუფის უფრო დიდი ნაწილი (32%), პირიქით, სავსებით ეთანხმება აზრს, რომ გადაიხდიდა მეტს იმ კომპანიების პროდუქტებში, რომლებიც ზრუნავენ მთელ საზოგადოებაზე.

გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა აცხადებს, რომ ერთნაირი ფასისა და ხარისხის პირობებში, აირჩევს იმ კომპანიის პროდუქტს, რომელიც ახორციელებს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობებს. რესპონდენტთა 55% იმ ჯგუფიდან, რომელმაც იცის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და 46% იმ ჯგუფიდან, რომელსაც არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, სავსებით ეთანხმება აღნიშნულ განაცხადს (იხ. დიაგრამა 2.24).

კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა მომხმარებელზე პროდუქციის შეძენისას მცირედით განსხვავებულია სქესისა და ასაკის მიხედვით. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის პროდუქტებში მეტს გადაიხდიდა გამოკითხულ ქალთა 16% და მამაკაცთა 13%. ამასთან, 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტები უფრო მეტად განწყობილნი არიან, რომ მეტი გადაიხადონ

სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის პროდუქტებში, ვიდრე 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტები. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აზრი არ აქვს გამოკითხულ ქალთა 38%-ს და მამაკაცთა 40%-ს. ამასთან, ნეიტრალურად არის განწყობილნი 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტების 42% და 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტთა 33%. პროდუქტის შექმნისას, კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას არ ითვალისწინებს გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი: ქალთა 6% და მამაკაცების 5%, მაშინ, როდესაც ქალების 14%-სთვის და მამაკაცების 24%-სთვის ეს ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია. ამასთან, პროდუქტის შექმნისას, 35 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტთა 39% და 20-34 წლის რესპონდენტთა 31% ითვალისწინებს კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას.

დიაგრამა 2.24. კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა მომხმარებელის მიერ პროდუქციის შექმნის გადაწყვეტილებაზე



გამოკითხულ ქალთა 29% და მამაკაცთა 45% სავსებით ეთანხმება იმ აზრს, რომ არ ვიძლეობს იმ კომპანიის პროდუქტებს, რომლებიც უპასუხისმგებლო ან არაეთიკურ საქმიანობებს ეწევიან. ამასთან, 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტების

უფრო მეტი ნაწილი ეთანხმება ამ აზრს, ვიდრე 20-34 წლის რესპონდენტები. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი ჯგუფი მზადაა, მეტი გადაიხადოს იმ კომპანიის პროდუქტებში, რომელიც ზრუნავს მთელ საზოგადოებაზე. გამოკითხულ ქალთა 22% და მამაკაცთა 28% უფრო მეტს გადაიხდიდა იმ კომპანიის პროდუქტებში, რომელიც ზრუნავს მთელ საზოგადოებაზე.

ერთნაირი ფასისა და ხარისხის შემთხვევაში, 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტთა უფრო ნაკლები რაოდენობა (45%), ვიდრე 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტებისა (56%), იმ კომპანიის პროდუქტს ყიდულობს, რომელსაც აქვს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის რეპუტაცია. ამასთან, ორივე სქესის რესპონდენტები თითქმის თანაბრად ეთანხმებიან აღნიშნულ განაცხადს.

სტატისტიკური სანდოობის დასადგენად, პირსონის სანდოობის კოეფიციენტი (Pearson Chi-Square) იყო გამოყენებული. ანალიზის შედეგად დამტკიცდა, რომ აღნიშნული მონაცემები სტატისტიკურად სანდოა, რადგან χ^2 უდრის .000-ს, ანუ < 0.05 -ზე.

ამრიგად, მამაკაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანია კომპანიის ეთიკური საქმიანობა და პროდუქტის შექმნისას უფრო მეტად ითვალისწინებენ კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას, ვიდრე ქალები. ამასთან, 20-34 წლის რესპონდენტები უფრო მეტად არიან განწყობილნი, რომ მეტი გადაიხადონ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის პროდუქტებში და უფრო მეტად ითვალისწინებენ კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას პროდუქტის შექმნისას, ვიდრე 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტები. ხოლო, 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტები უფრო მეტად არიან განწყობილნი, რომ არ შეიძინონ იმ კომპანიის პროდუქტები, რომლებიც უპასუხისმგებლო ან არაეთიკურ საქმიანობებს ეწევიან. მაშინ, როდესაც ამ ფაქტორს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ 20-დან 34 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. ერთნაირი ფასისა და ხარისხის შემთხვევაში, გამოკითხულთა უმეტესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ იმ კომპანიის პროდუქტებს შეიძენენ, რომლებსაც აქვთ სოციალური პასუხისმგებლობის რეპუტაცია. მათგან, 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები უფრო მეტნი არიან, ვიდრე 20-34 წლის რესპონდენტები.

კვლევის შედეგების ანალიზის თანახმად, ერთნაირი ფასისა და ხარისხის შემთხვევაში, მომხმარებლები ირჩევენ იმ კომპანიის პროდუქტებს, რომლებსაც აქვთ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის რეპუტაცია. უფრო მეტიც, ისინი მზად არიან, მეტი გადაიხადონ იმ კომპანიის პროდუქტებში, რომლებიც

საზოგადოებაზე ზრუნავენ და არ შეიძინონ იმ კომპანიების პროდუქტები, რომლებიც უპასუხისმგებლო ან არაერთიკურ საქმიანობებს ეწევიან. ამასთან, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პროდუქციის შექმნისას ითვალისწინებენ კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას.

კვლევაში აჩვენა, რომ ერთნაირი ფასისა და ხარისხის შემთხვევაში, მომხმარებელი შეიძენდა იმ კომპანიის პროდუქტს, რომელსაც აქვს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის რეპუტაცია. კვლევის ეს შედეგი გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ბაზარზე დიფერენცირების შესაძლებლობა და იძლევა კონკურენტული უპირატესობის საშუალებას, რადგან მომხმარებლები ირჩევენ იმ კომპანიის პროდუქტებს, რომლებსაც აქვთ სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები, თუ ხარისხი და ფასი არის ერთნაირი. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელი ითვალისწინებს კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას პროდუქციის შექმნისას.

ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა ის ჯგუფი, რომელსაც სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, უფრო მეტს გადაიხდიდა სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის პროდუქტებში, ვიდრე ის ჯგუფი, რომელიც არ არის ინფორმირებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ეს დასკვნა კომპანიებს საშუალებას აძლევს, უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სოციალურ პასუხისმგებლობას და მის კომუნიკაციას, რათა უკეთ შეძლონ პროდუქციის პოზიციონირება. ამასთან, მომხმარებლის დამოკიდებულება ფასისადმი შესაძლოა შეიცვალოს და ფასზე მნიშვნელოვანი მისთვის მწარმოებელი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა გახდეს.


2.5. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მომხმარებლის ინფორმირებულობის ხარისხი

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის შედეგად, გამოკითხულთა 56%-ს არ სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. მათგან 52% არის ქალი და 62% - მამაკაცი. იმ რესპონდენტთა შორის, ვინც არ არის კორპორაციული სოციალური

პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებული, 52% არის 20-დან 34 წლამდე ასაკის, ხოლო უფრო მეტი, 63%, არის 35 წელზე მეტის.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სმენია რესპონდენტთა 44%-ს, რომელთა შორის უმეტესობა არის ქალი – 48%, ხოლო მამაკაცი არის 39%. ამასთან, ახალგაზრდები უფრო ინფორმირებულნი არიან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტები. 20-34 წლის ასაკის რესპონდენტების 48% და 35 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტთა 38%-ს სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ (იხ. დიაგრამა 2.25).

დიაგრამა 2.25. რესპონდენტთა ინფორმირებულობა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ



კვლევის ანალიზის თანახმად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ უფრო მეტად ახალგაზრდებს სმენიათ, რაც შესაძლოა ინტერნეტის გავლენა იყოს ან უმაღლესი სასწავლებლის დამსახურება. ამასთან, ქალები უფრო ინფორმირებულნი არიან, ვიდრე მამაკაცებს, რაც შესაძლოა კვლევის დემოგრაფიას უკავშირდებოდეს.


თუმცა, საზოგადოდ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მომხმარებლების ინფორმირებულობა ჯერ კიდევ ნაკლებია, რაც იწვევს უფრო მეტი კომუნიკაციის საჭიროებას სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის იმ წყაროს მეშვეობით, რომელსაც მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს.

კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა (19%), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროდ, სპეციალიზებულ

ლიტერატურას ასახელებს, რომელთა შორისაა, ცნობარები, ბუკლეტები და ა. შ. მომდევნო ადგილზეა ინტერნეტი, საიდანაც გამოკითხულთა 15%-მა მიიღო ინფორმაცია სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ხოლო, რესპონდენტთა 12%-მა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან შეიტყო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. რესპონდენტებმა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყაროდ, ასევე, დაასახელეს მეგობრები – 5%-მა, აგრეთვე, თანამშრომლები, ახლობლები და ოჯახის წევრები. ხოლო, გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (56%) არ ფლობს ინფორმაციას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

გამოკითხულ ქალთა უმეტესობამ (22%) ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სპეციალიზებული ლიტერატურიდან მიიღო, ხოლო, 18%-მა – ინტერნეტიდან, იმ დროს, როდესაც მამაკაცთა დიდმა ნაწილმა ინფორმაცია სპეციალიზებული ლიტერატურის გარდა, მიიღო მასმედიიდან და ასევე ინტერნეტიდან. ახალგაზრდა რესპონდენტების უმეტესობამ ინფორმაცია, ძირითადად, მიიღო ინტერნეტიდან (21%), სპეციალიზებული ლიტერატურიდან (21%), ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან (11%), ხოლო, მცირე ნაწილმა (8%) – მეგობრებისგან. 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მიიღეს, უმთავრესად, სპეციალიზებული ლიტერატურიდან ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან (იხ.დიაგრამა 2.26).

დიაგრამა 2.26. ინფორმაციის მიღების წყაროები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ




ამრიგად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობამ ინფორმაცია მიიღო სპეციალიზებული ლიტერატურიდან (42%), ინტერნეტიდან (33%) ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან (27%). ხოლო, მცირე ნაწილმა ინფორმაცია მიიღო მეგობრებისგან (11%), თანამშრომლებისგან (2%), ახლობლებისგან (2%) ან ოჯახის წევრებისგან (2%).

როგორც კვლევის ანალიზიდან ირკვევა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ საინფორმაციო წყაროებს შორის სახელდება სპეციალიზებული ლიტერატურა, ინტერნეტი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ეს არის სწორედ კომუნიკაციის ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც კომპანიებმა უნდა გაავრცელონ ინფორმაცია სოციალური პასუხისმგებლობის დონისძიებების შესახებ, რათა ეფექტურად დაამყარონ ურთიერთობა მომხმარებელთან აღნიშნული საკითხების ირგვლივ. გარდა ამისა, მომხმარებლები უფრო მეტად იყენებენ ინტერნეტს, კომპანიის ცნობარებსა და ბუკლეტებს, ხოლო შედარებით ნაკლებად - ტელევიზიასა და პრესას, კომპანიების კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად. ამიტომ, კომპანიებს შეუძლიათ, სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია განათავსონ ინტერნეტში და ამისთვის საკუთარი ვებგვერდებიც გამოიყენონ. ამით ისინი არა მხოლოდ ეფექტურ საკომუნიკაციო სტრატეგიას წარმართავენ მომხმარებლებთან, არამედ საკუთარი პროდუქციის ეფექტურ რეკლამირებასაც შეძლებენ და ამასთან, აამაღლებენ კომპანიის რეპუტაციას და იმიჯს მომხმარებლის თვალში, რაც მათ გრძელვადიან წარმატებამდე მიიყვანს.

კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის შერჩევისას, მომხმარებლების უმეტესობა - 29% ყველაზე მეტად ენდობა ინტერნეტს, როგორც სარეკლამო საშუალებას. გამოკითხულ ქალთა უმეტესობა (33%) უფრო მეტად ენდობა ინტერნეტს, ხოლო კომპანიის ცნობარებს და ტელევიზიას ენდობა თანაბრად (6%-6%), ყველაზე ნაკლებად კი პრესას (2%) ენდობა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის შერჩევისას (იხ. დიაგრამა 2.27).

დიაგრამა 2.27. კომუნიკაციის სანდო საშუალებები



გამოკითხულ მამაკაცთა უმეტესობაც (23%), ასევე, ინტერნეტს ენდობა ყველაზე მეტად, ხოლო - ყველაზე ნაკლებად კომპანიის ცნობარებს და ბუკლეტებს (3%).

ასაკობრივი კატეგორიის ორივე ჯგუფში ინტერნეტისადმი ყველაზე დიდი ნდობა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის შერჩევისას. 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტების 36% ყველაზე მეტად ენდობა ინტერნეტს, როგორც სარეკლამო საშუალებას. მათი 7% ტელეფონიას ენდობა, ხოლო უმცირესი 2% - პრესას. 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტების უმეტესობაც (20%) ინტერნეტს ენდობა ყველაზე მეტად. ხოლო, ტელეფონიას, პრესას და კომპანიის ცნობარებისადმი ნდობა თანაბარია - 5% შესაბამისად.

ამრიგად, კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ მომხმარებლები უფრო მეტად ენდობიან ინტერნეტს, კომპანიის ცნობარებსა და ბუკლეტებს, ხოლო შედარებით ნაკლებად - ტელეფონიასა და პრესას იმისთვის, რომ მიიღონ ინფორმაცია კომპანიების კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ამასთან, სქესისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით მომხმარებლების აზრი სარეკლამო საშუალებებთან დაკავშირებით საგრძნობლად არ განსხვავდება.

2.6. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის აღქმა მომხმარებელში

გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა (25%) თვლის, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება, სამართლიანი ფასები. გამოკითხულთა 24%-ის აზრით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის სოციალური საქმიანობა, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის. ხოლო, რესპონდენტთა 23%-სთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, მწვანე მარკეტინგი. ამდენივეს მიაჩნია, რომ ის არის იმ პროგრამების მხარდაჭერა, რომლებსაც გრძელვადიანი სოციალური შედეგები მოაქვთ. გამოკითხულთა 21% კი მიიჩნევს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს ადგილობრივ მოსახლეობაზე, საზოგადოებაზე ზრუნვას, ხოლო 20% თვლის, რომ ის არის თვით-რეგულირება, პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება. ამდენივეს აზრით, სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს ეთიკას, პატიოსნებას, კანონმორჩილებას. რესპონდენტთა ნაწილს (18%) მიაჩნია, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა და ამდენივეს აზრით - ხელმოკლე ბავშვების განათლების ხელშეწყობა. გამოკითხულთა 15% თვლის, რომ ის ნიშნავს მომხმარებლებზე ორიენტაციას და ამდენივეს აზრით - ხელშეწყობას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის. მომხმარებელთა, ასევე, 15%-ს მიაჩნია, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში დახმარებას. ამასთან, გამოკითხულთა 14% თვლის, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის სამართლიანი მოპყრობა კლიენტებისა და მომხმარებლებისადმი და 13%-ს მიაჩნია, რომ ის არის თანამშრომლებისადმი კარგი მოპყრობა, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა. რესპონდენტთა მცირე ნაწილის აზრით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს წარმატებულ ბიზნესს (8%), სამართლიან და ღირსეულ დამოკიდებულებას პარტნიორებისა და კონკურენტებისადმი (7%), არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას (6%). ხოლო, რესპონდენტთა 56% უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (იხ. ცხრილი 2.1).

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის აღქმა მომხმარებელში განსხვავებულია სქესისა და ასობრივი კატეგორიების მიხედვით. ქალთა 19% და მამაკაცთა 21% მიიჩნევს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის თვით-რეგულირება, პასუხისმგებლობა, ანგარიშგაღებულება. ამასვე მიიჩნევს 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტთა 23% და 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტთა 15%. ეთიკა, პატიოსნება, კანონმორჩილება არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გამოკითხულ ქალთა 22%-სთვის, მამაკაცთა 15%-სთვის, 20-34 წლის რესპონდენტთა 21%-სთვის და 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტთა 18%-სთვის.

ცხრილი 2.1. რა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მომხმარებლებისთვის

პასუხი	პასუხის %
თვით-რეგულირება, პასუხისმგებლობა/ანგარიშგაღებულება	20%
ეთიკა, პატიოსნება, კანონმორჩილება	20%
თანამშრომლებისადმი კარგი მოპყრობა, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა	13%
ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, მწვანე მარკეტინგი	23%
პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება, სამართლიანი ფასები	25%
მომხმარებლებზე ორიენტირება	15%
ადგილობრივ მოსახლეობაზე/ საზოგადოებაზე ზრუნვა	21%
სოციალური საქმიანობა, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის	24%
წარმატებული ბიზნესი	8%
სამართლიანი და ღირსეული დამოკიდებულება პარტნიორებისა და კონკურენტებისადმი	7%
ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის	15%
იმ პროგრამების მხარდაჭერა, რომლებსაც გრძელვადიანი სოციალური შედეგები მოაქვთ	23%
სამართლიანი მოპყრობა კლიენტებისა და მომხმარებლებისადმი	14%
გარემოს დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა	18%
მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში დახმარება	15%
ხელმოკლე ბავშვების განათლების ხელშეწყობა	18%
არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	6%

რესპონდენტ ქალთა 29% თვლის, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, მწვანე მარკეტინგი, რასაც მამაკაცთა მხოლოდ 13% ეთანხმება. ამასთან, იგივე აზრისაა 20-34 წლის რესპონდენტთა 27% და 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტთა მხოლოდ 15%. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს პროდუქციის ხარისხს და უსაფრთხოებას, სამართლიან ფასებს - გამოკითხულ ქალთა 27%-სთვის და მამაკაცთა 21%-სთვის. ამ აზრს იზიარებს 20-24 წლის რესპონდენტთა 24% და 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტთა 25%.

გამოკითხულ ქალთა 24% და მამაკაცთა 23% ფიქრობს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის სოციალური საქმიანობა, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის. ამ აზრს ეთანხმება 20-34 წლის რესპონდენტთა 26% და 35-ზე მეტი ასაკობრივი კატეგორიის გამოკითხულთა 20%.

გარემოს დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობად მიაჩნია გამოკითხულ ქალთა 14%-ს და მამაკაცთა უფრო მეტ ნაწილს (23%). ამავე აზრს იზიარებს 20-34 წლის რესპონდენტთა 23% და 35 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტთა მხოლოდ 10%.

რესპონდენტ ქალთა მხოლოდ მცირე ნაწილი (6%) მიიჩნევს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს სამართლიან და ღირსეულ დამოკიდებულებას პარტნიორებისა და კონკურენტებისადმი, რასაც ეთანხმება მამაკაცთა ასევე მცირე ნაწილი (8%). ამ აზრს იზიარებს 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტთა 11%, ხოლო 35 და მეტი ასაკის რესპონდენტები ამ ფაქტორს საერთოდ არ მიიჩნევენ სოციალურ პასუხისმგებლობად.

გამოკითხულ მამაკაცთა უმცირესი ნაწილი (3%) თვლის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, რასაც ქალთა უფრო მეტი რაოდენობა (8%) ეთანხმება. ამ აზრს იზიარებს 20-34 წლის რესპონდენტთა 7% და 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტთა მხოლოდ 5%.

წარმატებულ ბიზნესს, როგორც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას აღიქვამს 20-34 წლის ასაკობრივი კატეგორიის მხოლოდ მცირე ნაწილი (11%), რასაც ეთანხმება 35 და უფროსი ასაკის რესპონდენტთა უმცირესი ნაწილი (3%). ამ აზრს იზიარებს გამოკითხულ ქალთა და მამაკაცთა 8%-8%.

თანამშრომლებისადმი კარგი მოპყრობა, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტთა 8%-სთვის. ამ აზრს ეთანხმება უფრო მეტი ახალგაზრდა.

გამოკითხულ ქალთა 16% და მამაკაცთა 13% თვლის, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს მომხმარებელზე ორიენტაციას, რასაც ეთანხმება 20-34 წლის რესპონდენტების 21% და 35-ზე მეტის მხოლოდ 5%.

რესპონდენტი ქალები (21%) და მამაკაცები (21%) თანაბრად მიიჩნევენ, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ადგილობრივ მოსახლეობაზე, საზოგადოებაზე ზრუნვა, რასაც იზიარებს 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტი 13% და ბევრად უფრო მეტი ახალგაზრდა (26%).

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს სამართლიან მოპყრობას კლიენტებისა და მომხმარებლებისადმი გამოკითხულ ქალთა 16%-სთვის, მაგრამ მამაკაცთა უფრო მცირე რაოდენობისთვის (10%).


რესპონდენტ ქალთა 14% და მამაკაცთა 15% მიიჩნევენ, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის, რასაც ეთანხმება 20-34 წლის რესპონდენტი 19% და 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტების ბევრად მცირე რაოდენობა (8%).

გამოკითხულ მამაკაცთა 21% და ქალთა 24% ფიქრობს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს იმ პროგრამების მხარდაჭერას, რომლებსაც გრძელვადიანი სოციალური შედეგები მოაქვთ. ამ აზრს იზიარებს 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტი 18% და მათზე ახალგაზრდების უფრო მეტი რაოდენობა (26%).

რესპონდენტ ქალთა 13% და მამაკაცთა ოდნავ მეტი რაოდენობა (18%) მიიჩნევენ, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში დახმარება, რასაც ეთანხმება 20-34 წლის რესპონდენტი 18% და 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტი უფრო მცირე რაოდენობა (10%).

ხელმოკლე ბავშვების განათლების ხელშეწყობას თვლის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობად 20-34 წლის რესპონდენტი 23% და მათზე უფროსების მხოლოდ 10%. ამ აზრს იზიარებს ქალთა 14% და მამაკაცთა უფრო მეტი რაოდენობა - 23% (იხ. დიაგრამა 2.28).

დიაგრამა 2.28. სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის აღქმა



ამგვარად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის აღქმა მომხმარებელში შედარებით დაბალია. რესპონდენტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება, სამართლიანი ფასები. მეორე ადგილზეა სოციალური საქმიანობა, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის, რასაც მოსდევს ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, მწვანე მარკეტინგი. იმ პროგრამების მხარდაჭერა, რომლებსაც გრძელვადიანი სოციალური შედეგები მოაქვთ, ასევე, მიჩნეულია კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობად. ყველაზე ნაკლები სიხშირით დასახელდა სამართლიანი და ღლიადური დამოკიდებულება პარტნიორებისა და კონკურენტებისადმი. ხოლო ბოლო ადგილზეა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლებს აქვთ ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსის შესახებ, ეს ინფორმაცია საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მათ ზუსტად იცოდნენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. ეს ბუნებრივიც არის გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არ ჩატარებული სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კამპანიები; არც კომპანიები აქტიურობენ ამ თვალსაზრისით, რაც შესაძლოა მომხმარებლის მხრიდან ამ პროდუქტისადმი

მოთხოვნების ნაკლებობიდან გამომდინარეობდეს. თუმცა, კვლევიდან ირკვევა, რომ მომხმარებელი არ არის გულგრილი სოციალური პასუხისმგებლობისადმი და დაინტერესებულია მეტი ინფორმაციის მიღებით.

კვლევის ანალიზიდან გაირკვა, რომ გამოკითხულთა უმეტესობისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს პროდუქციის ხარისხს და უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარე, სოციალური პასუხისმგებლობა მომხმარებლისთვის პირველ რიგში კომპანიის პროდუქციის მაღალ ხარისხთან ასოცირდება. ეს შედეგი კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, სოციალური პასუხისმგებლობის დონისძიებების მეშვეობით თავიანთი პროდუქციის მაღალი ხარისხი დაადასტურონ, რადგან მომხმარებელი ფიქრობს, რომ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა მიუთითებს მისი პროდუქტების მაღალ ხარისხსა და უსაფრთხოებაზე.

2.7. მომხმარებლის მოთხოვნა კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისადმი

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს კომპანიამ იმისთვის, რომ ჩაითვალოს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიად. 31%-ის აზრით, ეს არის ხარისხიანი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზება, სამართლიანი ფასები. მეორე ადგილზეა საზოგადოებაზე ზრუნვა, ადამიანებისათვის დახმარების გაწევა. მას მოსდევს ქველმოქმედება, სპონსორობა, მოხალისეობა. გამოკითხულთა 20%-ს მიაჩნია, რომ ეთიკური, პატიოსანი და კანონმორჩილი ქცევა არის ის ქმედება, რის გამოც კომპანია ჩაითვლება სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიად. ამდენივეს მიაჩნია, რომ ეს არის ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, ენერჯის დამზოგავი პროდუქტების შექმნა. 19% კი თვლის, რომ თანამშრომლებისადმი კარგი დამოკიდებულება, მათი თანასწორობა, კარგი ანაზღაურება, ტრენინგებში ჩართვა არის სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის საქმიანობა. გამოკითხულთა 14%-ის აზრით, კომპანია რომ ჩაითვალოს სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, საჭიროა ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნავდეს.

გამოკითხულთა მხოლოდ 11% ფიქრობს, რომ ამისთვის საკმარისია თვით-რეგულირება, გამჭვირვალობა, ანგარიშგაღებულება (იხ. ცხრილი 2.2).


რესპონდენტ ქალთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ კომპანია ჩაითვლება სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, თუ ის შესთავაზებს მომხმარებელს ხარისხიან პროდუქტებს და მომსახურებას, სამართლიან ფასებს. მათი 27% კი ფიქრობს, რომ ქველმოქმედება, სპონსორობა, მოხალისეობა არის სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის საქმიანობა. რესპონდენტ ქალთა მცირე ნაწილის აზრით, კომპანია ჩაითვლება სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, თუ ის ახორციელებს ისეთ საქმიანობებს, როგორცაა თვით-რეგულირება, გამჭვირვალობა, ანგარიშგაღებულება და ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვა. რესპონდენტ მამაკაცთა უმეტესობაც მიიჩნევს, რომ კომპანია ჩაითვლება სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, თუ ის შესთავაზებს მომხმარებელს ხარისხიან პროდუქტებს და მომსახურებას, სამართლიან ფასებს და ამასთან, იზრუნებს საზოგადოებაზე და გააწევს დახმარებას ადამიანებს. მათი მცირე ნაწილის (5%) აზრით, თვით-რეგულირების, გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების მქონე კომპანიას აქვს სოციალური პასუხისმგებლობა.

ცხრილი 2.2. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის საქმიანობა

პასუხი	პასუხის %
არ ფლობს ინფორმაციას, არ იცის	56%
ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, ენერჯის დამზოგავი პროდუქტების შექმნა	20%
თანამშრომლებისადმი კარგი დამოკიდებულება, მათი თანასწორობა, კარგი ანაზღაურება, ტრენინგებში ჩართვა	19%
ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვა	14%
ეთიკური, პატიოსანი და კანონმორჩილი ქცევა	20%
ხარისხიანი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზება, სამართლიანი ფასები	31%
საზოგადოებაზე ზრუნვა, ადამიანებისათვის დახმარების გაწევა	26%
ქველმოქმედება, სპონსორობა, მოხალისეობა	25%
თვით-რეგულირება, გამჭვირვალობა, ანგარიშგაღებულება	11%

20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტების უმეტესობამ (32%), შეკითხვაზე, თუ რა უნდა გააკეთოს კომპანიამ, რომ ჩაითვალოს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიად, უპასუხეს, რომ ეს არის ხარისხიანი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზება, სამართლიანი ფასები. ამ აზრს დაეთანხმა 35 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტთა უმეტესობაც (30%). მათი მცირე ნაწილი (10%) კომპანიას ჩათვლის სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, თუ მას აქვს თანამშრომლებისადმი კარგი დამოკიდებულება, ზრუნავს მათ თანასწორობაზე, აქვს მათთვის კარგი ანაზღაურება, უზრუნველყოფს მათ ჩართვას ტრენინგებში. ამ აზრს დაეთანხმა 20-34 წლის რესპონდენტთა უფრო მეტი რაოდენობა (24%). ამ ასაკობრივ ჯგუფში, ყველაზე ნაკლები სიხშირით დასახელდა თვით-რეგულირება, გამჭვირვალობა, ანგარიშგადღებულება (იხ. დიაგრამა 2.29).

დიაგრამა 2.29. მომხმარებლის აზრი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით



ამრიგად, მომხმარებელთა უმეტესობა კომპანიას ჩათვლის სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, თუ ის შესთავაზებს ხარისხიან პროდუქტებს და


მომსახურებას სამართლიან ფასად. ამას გარდა, რესპონდენტ ქალთა დიდი ნაწილი თვლის კომპანიას სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ მაშინ, როდესაც ის ეწევა ქველმოქმედებას, სპონსორობას, მოხალისეობას. მამაკაც რესპონდენტთა ნაწილის აზრით კი, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია ზრუნავს ეკოლოგიაზე - ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, ენერჯის დამზოგავი პროდუქტების შექმნა. 20-34 წლის რესპონდენტების ნაწილი კომპანიას სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ ჩათვლიან, თუ ის ზრუნავს თანამშრომლებზე - თანამშრომლებისადმი კარგი დამოკიდებულება, მათი თანასწორობა, კარგი ანაზღაურება, ტრენინგებში ჩართვა. ხოლო უფროსი ასაკის რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს კომპანიას სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ მაშინ, როდესაც ის იქცევა ეთიკურად, პატიოსნად და არის კანონმორჩილი.

ჩატარებული კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა კომპანიას ჩათვლის სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, თუ ის შესთავაზებს ხარისხიან პროდუქტებს და მომსახურებას სამართლიან ფასად. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქტის ხარისხს და შემდეგ ფასს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მომხმარებლისთვის. ამის მიუხედავად, რესპონდენტები მიიჩნევენ კომპანიას სოციალური პასუხისმგებლობის მქონედ, თუკი ის ეწევა ქველმოქმედებას, სპონსორობას, მოხალისეობას, ისევე, როგორც აქვს ეკოლოგიური პასუხისმგებლობა და ქმნის ენერჯის დამზოგავ პროდუქტებს. ამრიგად, კომპანიებისგან მომხმარებელი მოითხოვს პროდუქციის ხარისხსა და უსაფრთხოებას, აგრეთვე, საქველმოქმედო საქმიანობებს და ეკოლოგიაზე ზრუნვას, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში.

გარდა იმისა, თუ რა სახის სოციალურ პასუხისმგებლობაზეა მეტი მოთხოვნა საქართველოში, კვლევამ, აგრეთვე, დაადგინა ის დარგები, რომლებისთვისაც, მომხმარებლის აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის ქონა.

კვლევაში მონაწილეთა უმეტესობამ შეკითხვაზე, თუ რომელი ინდუსტრიისთვის არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სოციალური პასუხისმგებლობა, პასუხად ყველაზე ხშირად დაასახელა ჯანდაცვა. მას მოსდევს კვება და გაზის/ ნავთობის წარმოება. მეოთხე ადგილზეა ფარმაცია და ყველაზე ნაკლები სიხშირით დასახელებულ ინდუსტრიებს შორისაა სასმელების წარმოება, მედია და საცალო ვაჭრობა (იხ. დიაგრამა 2.32).

დიაგრამა 2.30. სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა დარგებისთვის



რესპონდენტ ქალთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ჯანდაცვისთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური პასუხისმგებლობა, რასაც მამაკაცთა უმეტესობაც ეთანხმება და ორივე ასაკობრივი ჯგუფი იზიარებს ამ აზრს. გამოკითხულ ქალთა 11% ფიქრობს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა ყველაზე მნიშვნელოვანი კვების ინდუსტრიისთვის არის, რასაც მამაკაცთა მხოლოდ 5% ეთანხმება. რესპონდენტ ქალთა შორის ნაკლები სიხშირით დასახელდა საცალო ვაჭრობა და სამომხმარებლო საქონლის წარმოება, ხოლო მედია და სასმელების წარმოება საერთოდ არ დასახელებულა. ქალებისგან განსხვავებით, ამ ორ ინდუსტრიას მამაკაცთა 3%-3% მიიჩნევს სოციალური პასუხისმგებლობისთვის უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიებად. სამაგიეროდ, ფარმაცია და საცალო ვაჭრობა მამაკაცმა რესპონდენტებმა არ მიიჩნიეს სოციალური პასუხისმგებლობისთვის მნიშვნელოვანი ინდუსტრიებად და შესაბამისად, არ დაასახელეს.

20-34 წლის რესპონდენტები ფიქრობენ, რომ სოციალური პასუხისმგებლობა ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანდაცვისთვის, რასაც კვების ინდუსტრია მოყვება.

მათთვის ფარმაცია, სასმელების წარმოება, სამომხმარებლო საქონლის წარმოება, მედია და საცალო ვაჭრობა თანაბრად მნიშვნელოვანია.

35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტებიც, ასევე, ჯანდაცვას თვლიან სოციალური პასუხისმგებლობისთვის მნიშვნელოვან ინდუსტრიად. ამას მოსდევს კვების ინდუსტრია. ხოლო სასმელების წარმოება, მედია და საცალო ვაჭრობა რესპონდენტების ამ ჯგუფმა საერთოდ არ დაასახელა.

კვლევიდან ირკვევა, რომ რესპონდენტთა აზრით, სოციალური პასუხისმგებლობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არის ჯანდაცვის სფეროსთვის, რასაც მოსდევს საკვები პროდუქტების ინდუსტრია. ამდენად, მომხმარებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯანმრთელობაა და აქედან გამომდინარე, დიდ ყურადღებას აქცევს კვების უსაფრთხოებასაც. რადგან კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა მომხმარებლისთვის, უპირველეს ყოვლისა, ხარისხიან და უსაფრთხო პროდუქციასთან ასოცირდება, ამიტომ მიიჩნევენ რესპონდენტები, რომ სოციალური პასუხისმგებლობა ამ ინდუსტრიებისთვისაა უმნიშვნელოვანესი. ამასთან, საინტერესოა, რომ ჯანდაცვისა და კვების შემდეგ, მომხმარებლისთვის გაზის/ ნავთობის წარმოებაა ის მნიშვნელოვანი ინდუსტრია, რომელსაც უნდა ჰქონდეს სოციალური პასუხისმგებლობა. კვლევის ეს შედეგი იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ მომხმარებლისთვის კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა არის ერთგვარი გარანტორი, რათა დაცული იყოს მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოება. მომხმარებელს მიაჩნია, რომ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია ითვალისწინებს მათ მოთხოვნებს ხარისხიან პროდუქციასთან და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებით.


თავი 3. მომხმარებელთა დამოკიდებულება ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობისადმი

3.1. მომხმარებლის დამოკიდებულება ქართული კომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებებისადმი

კვლევაში მონაწილეთა დიდ ნაწილს სმენია ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. მათგან უმეტესობა არის ქალი. ხოლო ასაკობრივი კატეგორიის თვალსაზრისით, 35 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების უფრო მეტ ნაწილს სმენია ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ვიდრე მათზე უმცროსებს.

რესპონდენტთა იმ ჯგუფიდან, ვინც ინფორმირებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, 53%-ს სმენია ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ხოლო, გამოკითხულთა უმეტესობა (56%) საერთოდ არ არის ინფორმირებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა უმეტესობა მამაკაცია (იხ. დიაგრამა 3.1).

დიაგრამა 3.1. მომხმარებლის ინფორმირებულობა ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ



კვლევაში მონაწილეთა უმეტესობას მიაჩნია, რომ აუცილებელია ქართული კომპანიები ახორციელებდნენ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. თუმცა, რესპონდენტთა მცირე ნაწილი (7%) აღნიშნავს, რომ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები კარგია, მაგრამ არ არის აუცილებელი. არც ერთი მათგანი არ თვლის, რომ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები უსარგებლოა.

რესპონდენტ ქალთა 40% ფიქრობს, რომ ქართული კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები აუცილებელია, რასაც მამაკაცთა 33% ეთანხმება.

ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფებში შედეგი თითქმის ერთნაირია. 20-34 წლის რესპონდენტების 37% და 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტების 38% იზიარებს იმ აზრს, რომ აუცილებელია ქართული კომპანიები ახორციელებდნენ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. 20-34 წლის რესპონდენტების მცირე ჯგუფი (11%) ფიქრობს, რომ ქართული კომპანიების მიერ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება კარგია, მაგრამ არ არის აუცილებელი.


გამოკითხულთა იმ ჯგუფიდან, ვინც ინფორმირებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, 84% მიიჩნევს, რომ ქართული კომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები აუცილებელია, ხოლო 16% თვლის, რომ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები კარგია, მაგრამ არ არის აუცილებელი. არც ერთი მათგანი არ ფიქრობს, რომ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები უსარგებლოა (იხ. დიაგრამა 3.2).

კვლევის ანალიზის თანახმად, ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მომხმარებელი ინფორმირებულია და მიაჩნია, რომ აუცილებელია ქართული კომპანიები ახორციელებდნენ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ამდენად, ინფორმირებულობა განსაზღვრავს დამოკიდებულებას, რამდენადაც გაჩნდა აუცილებლობის მოთხოვნა.

გამოკითხულ მომხმარებელთა უმეტესობისთვის, შემოთავაზებული მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, ყველაზე მნიშვნელოვანი არის შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი. მეორე ადგილზეა კომპანიის გავლენა გარემოს დაცვაზე, რომელსაც მოსდევს

შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობა. შემდეგ ადგილზეა კომპანიის პოლიტიკა მომხმარებლებთან ურთიერთობაში. ამას მოსდევს საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა. გამოკითხულთა 17%, შემოთავაზებული მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს კომპანიის პოლიტიკას თანამშრომლებთან ურთიერთობაში. ხოლო 12%-სთვის უმნიშვნელოვანესია კომპანიის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე. მათი მცირე ნაწილი (7%) მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის უნიკალურობაა და 5%-ის აზრით - შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის მრავალფეროვნება. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, არც ერთმა რესპონდენტმა არ დააყენა პირველ ადგილზე კომპანიის ურთიერთობა მთავრობასთან.

დიაგრამა 3.2. დამოკიდებულება ქართული კომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებებისადმი




გამოკითხულთა 16%, მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, ნეიტრალურადაა განწყობილი საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხელშეწყობისადმი. ხოლო 10%-სთვის, ასევე, თანაბრად არის მნიშვნელოვანი და

უმნიშვნელო კომპანიის პოლიტიკა თანამშრომლებთან ურთიერთობაში. მათი 29% კი კომპანიის ურთიერთობას მთავრობასთან უყურებს ნეიტრალურად.

შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის უნიკალურობა ყველაზე უმნიშვნელოა გამოკითხულთა 35%-სთვის და უმნიშვნელოა 12%-სთვის. კომპანიის გავლენას ბიზნესის განვითარებაზე, ასევე, უმნიშვნელოდ ან ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გამოკითხულთა დიდი ნაწილი, ხოლო მათი კიდევ უფრო დიდი ნაწილისთვის შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის მრავალფეროვნება არის ძალიან უმნიშვნელო (იხ. დიაგრამა 3.3).


დიაგრამა 3.3. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასება



მომხმარებლების მიერ კომპანიების მიერ შემოთავაზებული მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობისადმი დამოკიდებულება შეფასებული იყო 10 ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა ყველაზე მნიშვნელოვანს, ხოლო 10 – უმნიშვნელოს. მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებული იყო სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მეთოდი ONEWAY ANOVA. ანალიზმა დაადასტურა, რომ სტატისტიკურად სანდო განსხვავებებია ასაკობრივ ჯგუფებს შორის და რომ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი მნიშვნელოვანია

ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. სანდოობის ინტერვალი არის 95% (იხ. გრაფიკი 1 და ცხრილი 3.1).

გრაფიკი 1. შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხის აღქმა




ცხრილი 3.1. ANOVA შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხის აღქმასა და ასაკობრივ კატეგორიას შორის

ასაკობრივ კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	4.75	3.376	0.844	2.95	6.55	1	10
25-34	2.85	2.945	0.289	2.27	3.42	1	10
35-54	1.64	1.74	0.262	1.11	2.17	1	7
35+	4.67	3.939	1.137	2.16	7.17	2	10
სულ	2.84	2.954	0.223	2.4	3.28	1	10
ერთფაქტორიანი ANOVA							
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. \mathcal{T}^2		
ჯგუფებს შორის	162.159	3	54.053	6.809	0.00		
ჯგუფებში	1365.387	172	7.938				
სულ	1527.545	175					

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა განსხვავებები რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ

ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობის აღქმას შორის. თუმცა, დადასტურდა, რომ ყველა მათგანისთვის მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია იყოს ღია და ხელმისაწვდომი. რესპონდენტთა პასუხები გრაფიკზე განაწილდა საშუალოზე ქვემოთ, რაც ნიშნავს, რომ მათ არ მიუნიჭებიათ ამ ფაქტორისთვის ქულები 5-ზე ზემოთ 10 ბალიან სკალაზე (იხ. გრაფიკი 2 და ცხრილი 3.2).

გრაფიკი 2. შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა



ამასთან, ANOVA-ს მეთოდით კვლევამ დაადასტურა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა და რადგან $F^2 = 0.004$, კვლევა არის სტატისტიკურად სანდო.

ცხრილი 3.2. ANOVA შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობასა და ასაკობრივ კატეგორიას შორის


ასაკობრივი კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	4.5	3.307	0.827	2.74	6.26	2	10
25-34	4	2.94	0.294	3.42	4.58	1	9
35-54	3.83	3.497	0.505	2.82	4.85	1	10
35+	7.33	1.969	0.569	6.08	8.58	6	10
სულ	4.23	3.178	0.24	3.75	4.7	1	10

3.2 ცხრილის გაგრძელება

ერთფაქტორიანი ANOVA					
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. T^2
ჯგუფებს შორის	129.576	3	43.192	4.537	0.004
ჯგუფებში	1637.333	172	9.519		
სულ	1766.909	175			

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა განსხვავებები რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, კომპანიის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე. თუმცა, დადასტურდა, რომ ეს ფაქტორი ყველა მათგანისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. რესპონდენტთა პასუხები გრაფიკზე განაწილდა საშუალოზე ქვემოთ, რაც ნიშნავს, რომ მათ არ მიუნიჭებიან აღნიშნული ფაქტორისთვის ქულები 5-ზე ზემოთ 10 ბალიან სკალაზე (იხ. გრაფიკი 3 და ცხრილი 3.3).

გრაფიკი 3. ბიზნესის განვითარებაზე კომპანიის გავლენის აღქმა



ცხრილი 3.3. ANOVA ბიზნესის განვითარებაზე კომპანიის გავლენის მნიშვნელობასა და ასაკობრივ კატეგორიას შორის

ასაკობრივი კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	4.5	3.386	0.847	2.7	6.3	2	10


3.3 ცხრილის გაგრძელება

25-34	5.58	2.987	0.305	4.98	6.19	1	10
35-54	5.45	2.637	0.397	4.65	6.26	1	9
35+	8	1.477	0.426	7.06	8.94	7	10
სულ	5.62	2.928	0.226	5.17	6.07	1	10
ერთფაქტორიანი ANOVA							
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. T^2		
ჯგუფებს შორის	89.377	3	29.792	3.64	0.014		
ჯგუფებში	1342.242	164	8.184				
სულ	1431.619	167					

ამასთან, ANOVA-ს მეთოდით კვლევამ დაადასტურა, რომ გამოკითხულთათვის მნიშვნელოვანია კომპანიის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე, თუმცა, აჩვენა განსხვავებები ასაკობრივ ჯგუფებში. ხოლო, რადგან $T^2 = 0.014$, ანალიზი არის სტატისტიკურად სანდო.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა განსხვავებები რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, კომპანიის გავლენა გარემოს დაცვაზე. დადასტურდა, რომ ეს ფაქტორი ყველა მათგანისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. რესპონდენტთა პასუხები გრაფიკზე განაწილდა საშუალოზე ქვემოთ, რაც ნიშნავს, რომ გამოკითხულთა უმეტესობამ მნიშვნელოვნად შეაფასა აღნიშნული ფაქტორი ის. გრაფიკი 4 და ცხრილი 3.4).

გრაფიკი 4. გარემოს დაცვაზე კომპანიის გავლენის აღქმა



ცხრილი 3.4. ANOVA გარემოს დაცვაზე კომპანიის გავლენის მნიშვნელობასა და ასაკობრივ კატეგორიას შორის


ასაკობრივი კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	2.25	1.342	0.335	1.54	2.96	1	4
25-34	4	3.101	0.31	3.38	4.62	1	9
35-54	3.55	1.797	0.271	3	4.09	1	6
35+	3.33	0.492	0.142	3.02	3.65	3	4
სულ	3.67	2.611	0.199	3.28	4.07	1	9
ONEWAY ANOVA							
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2		
ჯგუფებს შორის	45.192	3	15.064	2.258	0.083		
ჯგუფებში	1120.576	168	6.67				
სულ	1165.767	171					

ამასთან, ANOVA-ს მეთოდით კვლევამ დაადასტურა, რომ გამოკითხულთათვის მნიშვნელოვანია კომპანიის გავლენა გარემოს დაცვაზე, თუმცა, აჩვენა განსხვავებები ასაკობრივ ჯგუფებში. ხოლო, რადგან $F^2 = 0.083$, ანალიზი სტატისტიკურად სანდოა.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა განსხვავებები რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, ქართული კომპანიების მიერ საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა. აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტორი ყველა მათგანისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. ხოლო, უფრო მეტად მნიშვნელოვანი 20-24 წლის რესპონდენტებისთვის არის.

ამასთან, ANOVA-ს მეთოდით კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთათვის მნიშვნელოვანია ქართული კომპანიების მიერ საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა და დაადასტურა განსხვავებები ასაკობრივ ჯგუფებში. სანდოობის კოეფიციენტი $F^2 = 0.041$, რაც ამტკიცებს, რომ კვლევა არის სტატისტიკურად სანდო (იხ. გრაფიკი 5 და ცხრილი 3.5).

გრაფიკი 5. საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხელშეწყობის აღქმა




ცხრილი 3.5. ANOVA კომპანიის მიერ საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხელშეწყობის მნიშვნელობასა და ასაკობრივ კატეგორიას შორის

ასაკობრივი კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	4.75	3.376	0.844	2.95	6.55	2	10
25-34	3.38	2.54	0.249	2.89	3.88	0	10
35-54	4.55	1.898	0.286	3.97	5.12	1	7
35+	3.67	3.939	1.137	1.16	6.17	1	9
სულ	3.82	2.638	0.199	3.43	4.21	0	10
ერთფაქტორიანი ANOVA							
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2		
ჯგუფებს შორის	56.991	3	18.997	2.814	0.041		
ჯგუფებში	1161.191	172	6.751				
სულ	1218.182	175					

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა განსხვავებები რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, კომპანიის ურთიერთობა მთავრობასთან. თუმცა, დადასტურდა, რომ ეს ფაქტორი ყველა მათგანისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია (იხ. გრაფიკი 6).

გრაფიკი 6. კომპანიის ურთიერთობა მთავრობასთან



ANOVA-ს მეთოდით კვლევა დაადასტურა, რომ რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია კომპანიის მიერ საზოგადოების კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა. ამასთან, ანალიზმა დაადასტურა ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებები. ხოლო, რადგან $F^2 = 0.00$, ანალიზი არის სტატისტიკურად სანდო (იხ. ცხრილი 3.6).


ცხრილი 3.6. ANOVA კომპანიის მთავრობასთან ურთიერთობის ხელშეწყობის მნიშვნელობასა და ასაკობრივ კატეგორიას შორის

ასაკობრივი კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	5.75	3.89	0.973	3.68	7.82	2	10
25-34	5	1.903	0.194	4.61	5.39	0	9
35-54	6.27	3.259	0.491	5.28	7.26	2	10
35+	9.67	0.492	0.142	9.35	9.98	9	10
სულ	5.74	2.769	0.214	5.32	6.16	0	10
ერთფაქტორიანი ANOVA							
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2		
ჯგუფებს შორის	250.082	3	83.361	13.268	0.00		
ჯგუფებში	1030.394	164	6.283				
სულ	1280.476	167					

სტატისტიკურმა ანალიზმა დაადასტურა განსხვავებები რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, კომპანიის

პოლიტიკა თანამშრომლებთან ურთიერთობაში, როდესაც აფასებენ ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობას. აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტორი ყველა მათგანისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. რესპონდენტთა პასუხები გრაფიკზე განაწილდა საშუალოზე ქვემოთ, რაც ნიშნავს, რომ მათ არ მიუნიჭებიათ აღნიშნული ფაქტორისთვის ქულები 5-ზე ზემოთ 10 ბალიან სკალაზე (იხ. გრაფიკი 7 და ცხრილი 3.7).

გრაფიკი 7. კომპანიის პოლიტიკა თანამშრომლებთან ურთიერთობაში



ANOVA-ს მეთოდით კვლევამ დაამტკიცა, რომ გამოკითხულთათვის მნიშვნელოვანია კომპანიის პოლიტიკა თანამშრომლებთან ურთიერთობაში და დაადასტურა კვლევის სტატისტიკური სანდოობა: $F = 0.00$.

ცხრილი 3.7. ANOVA თანამშრომლებთან ურთიერთობაში კომპანიის პოლიტიკის მნიშვნელობასა და ასაკობრივ კატეგორიას შორის

ასაკობრივი კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	4.5	3.899	0.975	2.42	6.58	1	10
25-34	4.75	2.534	0.259	4.24	5.26	1	10
35-54	4.18	2.234	0.337	3.5	4.86	1	8
35+	9.33	0.492	0.142	9.02	9.65	9	10
სულ	4.9	2.81	0.217	4.48	5.33	1	10
ერთფაქტორიანი ANOVA							
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2		

3.7 ცხრილის გაგრძელება

ჯგუფებს შორის	263.264	3	87.755	13.639	0.00
ჯგუფებში	1055.212	164	6.434		
სულ	1318.476	167			

ამრიგად, მომხმარებლებისთვის, მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, უფრო მნიშვნელოვანია შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი, კომპანიის გავლენა გარემოს დაცვაზე, შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობა, კომპანიის პოლიტიკა მომხმარებლებთან ურთიერთობაში და საზოგადოების კეთილდღეობისთვის ხელშეწყობა, ვიდრე შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის უნიკალურობა, შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის მრავალფეროვნება, კომპანიის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე და კომპანიის ურთიერთობა მთავრობასთან.

კვლევის ანალიზიდან ირკვევა, რომ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის დონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების დროს, ქართულმა კომპანიებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მომხმარებლის მოთხოვნა სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხთან, შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობასთან, გარემოს დაცვაზე კომპანიის გავლენასთან, კომპანიის პოლიტიკასთან მომხმარებლებთან ურთიერთობაში და საზოგადოების კეთილდღეობისთვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით. თუ კომპანიები გაითვალისწინებენ აღნიშნულ მოთხოვნებს და შესაბამისად დაგეგმვენ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ დონისძიებებს, მოიპოვებენ მომხმარებელთა კეთილგანწყობას და ლოალობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელი ნაკლებად ინფორმირებულია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ქართული კომპანიები ეწევიან სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობებს. შეკითხვაზე, თუ რამდენი ქართული კომპანია მიმართავს სოციალური პასუხისმგებლობის დონისძიებებს, გამოკითხულთა უმეტესობამ უპასუხა, რომ 1-დან 5 კომპანიამდე, 12% თვლის, რომ 5-10 ქართული კომპანია ახორციელებს სოციალური პასუხისმგებლობის დონისძიებებს, ხოლო 7%-ის აზრით, 10-15 ქართული კომპანია ახორციელებს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ დონისძიებებს. რესპონდენტთა

მხოლოდ 4% მიიჩნევს, რომ 15-ზე მეტი ქართული კომპანია მიმართავს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს.

მათგან, ვისაც სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, 49% ფიქრობს, რომ მხოლოდ 1-5 ქართული კომპანია ახორციელებს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ამ ჯგუფის 27% მიიჩნევს, რომ, უფრო მეტი, 5-10 ქართული კომპანია მიმართავს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს, ხოლო 16%-ის აზრით, 10-15 ქართულ კომპანიას აქვს სოციალური პასუხისმგებლობა. ამ რესპონდენტთა მცირე ნაწილი (9%) ფიქრობს, რომ ამ საქმიანობით დაკავებულია 15-ზე მეტი ქართული კომპანია.


რესპონდენტთა სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავებულია დამოკიდებულება ქართული კომპანიების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც ახორციელებს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს.

რესპონდენტ ქალთა 21% და მამაკაცთა 23% თვლის, რომ 1-დან 5 ქართულ კომპანიამდე ახორციელებს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს. ხოლო, რესპონდენტ ქალთა 14% და მამაკაცთა უფრო ნაკლები რაოდენობა (8%) ფიქრობს, რომ 5-10 ქართული კომპანიაა სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებით დაკავებული. უფრო მეტი ქართულ კომპანიას (10-15) მიიჩნევს ქალთა 6% და მამაკაცთა 8%, იმ დროს, როდესაც მხოლოდ ქალთა 6% ფიქრობს, რომ 15 და მეტი ქართული კომპანია მიმართავს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს, რასაც არც ერთი მამაკაცი არ ეთანხმება.

ასაკობრივ კატეგორიაშიც არის მცირე ცვლილებები ამ კითხვის პასუხებში. 20-34 წლის რესპონდენტთა უფრო ნაკლები რაოდენობა (19%) მიიჩნევს, რომ მხოლოდ 1-5 ქართული კომპანია ახორციელებს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს, მაშინ როდესაც ამ აზრს უფროსი ასაკის რესპონდენტთა 25% უჭერს მხარს. სამაგიეროდ, 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტების უფრო მეტი რაოდენობა (16%) ფიქრობს, რომ 5-10 ქართული კომპანია მიმართავს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს. ამ აზრს 35 და მეტი ასაკის რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი (5%) იზიარებს. ახალგაზრდების ასევე უფრო მეტი რაოდენობა (10%) მიიჩნევს, რომ სოციალური პასუხისმგებლობით დაკავებულია 10-15 ქართული კომპანია, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაგან მხოლოდ 3% ფიქრობს იგივეს. 20-34 წლის რესპონდენტთა 3% და 35 და მეტი ასაკის რესპონდენტთა 5% თვლის, რომ 15-ზე მეტი ქართული კომპანია

ასორციელებს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს (იხ. დიაგრამა 3.4).

დიაგრამა 3.4. მომხმარებლის აღქმა, თუ რამდენ ქართული კომპანიას აქვს სოციალური პასუხისმგებლობა




შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ რესპონდენტები ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მათი ინფორმირებულობის ხარისხს, გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ დაბალია. 6%-ის აზრით, მათი ინფორმირებულობის ხარისხი არის საშუალო და 7%-მა უარი განაცხადა პასუხზე, რადგან ვერ აფასებდა. არც ერთი რესპონდენტი არ ფიქრობს, რომ ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მათი ინფორმირებულობის ხარისხი არის მაღალი.

მცირე განხვავებაა პასუხებში სქესისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. რესპონდენტ ქალთა 32% და მამაკაცთა 31% მიიჩნევს, რომ მათი ინფორმირებულობის ხარისხი ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არის დაბალი. რესპონდენტი ქალების 6% და მამაკაცების 5% კი თვლის, რომ საშუალოა მათი ინფორმირებულობის ხარისხი. 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტთა 34%-ის აზრით, ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მათი ინფორმირებულობის ხარისხი არის დაბალი. ასევე ფიქრობს 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტთა 28%. 20-34

წლის რესპონდენტების 5% და უფროსი ასაკის რესპონდენტების უფრო მეტი (8%) მიიჩნევს, რომ მათი ინფორმირებულობის ხარისხი საშუალოა (იხ. დიაგრამა 3.5).

დიაგრამა 3.5. მომხმარებლის ინფორმირებულობის ხარისხი ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ




როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, მომხმარებლები არ არიან კმაყოფილნი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მათი ინფორმირებულობის ხარისხით და მოითხოვენ ამ საკითხზე მეტ ინფორმაციას კომპანიებისაგან.

კვლევის შედეგად დადგინდა ის საინფორმაციო სტიმულები, რომლებსაც გამოკითხულთა უმეტესობა ანიჭებს უპირატესობას კომპანიის მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას. მათ შორის, პირველ რიგში დასახელდა საკუთარი გამოცდილება. მეორე ადგილზეა სატელევიზიო რეკლამა, რომელსაც მოჰყვება ინტერნეტი. ამას მოსდევს ახლობლის ან მეგობრის რჩევა. შემდეგ არის ბეჭდური რეკლამა, რომელშიც იგულისხმება გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები და ა. შ. ხოლო, ბოლო ადგილზეა რადიო რეკლამა.

საინფორმაციო სტიმულებიდან / ნაკადებიდან, კომპანიის მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, საკუთარ გამოცდილებას ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა 35% და უმნიშვნელოდ - 10%. სატელევიზიო რეკლამას ყველაზე მნიშვნელოვნად თვლის რესპონდენთა 31%, მნიშვნელოვნად 21%, ხოლო უმნიშვნელოდ - 12% და ნაკლებად მნიშვნელოვნად

14%. ინტერნეტს ყველაზე დიდ უპირატესობას ანიჭებს გამოკითხულთა 19%, ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს 14% და მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად 12%. ახლობლის/ მეგობრის რჩევას ძალიან მნიშვნელოვნად თვლის რესპონდენტების 24%, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად 17% და უმნიშვნელოდ 2%. ბეჭდურ რეკლამას (გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები და ა.შ) მნიშვნელოვნად თვლის გამოკითხულთა 43%, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად - 19% და ძალიან მნიშვნელოვნად მხოლოდ 2%, მაშინ, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს 10%. რადიო რეკლამას გამოკითხულთა მხოლოდ 7% ანიჭებს უპირატესობას საინფორმაციო სტიმულებს შორის კომპანიის მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას. გამოკითხულთა 29% მას ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს და 12% - უმნიშვნელოდ (იხ. დიაგრამა 3.6).

დიაგრამა 3.6. საინფორმაციო სტიმულები კომპანიის მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას




სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, საინფორმაციო ნაკადებს შორის მომხმარებლების უპირატესობის დასადგენად, გამოყენებული იყო 7 ბალიანი სკალა, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 7, ხოლო მნიშვნელობით ბოლო - 1.

ამ მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებული იყო სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ONEWAY ANOVA ანალიზი.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა განსხვავებები რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, თუ რომელ საინფორმაციო ნაკადებს / სტიმულებს ანიჭებენ ისინი უპირატესობას კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას. დადასტურდა, რომ ბეჭდური რეკლამა ნაკლებად მნიშვნელოვანია ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, განსაკუთრებით კი, 20-24 წლის ასაკის რესპონდენტებისთვის არის ის ყველაზე უფრო უმნიშვნელო (იხ. გრაფიკი 9 ცხრილი 3.8).

გრაფიკი 9. რესპონდენტების დამოკიდებულება ბეჭდური რეკლამისადმი



ამასთან, ANOVA-ს მეთოდით კვლევამ დაადასტურა, რომ გამოკითხულთათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ბეჭდური რეკლამა და რადგან $F^2 = 0.005$, ანალიზი არის სტატისტიკურად სანდო.

ცხრილი 3.8. ANOVA ბეჭდური რეკლამისადმი დამოკიდებულებასა და ასაკობრივი კატეგორიას შორის


ასაკობრივი კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	3.75	0.856	0.214	3.29	4.21	3	5
25-34	3.42	1.56	0.159	3.1	3.73	0	7
35-54	3.17	1.358	0.196	2.77	3.56	1	7
35+	5	2.954	0.853	3.12	6.88	1	7
სულ	3.49	1.638	0.125	3.24	3.73	0	7
ერთფაქტორიანი ANOVA							
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2		

3.8 ცხრილის გაგრძელება

ჯგუფებს შორის	33.977	3	11.326	4.477	0.005
ჯგუფებში	425	168	2.53		
სულ	458.977	171			

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა განსხვავებები რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის რადიო რეკლამისადმი და დადასტურდა, რომ რადიო რეკლამა ნაკლებად მნიშვნელოვანია ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, განსაკუთრებით კი, 20-24 წლის ასაკის რესპონდენტებისთვის არის ის უმნიშვნელო (იხ. გრაფიკი 10 და ცხრილი 3.9).

გრაფიკი 10. რესპონდენტების დამოკიდებულება რადიო რეკლამისადმი



ANOVA-ს მეთოდით კვლევაში კი დაამტკიცა, რომ გამოკითხულთათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ან უმნიშვნელოა რადიო რეკლამა. ხოლო, რადგან $F^2 = 0.00$, კვლევა არის სტატისტიკურად სანდო.

ცხრილი 3.9. ANOVA რადიო რეკლამისადმი დამოკიდებულებასა და ასაკობრივ კატეგორიას შორის

ასაკობრივი კატეგორია	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული შეცდომა	95% Confidence Interval for Mean		Minimum	Maximum
				Lower Bound	Upper Bound		
20-24	1.5	0.516	0.129	1.22	1.78	1	2
25-34	3.64	2.106	0.211	3.22	4.06	0	7

3.9 ცხრილის გაგრძელება

35-54	3.45	1.517	0.229	2.99	3.92	1	6
35+	2.67	1.969	0.569	1.42	3.92	0	4
სულ	3.33	1.955	0.149	3.03	3.62	0	7
ერთფაქტორიანი ANOVA							
	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.	χ^2	
ჯგუფებს შორის	69.152	3	23.051	6.624	0.00		
ჯგუფებში	584.616	168	3.48				
სულ	653.767	171					


ამრიგად, გამოკითხულთა უმეტესობა, საინფორმაციო სტიმულებს შორის, მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისას, ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს სატელევიზიო რეკლამას საკუთარი გამოცდილების შემდეგ. ამას მოსდევს ინტერნეტი და ბოლო ადგილზეა რადიო რეკლამა. ეს შედეგი მიუთითებს, რომ მომხმარებლები მაინც საკუთარ გამოცდილებას ენდობიან ყველაზე მეტად. მაგრამ, ასევე, ტელევიზიიდან და ინტერნეტიდან სურთ კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღება. ამდენად, კომპანიებმა ტელევიზია და ინტერნეტი უნდა გამოიყენონ სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ აუდიტორიასთან კომუნიკაციის მიზნით. ეს უფრო ეფექტურს გახდის მათ მარკეტინგულ კამპანიას.

კვლევის ანალიზიდან ირკვევა, რომ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი ან საერთოდ არასაკმარისია. კვლევაში მონაწილეთა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ არსებული ინფორმაცია მეტ-ნაკლებად საკმარისია. ხოლო, რესპონდენტთა მხოლოდ 2% თვლის, რომ არსებული ინფორმაცია საკმარისია.

რესპონდენტების შეხედულებები მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით საგრძნობლად განსხვავდება როგორც სქესის მიხედვით, ასევე ასაკობრივ კატეგორიებში. რესპონდენტ ქალთა 14% და მამაკაცთა 13% ფიქრობს, რომ არსებული ინფორმაცია საერთოდ არ არის საკმარისი. ქალების 24% და მამაკაცების უფრო ნაკლები რაოდენობის (15%) აზრით, არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი. რესპონდენტ ქალთა მხოლოდ 2% და ოდნავ მეტი მამაკაცი (3%) მიიჩნევს არსებულ ინფორმაციას საკმარისად.

20-34 წლის რესპონდენტთა 15% და უფროსი ასაკის რესპონდენტების 13% ფიქრობს, რომ არსებული ინფორმაცია საერთოდ არ არის საკმარისი. 20-დან 34 წლის ასაკამდე რესპონდენტების უმეტესობა (31%) და 35 წელზე მეტის რესპონდენტთა მცირე ნაწილი (5%) მიიჩნევს, რომ არსებული ინფორმაცია საკმარისი არ არის. 20-34 წლის რესპონდენტთა უმცირესი ნაწილი (2%) თვლის, რომ არსებული ინფორმაცია მეტ-ნაკლებად საკმარისია, რასაც 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტთა უფრო დიდი რაოდენობა (18%) ეთანხმება. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებულ ინფორმაციას საკამრისად მიიჩნევს 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტთა მხოლოდ 2% და 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტთა ოდნავ მეტი - 3% (იხ. დიაგრამა 3.7).

დიაგრამა 3.7. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული ინფორმაცია



კვლევის თანახმად, მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი ან საერთოდ არასაკმარისია. ამრიგად,

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მოითხოვს მეტ ინფორმაციას მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ („არსებული ინფორმაცია მეტ-ნაკლებად საკმარისია“ - 21%, „არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი“ - 21%, „არსებული ინფორმაცია საერთოდ არ არის საკმარისი“ - 8%). ამდენად, საჭიროა მეტი ინფორმაციული ხასიათის კომუნიკაცია მომხმარებლებთან იმ საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, რასაც მათი უმეტესობა ანიჭებს უპირატესობას ასეთი ტიპის ინფორმაციის მისაღებად. ეს კი ნიშნავს, რომ კომპანიებმა უნდა იზრუნონ, მეტი ინფორმაცია მიაწოდონ მომხმარებლებს მათ მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობების შესახებ.

კვლევის შედეგად ასევე გაირკვა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა უკმაყოფილოა ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით. მათ 6%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, ხოლო 10% აღნიშნავს, რომ კმაყოფილია ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით.


რესპონდენტ ქალთა 11% და მამაკაცთა 8% კმაყოფილია კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით. ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს რესპონდენტი ქალების 8%-ს და მამაკაცების მცირე რაოდენობას (3%). რესპონდენტ ქალთა უმეტესობა (21%) და მამაკაცთა 10% უკმაყოფილოა კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით. რესპონდენტი ქალების 8% და მამაკაცების უმეტესობა (18%) ძალიან უკმაყოფილოა ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით.

ასაკობრივი კატეგორიების მიხედვითაც განსხვავდება მომხმარებლის კმაყოფილების დონე ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით. 20-34 წლის რესპონდენტების უმეტესობა (21%) უკმაყოფილოა და 15% ძალიან უკმაყოფილოა კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით. მათი 8% ნეიტრალურადაა განწყობილი, ხოლო 5% კმაყოფილია. 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტთა უმეტესობა, პირიქით, კმაყოფილია ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით. მათ მცირე ნაწილს (3%) აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება, ხოლო 10% უკმაყოფილოა და 8% - ძალიან უკმაყოფილო კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით (იხ. დიაგრამა 3.8).

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობით უკმაყოფილოა. რაც, ერთის მხრივ, მომხმარებელთა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ნაკლებად ინფორმირებულობის შედეგია, ხოლო, მეორე მხრივ, კომპანიების მიერ

განხორციელებული ამგვარი საქმიანობების სიმცირითაა გამოწვეული. ამიტომ კომპანიებმა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული უფრო მეტი აქტივობები უნდა განახორციელონ, რათა გაზარდონ მომხმარებლის კმაყოფილების დონე.

დიაგრამა 3.8. მომხმარებლის კმაყოფილების დონე კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ



3.2. მომხმარებლის ინფორმირებულობა ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის დონისძიებებთან დაკავშირებით


კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, დაესახელებინათ მათთვის ცნობილი ქართული კომპანიები, რომლებიც მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის დონისძიებებს იყენებენ და კონკრეტულად მიეთითებინათ ამგვარი დონისძიებებიც, თუკი გაახსენდებოდათ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებმა დაასახელეს ის ქართული კომპანიები, რომლებიც მათ იციან, რომ ახორციელებენ სოციალური პასუხისმგებლობის დონისძიებებს. დასახელებულ

კომპანიებს შორის იყო რამდენიმე ბანკი: თიბისი, პროკრედიტი, რესპუბლიკა ბანკი, ლიბერთი ბანკი და საქართველოს ბანკი, აგრეთვე, შემდეგი კომპანიები: ჯეოსელი, მაგთი, ბილანი, სილქნეტი, ელიტ ელექტრონიქსი, ბარამბო, ტკბილი ქვეყანა, ბერტა, ყაზბეგი, ნესკაფე, პოპული, ვეჯინი, მირზაანი, მითანა, სასტუმრო მარიოტი, სილქნეტი, ლიკანი, პრაიმ ტაიმი, კვირის პალიტრა, ემ-გრუპი, ჯი-ემ-სი, გუდვილი, იფქლი, კოდა, ეკო-ფუდი, თოლია, დილის პროდუქტები, ბათილი, ბორჯომი, კოკა-კოლა, ეი-ბი-სი ფარმაცია, ავერსი, პე-ეს-პე, რუსთავი 2, ნატახტარი, ეკოფუდი, ვისოლი, ბი-პი, სოკარი, ჯი-პი-აი ჰოლდინგი, ეი-პი-ემ ტერმინალს ფოთი, მადნეული, ტატიშვილის კლინიკა.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს არაკომერციული ორგანიზაციები, როგორცაა: ფონდი "იავნანა", ეთიკ ფინანსები და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ზოგიერთმა რესპონდენტმა არ დაასახელა კონკრეტული კომპანია, არამედ, მიუთითა ინდუსტრია, მაგალითად, ფარმაცევტული კომპანიები, ბანკები, სატელეკომუნიკაციო კომპანიები. დასახელებული კომპანიებიდან, ზოგიერთი მათგანი და მათ მიერ გატარებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები რამდენიმეჯერ დასახელდა სხვადასხვა რესპონდენტის მიერ. დასახელების რაოდენობით და ღონისძიებების რაოდენობით ლიდერობს ჯეოსელი (იხ. დიაგრამა 3.9).

დიაგრამა 3.9. მომხმარებლის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართული კომპანიების დასახელების სიხშირე



მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების ნაწილმა დაასახელა ქართული კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, მათმა ნაწილმა ვერ გაიხსენა ასეთი ტიპის ღონისძიება კონკრეტულად. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა კი დაასახელა შემდეგი ქართული კომპანიები და მათ მიერ განხორციელებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები (იხ. ცხრილი 3.10)

ცხრილი 3.10. ქართული კომპანიების მიერ გატარებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები

კომპანია	ღონისძიებები
პალიტრა	აქციები ტყეების განადგურების წინააღმდეგ; მაკულატურის ჩაბარება
რუსთავი 2	ფონდ "იაგნანას" პარტნიორობა
ეი-ბი-სი ფარმაცია	მედიკამენტების ფასების გაიაფების ინიციატივა; ფონდ "იაგნანას" მხარდაჭერა; სპორტული კლუბები
ლიკანი	1 თეთრი თითო გაყიდული ბოთლიდან ბავშვთა სახლებს
სასტუმრო "მარიოტი"	ბავშვთა სახლების დახმარება
ეთიკ ფინანსები	მთელი მათი საქმიანობა
მირზაანი	ასაქმებდა ინტერნატების და ბავშვთა სახლების სრულწლოვან აღსაზრდელებს
გუდვილი	ქსელში იყიდება სოციალურ საწარმოში (ჯიპ ჯორჯია) გაკეთებული ნივთები და სუვენირები; ჯანსაღი კვების მხარდამჭერი; ძუძუს კბოთი დაავადებულთა მკურნალობის მხარდამჭერი
ბარამბო	სტუდენტური დასაქმების პროგრამები; საქველმოქმედო აქცია მოხუცებულთათვის
ტკბილი ქვეყანა	მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების დახმარება
სოკარი	გარემოზე ზრუნვა; სოკარენერჯიქარდი; ქველმოქმედება
ბი-პი	განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის ხელის შეწყობა

3.10 ცხრილის გაგრძელება

ვისოლი	ფონდ “იანანას” მხარდაჭერა; სოციალურად დაუცველთა დასაქმება; შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის დახმარების გაწევა; ქველმოქმედება; მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების მხარდაჭერა; მოხუცთა თავშესაფრის დახმარება; ხარისხიანი პროდუქცია (უახლესი ევროპული სტანდარტის, გოგირდისგან თავისუფალი იტალიური საწვავი) და მკაცრი კონტროლი პროდუქციასა და მომსახურების ხარისხზე; სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ბინების შეძენა
მითანა	საწარმოს მეურნეობის ჩვენება რეკლამაში; მართავენ საქველმოქმედო აქციებს
მულტი-პულტის სამყარო	გამართული კონკურსები, შეჯიბრებები
საქართველოს ბანკი	ანაბარი = ერთი ხე შიდა ქართლის რეგიონში; ხეების დარგვა მეანაბრების სახელზე; "დარგე შენი ხე"; გადაცემის "რა? სად? როდის?" სპონსორობა; მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების დახმარება; საქველმოქმედო ფონდი; "მიწაში დამარხული თანხა"; მწვანე ანაბარი
თიბისი ბანკი	ანაბარი +1% საჩუქრად +1% სოციალურად დაუცველებს; ხეების დარგვა მეანაბრების სახელზე; ღონისძიებები სხვანაირი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან დაკავშირებით; ისტორიული და არქიტექტორული ძეგლების რესტავრაცია; ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია "თიბისი გალერეას" ღონისძიებების მეშვეობით; კულტურულ სფეროში განხორციელებული ღონისძიებები; ლიტერატურული კონკურსი „საბა“; ქველმოქმედება; სპეციალური კამპანიები კლიენტთათვის და თანამშრომლებისთვის; “მადლობის კამპანია”; ანაბრების პროცენტული ნაწილის გადარიცხვა სოციალური დახმარებისთვის

3.10 ცხრილის გაგრძელება

ბანკი რესპუბლიკა	არაკომერციული პროექტების დაფინანსება; მიუსაფარ ბავშვთა დახმარება; მარჯანიშვილის თეატრის სპონსორობა; რუსთაველის თეატრის სპონსორობა
პროგრედიტ ბანკი	ეკოლოგიური აქცია რესურსების დაზოგვასთან დაკავშირებით
ნატახტარი	სოციალურად დაუცველ ბავშვებისათვის გადარიცხული თანხა; ყოველ შექენილ ბოთლ ლიმონათზე გარკვეული თანხა ერიცხებათ სოციალურად დაუცველ ბავშვებს; “საჭესთან ფხიზლად”; მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე ზრუნვა
ავერსი	დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისთვის; სოციალური დახმარება მეხუთე შვილზე; წამლებით დახმარება ხელმოკლეთათვის; პენსიონრების და მრავალშვილიანების დახმარება; სოციალურად დაუცველების დახმარება; ქველმოქმედება; სოციალურად დაუცველებისთვის უფასო მომსახურების შეთავაზება
პე-ეს-პე	ყოველი პამპერსის შექენისას გარკვეული თანხა ერიცხებოდა ბავშვთა სახლებს; აქცია მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის; მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებისთვის დახმარების გაწევა; სოციალურად დაუცველების დახმარება
ელიტ-ელექტრონიქსი	სოციალური დახმარებები
სილქნეტი	პროექტი “საშინაო სკოლა”; საბავშვო ბაღს შენობა აჩუქა
მაგთი	ფონდ “იავნანას” მხარდაჭერა; სპონსორობა ასოციაციისა “ქალები ბავშვებისა და ახალგაზრდობის მომავლისათვის”; ქართული ხელოვნებისა და სპორტის განვითარებაზე ზრუნვა; არაკომერციული პროექტების დაფინანსება; ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერა

3. 10 ცხრილის გაგრძელება

<p>ჯეოსელი</p>	<p>ფონდ “იენანას” მხარდაჭერა; იყალთოს სამონასტრო კომპლექსის აღდგენა; მზრუნველობამოკლებულთა დახმარება; არაკომერციული პროექტების დაფინანსება; მიუსაფარ ბავშვთა დახმარება; ჯეოსელის კლასები საჯარო სკოლებში; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების მხარდაჭერი; გარემოს დაცვა, ხეების დარგვა; ისტორიული ძეგლების აღდგენა; ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერა; განათლების სფეროს დაფინანსება; ბათუმში ჩატარებული ლაზური მუსიკის ფესტივალის მხარდაჭერა; 2011 წლის 1 ივნისს ბავშვებისთვის მოაწყო ღონისძიება მზიურში</p>
<p>კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი</p>	<p>სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების უსასყიდლოდ გადაცემა</p>


კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა მიერ დასახელებულ იმ ქართულ კომპანიებს შორის, რომელთა მიერ გატარებული სოციალური პასუხისმგებლობის კონკრეტული ღონისძიებები გაიხსენა რესპონდენტმა, უფრო მეტი სიხშირით დასახელდა ჯეოსელი, ავერსი, საქართველოს ბანკი და თიბისი, რაც, უდავოდ, მათი მარკეტინგის და კომუნიკაციის სტრატეგიის დამსახურებაა. თიბისი ბანკი არის საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის ერთ-ერთი ლიდერი, რაც ჩანს მათი ვებ-გვერდიდანაც. ისინი აქტიურად აწვდიან ინფორმაციას მომხმარებელს მათ მიერ გატარებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების შესახებ, რისთვისაც აქტიურად იყენებენ ინტერნეტს, მათ შორის საკუთარ ვებ-გვერდს და სოციალურ ქსელებს.

კვლევის ანალიზიდან ირკვევა ის ტენდენცია, რომ ქართველი მომხმარებლები იმახსოვრებენ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, მის კომუნიკაციას და იმახსოვრებენ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებს. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი გზაა გასავლელი, სანამ ქართველი მომხმარებლის გონებაში სათანადო ადგილს დაიკავებს ქართული კომპანიების

სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობები. ამისთვის კომპანიებს მეტი აქტიურობა სჭირდებათ.

საინტერესოა იმის ანალიზიც, არის თუ არა კავშირი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართულ კომპანიების დასახელებასა და მომხმარებლის ინფორმირებულობას შორის, თუ საიდან გაიგო რესპონდენტმა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. სტატისტიკური კროსტაბულაციური ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ იმ რესპონდენტებმა, ვინც ასახელებს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართულ კომპანიებს, ინფორმაცია სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მიიღო ინტერნეტიდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, ან/ და სპეციალიზებული ლიტერატურიდან (იხ. დიაგრამა 3.10).

დიაგრამა 3.10. სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო იმ მომხმარებლისთვის, ვინც ასახელებს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართულ კომპანიებს




ხოლო იმ რესპონდენტებმა, ვინც დაასახელა ქართული კომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საქმიანობები, ზოგადად, ინფორმაცია სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე, ინტერნეტიდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, ან/ და სპეციალიზებული ლიტერატურიდან მიიღო (იხ. დიაგრამა 3.11).

კვლევის ანალიზიდან ჩანს, რომ ის ქართული კომპანიები, ვინც მომხმარებელთან კომუნიკაციას ახორციელებენ ინტერნეტის მეშვეობით ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, უფრო მეტად აწვდიან ინფორმაციას სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მომხმარებლებს, რომლებიც იმასსოვრებენ ამ კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალური

პასუხისმგებლობის ღონისძიებებს. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციის ამგვარი სტრატეგია სწორია და მას მხოლოდ ფართო მასებზე გავრცელება სჭირდება.

დიაგრამა 3.11. სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო იმ მომხმარებლისთვის, ვინც ასახელებს ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს




ამასთან, აღსანიშნავია დამოკიდებულება ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მომხმარებლების ინფორმირებულობასა და მათთვის ცნობილი ქართული კომპანიების შესახებ, რომლებიც მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს იყენებენ. კვლევის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ის რესპონდენტები, ვისაც არ არის ინფორმირებული ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ვერც იხსენებენ იმ ქართულ კომპანიებს, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს ასორციელებენ. მაგრამ იმ რესპონდენტებიდან, ვისაც სმენია ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, მხოლოდ 31% იხსენებს იმ ქართულ კომპანიებს, რომლებიც მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს ასორციელებენ. ხოლო მათი უმეტესობა (69%) ასახელებს კონკრეტულ ღონისძიებებს (იხ. დიაგრამა 3.12).

როგორც კვლევის ანალიზიდან ჩანს, ის რესპონდენტები, რომლებიც ინფორმირებულნი არიან ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ასახელებენ კიდევ ასეთ კომპანიებს და ამასთან, მათი უმეტესობა ასახელებს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც განახორციელებს ქართულმა კომპანიებმა. ამდენად,


მომხმარებელი იმასსოვრებს არა მხოლოდ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართულ კომპანიებს, არამედ მათ სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებსაც. ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ მომხმარებელი დაინტერესებულია სოციალური პასუხისმგებლობით და აკვირდება ქართული კომპანიების ღონისძიებებს. ეს კი ადასტურებს მომხმარებლის მოთხოვნას, მიიღოს მეტი ინფორმაცია. კომპანიებისთვის ეს ტენდენცია ნიშნავს, რომ მათთვის სასარგებლოა სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები იმიჯის, რეპუტაციის და მომხმარებლის კეთილგანწყობის ასამაღლებლად, ასევე, პროდუქციის უკეთ რეკლამირებისთვის, რაც მნიშვნელოვანია კომპანიისთვის მისი ეფექტურობის, წარმატებისა და კონკურენტუნარიანობისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

დიაგრამა 3.12. დამოკიდებულება ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობასა და დასახელებულ კომპანიებსა და მათ სოციალურ ღონისძიებებს შორის



სტატისტიკური კროსტაბულაციური ანალიზის შედეგად დადგინდა კავშირები მომხმარებლის პროფესიას, საქმიანობის სფეროსა და ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობას შორის. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ ქართულ კომპანიებს, რომლებიც მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობას ახორციელებენ, ასახელებენ კვლევაში მონაწილე ის რესპონდენტები, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციაში, კერძო სექტორში, ან აქვთ საკუთარი ბიზნესი. მათგან, ყველაზე ხშირად იმ მომხმარებელმა გაიხსენა სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართული კომპანია, ვინც სახელმწიფო სექტორში ან საერთაშორისო ორგანიზაციაშია დასაქმებული. ეს აიხსნება იმით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში უფრო მეტი ინფორმაციაა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ეწყობა შეხვედრები და ტრენინგები (იხ. დიაგრამა 3.13).

დიაგრამა 3.13. კავშირები საქმიანობის სფეროსა და ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობას შორის




ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ყველაზე მეტი ქართული კომპანია დაასახელეს სახელმწიფო სექტორში მომუშავე რესპონდენტებმა, რაც ნიშნავს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებისადმი ინტერესს (იხ. დიაგრამა 3.14).


კროსტაბულაციური ანალიზის შედეგად გაირკვა დამოკიდებულება ქართული კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობასა და მომხმარებლის დასაქმების სფეროს შორის. კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე მეტი ღონისძიება დაასახელეს საერთაშორისო ორგანიზაციაში მომუშავე რესპონდენტებმა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო

და კერძო სექტორში დასაქმებულებმა დაასახელეს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართული კომპანიები, მათ მიერ დასახელებული კონკრეტული ღონისძიებები მცირე რაოდენობისაა (იხ. დიაგრამა 3.15).

დიაგრამა 3.14. კავშირი დასაქმების სფეროსა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართული კომპანიების და ღონისძიებების დასახელებას შორის



დიაგრამა 3.15. კავშირები დასაქმების სფეროსა და ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების დასახელებას შორის




ამრიგად, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულები უფრო მეტად ფლობენ ინფორმაციას ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობის შესახებ, ვიდრე სხვა სექტორში დასაქმებულები. ამასთან, ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის უფრო მეტი

ღონისძიება გაიხსენეს იმ რესპონდენტებმა, ვინც მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებში.


კვლევის ანალიზიდან ირკვევა, რომ დამოკიდებულება არსებობს სამუშაო სტატუსსა და ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობას შორისაც. კროსტაბულაციური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც მუშაობენ ხელმძღვანელის / მენეჯერის პოზიციაზე ან არიან სპეციალისტები, უფრო მეტ ინფორმაციას ფლობენ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართული კომპანიების შესახებ, ვიდრე სხვა თანამდებობაზე დასაქმებული რესპონდენტები (იხ. დიაგრამა 3.16).

დიაგრამა 3.16. კავშირი სამუშაო სტატუსსა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქართული კომპანიების დასახელებას შორის



კროსტაბულაციური ანალიზით დადგინდა ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობასა და კვლევაში მონაწილეთა სამუშაო სტატუსს შორის ურთიერთდამოკიდებულება. როგორც აღმოჩნდა, ის რესპონდენტები, რომლებიც მუშაობენ მენეჯერის პოზიციაზე ან სპეციალისტად, უფრო მეტად ფლობენ ინფორმაციას ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, ვიდრე მეწარმეები, ხოლო დანარჩენმა რესპონდენტებმა ვერც ერთი ღონისძიება ვერ გაიხსენეს. მათ შორის, მენეჯერებს უფრო მეტად აქვთ კონკრეტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ვიდრე სხვა პირებს (იხ. დიაგრამა 3.17).

დიაგრამა 3.17. კავშირები სამუშაო სტატუსსა და ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას შორის



ამრიგად, კვლევის ანალიზიდან ირკვევა, რომ უფრო მეტ ინფორმაციას ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ მენეჯერები და სპეციალისტები ფლობენ, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში.

3.3. მომხმარებლის დამოკიდებულება ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისადმი

ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხთან დაკავშირებით, გამოკითხულთა უმეტესობა (41%) სავსებით ეთანხმება იმ აზრს, რომ ქართული კომპანიების უმეტესობას უფრო აინტერესებს მოგება, ვიდრე მომხმარებელთა დაკმაყოფილება, ხოლო მათი დიდი ნაწილი (32%) სრულიად არ ეთანხმება იმ აზრს, რომ უმეტეს შემთხვევაში ქართული კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ მომხმარებლებზე. გამოკითხულთა უმეტესობა (43%) ნაწილობრივ ეთანხმება იმ აზრს, რომ ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ხარისხი უარესდება.

კვლევაში მონაწილეთა 20% მიიჩნევს, რომ რეკლამა სასარგებლოა მომხმარებელთა ინფორმირებულობისათვის. ამ აზრს უფრო ეთანხმება, ვიდრე -

არა, რესპონდენტთა 20%. მათი მხოლოდ 9% იზიარებს იმ აზრს, რომ რეკლამაში მოყვანილი ინფორმაციის უმეტესობა დამაჯერებელია. გარდა ამისა, გამოკითხულთა დიდი რაოდენობა (36%) თვლის, რომ რეკლამით შემოთავაზებული ინფორმაცია ხშირად მაცდურია, რის გამოც მომხმარებელი ვერ ღებულობს გონივრულ გადაწყვეტილებებს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ უკმაყოფილონი არიან ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ხარისხით. მათი 21% სავსებით ეთანხმება და 16% - ეთანხმება ამ განაცხადს.

გამოკითხულ მომხმარებელთა დიდი ნაწილი არ იზიარებს იმ აზრს, რომ თუ სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ რეკლამის რაოდენობა შემცირდება, ეს მომხმარებლისთვის უკეთესი იქნება. მათი 33% სრულიად არ ეთანხმება ამ განაცხადს და 42% ნაწილობრივ ეთანხმება და ნაწილობრივ არ ეთანხმება (თანაბრად) (იხ. ცხრილი 3.11).

ცხრილი 3.11. მომხმარებლის დამოკიდებულება ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხისადმი

	უმეტეს შემთხვევაში ქართული კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ მომხმარებლებზე	ქართული კომპანიების უმეტესობას უფრო აინტერესებს მოგება, ვიდრე მომხმარებელთა დაკმაყოფილება	რეკლამა სასარგებლოა მომხმარებელთა ინფორმირებულობისათვის
სრულიად არ ეეთანხმები	32%	14%	
უფრო არ ეეთანხმები, ვიდრე ეეთანხმები	25%	9%	20%
ნაწილობრივ ეეთანხმები და ნაწილობრივ არ ეეთანხმები	25%	16%	27%
უფრო ეეთანხმები, ვიდრე არა	9%	21%	33%

3.11 ცხრილის გაგარძელება

სავსებით ვეთანხმები	9%	41%	20%
	100%	100%	100%
	რეკლამაში მოყვანილი ინფორმაციის უმეტესობა დამაჯერებელია	იმის გამო, რომ რეკლამით შემოთავაზებული ინფორმაცია ხშირად მაცდურია, მომხმარებელი ვერ დებულობს გონივრულ გადაწყვეტილებებს	საზოგადოდ, ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ხარისხი უარესდება
სრულიად არ ვეთანხმები	16%	2%	5%
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	16%	21%	7%
ნაწილობრივ ვეთანხმები და ნაწილობრივ არ ვეთანხმები	41%	27%	43%
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	18%	14%	36%
სავსებით ვეთანხმები	9%	36%	9%
	100%	100%	100%
	საზოგადოდ, უკმაყოფილო ვარ ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ხარისხით	სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ თუ რეკლამის რაოდენობა შემცირდება, ეს მომხმარებლისთვის უკეთესი იქნება	


3.11 ცხრილის გაგარძელება

სრულიად არ ვეთანხმები	16%	33%
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	21%	7%
ნაწილობრივ ვეთანხმები და ნაწილობრივ არ ვეთანხმები	27%	42%
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	16%	7%
სავსებით ვეთანხმები	21%	12%
	100%	100%

მცირე განხვავებებია მომხმარებლის პასუხებში სქესის და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. მამაკაცთა უმეტესობა უფრო მეტად ეთანხმება იმ აზრს, რომ რეკლამით შემოთავაზებული ინფორმაცია ხშირად მაცდუნებელია და მომხმარებელი ვერ ღებულობს გონივრულ გადაწყვეტილებას. ამ აზრს იზიარებს 20-34 წლის რესპონდენტთა უმეტესობაც. რესპონდენტი ქალები კი უფრო მეტად იმ განაცხადს ეთანხმებიან, რომ ქართული კომპანიების უმეტესობას მოგება უფრო აინტერესებს, ვიდრე მომხმარებელთა დაკმაყოფილება. მამაკაცები ყველაზე ნაკლებად იზიარებენ იმ აზრს, რომ ქართული კომპანიები პასუხისმგებლობას იღებენ თავიანთ მომხმარებელზე, მაშინ, როდესაც ქალები, ასევე, არ ეთანხმებიან იმ განაცხადს, რომ თუ სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ რეკლამის რაოდენობა შემცირდება, ეს მომხმარებლისთვის უკეთესი იქნება.

20-დან 34 წლის ასაკის რესპონდენტები ნაკლებად იზიარებენ იმ აზრს, რომ რეკლამაში მოყვანილი ინფორმაციის უმეტესობა დამაჯერებელია. ხოლო 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები ნაკლებად ეთანხმებიან იმ განაცხადს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ თუ რეკლამის რაოდენობა შემცირდება, ეს მომხმარებლისთვის უკეთესი იქნება. ორივე ასაკობრივი ჯგუფი აღნიშნავს, რომ უკამყოფილოა ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ხარისხით (იხ. დიაგრამა 3.18).

დიაგრამა 3.18. მომხმარებლის დამოკიდებულება ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხისადმი სქესის და ასაკის მიხედვით



რესპონდენტების დამოკიდებულების დასადგენად ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხთან დაკავშირებით, 5 ბალიან სკალაზე განთავსდა მტკიცებულებები, სადაც 5 ნიშნავდა “სავსებით ვეთანხმები”, ხოლო 1 – “სრულიად არ ვეთანხმები”. ONEWAY ANOVA-ს მეთოდით კვლევა გაკეთდა ასაკობრივ ჯგუფებში: 20-24, 25-34, 35-54 და 55-ზე ზევით. კვლევის ანალიზის დადასტურა განსხვავებები ასაკობრივ ჯგუფებში და ამასთან, დადასტურა კვლევის სტატისტიკური სანდოობა (იხ. ცხრილი 3.12).

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ქართული კომპანიები ორიენტირებულნი არიან მოგებაზე მომხმარებელთა დაკმაყოფილების გარეშე და არ იღებენ პასუხისმგებლობას მომხმარებელზე. ამიტომ საჭიროა, რომ ქართულმა კომპანიებმა სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ხარისხი გააუმჯობესონ. გამოკითხულთა უმეტესობა, ერთის მხრივ, ფიქრობს, რომ რეკლამა სასარგებლოა მომხმარებელთა ინფორმირებულობისათვის, მაგრამ, ამავდროულად, მათთვის არადამაჯერებელია რეკლამაში მოყვანილი

ინფორმაცია. მომხმარებელს სურს, რომ რეკლამით შემოთავაზებული ინფორმაცია არ იყოს მაცდური და დაეხმაროს მას გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ცხრილი 3.12. ANOVA ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხთან დაკავშირებით რესპონდენტების დამოკიდებულებასა და ასაკობრივ ჯგუფებს შორის

უმეტეს შემთხვევაში ქართული კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ მომხმარებლებზე	ერთფაქტორიანი ANOVA					
		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. χ^2
	ჯგუფებს შორის	124.725	3	41.575	45.546	0.00
	ჯგუფებში	157.002	172	0.913		
	სულ	281.727	175			
ქართული კომპანიების უმეტესობას უფრო აინტერესებს მოგება, ვიდრე მომხმარებელთა დაკმაყოფილება	ერთფაქტორიანი ANOVA					
		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. χ^2
	ჯგუფებს შორის	37.385	3	12.462	6.653	0.00
	ჯგუფებში	322.161	172	1.873		
	სულ	359.545	175			
რეკლამა სასარგებლოა მომხმარებელთა ინფორმირებულობისათვის	ერთფაქტორიანი ANOVA					
		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. χ^2
	ჯგუფებს შორის	9.621	3	3.207	3.15	0.026
	ჯგუფებში	179.179	176	1.018		
	სულ	188.8	179			
რეკლამაში მოყვანილი ინფორმაციის უმეტესობა დამაჯერებელია	ერთფაქტორიანი ANOVA					
		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. χ^2
	ჯგუფებს შორის	12.578	3	4.193	3.261	0.023
	ჯგუფებში	221.149	172	1.286		
	სულ	233.727	175			

3.12 ცხრილის გაგრძელება

იმის გამო, რომ რეკლამით შემოთავაზებული ინფორმაცია ხშირად მაცდურია, მომხმარებელი ვერ ღებულობს გონივრულ გადაწყვეტილებებს	ერთფაქტორიანი ANOVA					
		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2
	ჯგუფებს შორის	83.699	3	27.9	26.363	0.00
	ჯგუფებში	182.028	172	1.058		
	სულ	265.727	175			
საზოგადოდ, ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ხარისხი უარესდება	ერთფაქტორიანი ANOVA					
		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2
	ჯგუფებს შორის	42.879	3	14.293	23.903	0.00
	ჯგუფებში	102.848	172	0.598		
	სულ	145.727	175			
საზოგადოდ, უკმაყოფილო ვარ ქართული კომპანიების მიერ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების ხარისხით	ერთფაქტორიანი ANOVA					
		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2
	ჯგუფებს შორის	84.949	3	28.316	20.753	0.00
	ჯგუფებში	234.688	172	1.364		
	სულ	319.636	175			
სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ თუ რეკლამის რაოდენობა შემცირდება, ეს მომხმარებლისთვის უკეთესი იქნება	ერთფაქტორიანი ANOVA					
		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig. F^2
	ჯგუფებს შორის	36.711	3	12.237	7.872	0.00
	ჯგუფებში	261.149	168	1.554		
	სულ	36.711	3	12.237	7.872	

კვლევის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ კომპანიებს სჭირდებათ კომუნიკაციის სტრატეგიების გადახედვა, რათა მომხმარებელმა მიიღოს მეტი ინფორმაცია დამაჯერებელი სარეკლამო საშუალებებით. გარდა ამისა, მომხმარებელი მოითხოვს მეტ ინფორმაციას ქართული კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და ამ ღონისძიებების ხარისხის გაუმჯობესებას.

3.4. მომხმარებლის დამოკიდებულება ქართული კომპანიების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივებისა და ხელის შემშლელი ფაქტორებისადმი


კვლევაში მონაწილეთა აზრით, ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივი არის საკუთარი პროდუქციის უკეთ რეკლამირება. შემდეგი მოტივი არის საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვება. ამას მოსდევს მომხმარებელთა ლოიალურობის ზრდა. ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების კიდევ ერთი მოტივი, მომხმარებელთა აზრით, არის ხელისუფლებასთან უკეთესი ურთიერთობა. რესპონდენტების 8% კი ფიქრობს, რომ ამით კომპანია ცდილობს საკუთარ პროდუქციაზე მეტისმეტად მაღალი ფასების გამართლებას, ხოლო 7%-ის აზრით, ეს არის სხვა კომპანიების გავლენა. გამოკითხულთა 6-6% კი, შესაბამისად, თვლის, რომ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივი ქართული კომპანიებისთვის არის დაბალშემოსავლიანი მომხმარებლებისათვის დახმარების გაწევა, მომხმარებლისთვის დაბალხარისხიანი პროდუქციის შეჩენება, საგადასახადო შეღავათების მოპოვება. გამოკითხულთა მცირე ნაწილს (3%) მიაჩნია, რომ ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივი არის მთავრობის ზეწოლა, ხოლო მათი უმცირესობის (2%) აზრით, ძირითადი მოტივი გარემოს დაცვაა.

გამოკითხულთა პასუხები განსხვავებულია სქესის და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. რესპონდენტ ქალთა უმეტესობის (38%) აზრით, ქართული

კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივი არის საკუთარი პროდუქციის უკეთ რეკლამირება, რასაც მამაკაცთა უმეტესობაც (28%) იზიარებს. რესპონდენტი ქალების 29% ფიქრობს, რომ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივია საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვება, რასაც მამაკაცთა 26%-იც ეთანხმება. ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივად რესპონდენტ ქალთა 16% და მამაკაცთა მხოლოდ 8% თვლის ხელისუფლებასთან უკეთეს ურთიერთობას. სამაგიეროდ, მამაკაც რესპონდენტთა 10% მიიჩნევს, დაბალშემოსავლიანი მომხმარებლებისათვის დახმარების გაწევა არის ძირითადი მოტივი, მაშინ, როდესაც ამ აზრს ქალების მხოლოდ 3% იზიარებს. ქალების 13% ფიქრობს, რომ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივი არის საკუთარ პროდუქციაზე მეტისმეტად მაღალი ფასების გამართლება, რასაც არც ერთი მამაკაცი არ ეთანხმება. მამაკაცები, ასევე, არ ფიქრობენ, რომ ძირითადი მოტივი არის მთავრობის ზეწოლა ან გარემოს დაცვა.

ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითად მოტივად 20-34 წლის რესპონდენტების უმეტესობა (44%) თვლის საკუთარი პროდუქციის უკეთ რეკლამირებას, რასაც 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტების 20% ეთანხმება. 20-დან 34 წლამდე ასაკის რესპონდენტების 34% და 35-ზე უფროსი ასაკის რესპონდენტების 18% მიიჩნევს, რომ ძირითადი მოტივია საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვება. 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტების მცირე ნაწილი (5%) მიიჩნევს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივი არის სხვა კომპანიების გაგლეჩა. ამ აზრს ახალგაზრდა რესპონდენტების ოდნავ მეტი - 8% იზიარებს. 20-34 წლის რესპონდენტების უმცირესი რაოდენობა (2%) და უფროსი ასაკის რესპონდენტების, ასევე, მცირე ნაწილი (3%) ფიქრობს, რომ ძირითადი მოტივი გარემოს დაცვაა. ორივე ასაკობრივი კატეგორიიდან, რესპონდენტების 3%-3%, მიიჩნევს, რომ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივი არის მთავრობის ზეწოლა. 20-34 წლის რესპონდენტების 8% და უფროსი ასაკის რესპონდენტების მხოლოდ 5% ფიქრობს, რომ სხვა კომპანიების გაგლეჩა არის ძირითადი მოტივი ქართული კომპანიებისთვის (იხ. დიაგრამა 3.19).

დიაგრამა 3.19. მომხმარებლის აღქმა ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივთან დაკავშირებით



ამრიგად, გამოკითხულთა უმეტესობას მიაჩნია, რომ საკუთარი პროდუქციის უკეთ რეკლამირება არის ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივი. ამას მოყვება საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვება და მომხმარებელთა ღლიალურობის ზრდა. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივი არის დაბალხარისხიანი პროდუქციის შექმნა, საგადასახადო შეღავათების მოპოვება, მთავრობის ზეწოლა ან გარემოს დაცვა. კვლევის ანალიზიდან დგინდება, რომ მომხმარებელი მოითხოვს კომპანიებისგან სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ასეთი ღონისძიებების გამოყენებას საკუთარი პროდუქციის რეკლამაში. ეს შედეგი ასევე ადასტურებს, რომ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების განხორციელება გაზრდის მომხმარებელთა

ღლიაღურობას და ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვებას.

მთავრობის ზეწოლა ან საგადასახადო შეღავათების მოპოვება არ მიაჩნია მომხმარებელს ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითად მოტივად. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში, საგადასახადო შეღავათები დაწესებული არ არის ასეთი ტიპის საქმიანობისთვის და არც მთავრობის ზეწოლას განიცდიან კომპანიები, რათა განახორციელონ სოციალური პასუხისმგებლობა. ეს მხოლოდ მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რაც აისახა კიდევ მომხმარებელთა პასუხზე სოციალური პასუხისმგებლობის მოტივებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ნაწილის აზრით, მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ძირითადი მოტივი შეიძლება იყოს სხვა კომპანიების გავლენა. ეს ხაზს უსვამს სოციალური პასუხისმგებლობის კონკურენტული უპირატესობის შესაძლებლობას. თუ კომპანია არ ახორციელებს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმიანობას და მისი კონკურენტი კომპანიები მიმართავენ ამგვარ ღონისძიებებს, ამ უკანასკნელთ აქვთ კიდევ კონკურენტული უპირატესობა სხვა კომპანიებთან შედარებით და ბაზარზე მეტი წარმატების მოიპოვების შესაძლებლობაც, რადგან მომხმარებელი კეთილგანწყობილია სოციალური პასუხისმგებლობისადმი და მოითხოვს ამგვარ ღონისძიებებს. ამასთან, მომხმარებელი ამა თუ იმ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ რეკლამას აღიქვამს, როგორც ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და არა მაცდუნებელს, შექმნილს პროდუქციის გასაღების მიზნით.

თუ კვლევის ამ შედეგს შევადარებთ 2007 წელს გაეროს პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევას [170], აღმოჩნდება, რომ განსხვავებულია მოსახლეობის აღქმა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ახორციელებენ ქართული კომპანიები სოციალურ პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევების მეთოდოლოგია განსხვავებულია, 2007 წლის კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებას სჯეროდა საშუალო და გრძელ ვადაში სოციალური პასუხისმგებლობის მომგებიანობის და აქედან გამომდინარე თვლიდა, რომ სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკის მოტივი „საზოგადოებისა და მომხმარებელთა უკეთესი დამოკიდებულების მოპოვებაა“. სინშირით მეორე ადგილზე

დასახელებული იყო „უკეთესი რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა“. ეს შედეგი ნაწილობრივ დაემთხვა ამ კვლევის შედეგს, რომლის მიხედვითაც, რესპონდენტთა უმეტესობამ სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად მოტივად საკუთარი პროდუქციის უკეთ რეკლამირება დაასახელა, მაშინ როდესაც სიხშირით მეორე ადგილზე საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვებაა.


მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაში ხელშემშლელ ფაქტორებად კი, კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა ქართული კომპანიების მხრიდან პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობას ასახელებს. შემდეგ ხელშემშლელ ფაქტორად სახელდება საზოგადოების მხრიდან ნაკლები მოლოდინი და კომპანიებში ტრადიციების არქონა. გამოკითხულთა 18% მიიჩნევს, რომ ქართული კომპანიებისთვის ხელის შემშლელია მომხმარებელთა ნაკლები ინფორმირებულობა, რათა განახორციელონ სოციალური პასუხისმგებლობა. რესპონდენტთა 14% ფიქრობს, რომ ამ გზაზე მთავარი დაბრკოლება კომპანიის ფინანსების ნაკლებობაა. ხოლო 10% თვლის, რომ ქართულ ბიზნესში არსებული პრობლემები უშლის ხელს კომპანიებს მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობაში. გამოკითხულთა უმცირესი რაოდენობის (2%) აზრით, ამის მიზეზი ხელისუფლების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერაა.

სქესისა და ასაკის მიხედვით რესპონდენტების პასუხები შემდეგნაირად განაწილდა. ქალების უმეტესობა (29%) მიიჩნევს, რომ ქართული კომპანიების მიერ მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისთვის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია საზოგადოების მხრიდან ნაკლები მოლოდინი, რასაც მამაკაცების 15% ეთანხმება. კომპანიებში ტრადიციების არქონას თვლის მთავარ დაბრკოლებად სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისთვის ქალ რესპონდენტთა 27%-ს და მამაკაცების მხოლოდ 18%-ს. ხოლო, კომპანიების მხრიდან პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობა, როგორც ხელშემშლელი ფაქტორი სოციალური პასუხისმგებლობისთვის, ქალების 27%-ს და მამაკაცების 21%-ს მიაჩნია. რესპონდენტ ქალთა უმცირესი ნაწილი (2%) ფიქრობს, რომ მთავარი დაბრკოლება ხელისუფლების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერაა, რასაც მამაკაცების ასევე უმცირესი რაოდენობა, 3%, ემხრობა. მთავარ დაბრკოლებად მომხმარებელთა ნაკლებ ინფორმირებულობას თვლის ქალების 22% და მამაკაცების უფრო მცირე ჯგუფი (10%).

20-34 წლის რესპონდენტების უმეტესობა ფიქრობს, რომ მთავარი ხელის შემშლელია კომპანიებში ტრადიციების არქონა, რასაც უფროსი ასაკის

რესპონდენტების მხოლოდ 15% ეთანხმება. მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ მიზეზი კომპანიების მხრიდან პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობაა. მომხმარებელთა ნაკლები ინფორმირებულობა დაასახელა 20-34 წლის რესპონდენტების 26%-მა და 35 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტების მხოლოდ 5%-მა. მათი უმცირესობის (3%) აზრით, ძირითადი დაბრკოლება ხელისუფლების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერაა, რასაც იზიარებს 20-34 წლის რესპონდენტების ასევე უმცირესი რაოდენობა - 2%. ქართულ ბიზნესში არსებული პრობლემები, როგორც მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისთვის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი, თანაბარი სიხშირით დაასახელა ორივე ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებმა (10% - 10% შესაბამისად) (იხ. დიაგრამა 3.20).

დიაგრამა 3.20. ქართული კომპანიებისთვის ხელშემშლელი ფაქტორი მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისთვის



კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ მომხმარებლის აზრით, ქართულ კომპანიებში, მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორები არსებობს, როგორც კომპანიის, ასევე მომხმარებლის მხრიდან. ამას, ერთის მხრივ, ხელს უშლის კომპანიების მხრიდან პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობა, კომპანიებში ტრადიციების არქონა, ფინანსური თუ ქართულ ბიზნესში არსებული პრობლემები. მეორე მხრივ კი,

ხელშემშლელ ფაქტორად სახელდება საზოგადოების მხრიდან ნაკლები მოლოდინი, მომხმარებელთა ნაკლები ინფორმირებულობა და ხელისუფლების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა. კვლევის ეს შედეგი იმეორებს 2007 წ. გაეროს პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგს [170], რომლის მიხედვითაც, საზოგადოება მიიჩნევდა, რომ საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკის სიმცირის მიზეზი კომპანიების მხრიდან ნების არარსებობაა. თუმცა, აღნიშნული კვლევის თანახმად, ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მთავრობის მხრიდან ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის წამახალისებელი სტიმულების არარსებობაა. მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად, საზოგადოების 8% ასახელებდა ფინანსების ნაკლებობას. ამჟამინდელი კვლევის შედეგად კი გაირკვა, რომ კომპანიის ფინანსების სიმცირეს, გამოკითხულთა უფრო მეტი - 14% მიიჩნევს ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად.


კვლევის ანალიზიდან ირკვევა, რომ კომპანიები არ აწვდიან სოციალურ პასუხისმგებლობას, რადგან არ არის მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან. მაგრამ, ამის მიუხედავად, კომპანიებს სჭირდებათ მეტი ინფორმაციული ხასიათის კამპანიის წარმოება, რათა აამაღლონ მომხმარებლის ცნობიერება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კომპანიებს შეუძლიათ, შექმნან სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ტრადიციები და გაზარდონ საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობა. ამით ისინი მომხმარებლის კეთილგანწყობას და ლოალობას მოპოვებენ, რაც თავის მხრივ, კონკურენტული უპირატესობის შესაძლებლობას იძლევა და მაშასადამე, მეტი წარმატების გარანტიაა გრძელვადიან პერსპექტივაში.

3.5. მომხმარებლის მოთხოვნა ქართული კომპანიებისადმი სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით

კვლევაში მონაწილეთა უმეტესობის (27%) აზრით, აუცილებელია, რომ ქართულმა კომპანიებმა ღიად წარუდგინონ საზოგადოებას მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით თავიანთი საქმიანობის

ანგარიში. მათი ნაწილი (17%) კი ფიქრობს, რომ ეს მეტ-ნაკლებად აუცილებელია. ხოლო, გამოკითხულთა 1% ამის ვერავითარ აუცილებლობას ვერ ხედავს. რესპონდენტ ქალთა 30% მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ქართულმა კომპანიებმა ღიად წარუდგინონ საზოგადოებას მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით თავიანთი საქმიანობის ანგარიში. ასევე ფიქრობს მამაკაც რესპონდენტთა 21%. მათი 15% მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებად აუცილებელია ეს, რასაც ქალების 18%-იც ეთანხმება. მამაკაცთა მცირე რაოდენობა (3%) და არც ერთი ქალი თვლის, რომ ამგვარი ანგარიშების წარდგენა საზოგადოებისთვის არ არის აუცილებელი. ამ აზრს იზიარებს 20-34 წლის რესპონდენტთა მხოლოდ 2% და არც ერთი 35-ზე მეტი ასაკის რესპონდენტი. სამაგიეროდ, მათი დიდი ნაწილი (33%) მიიჩნევს, რომ აუცილებელია ქართულმა კომპანიებმა ღიად წარუდგინონ საზოგადოებას მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით თავიანთი საქმიანობის ანგარიში, რასაც უმცროსი ასაკის რესპონდენტების 23% ეთანხმება. 20-34 წლის რესპონდენტების 24% და უფროსი ასაკის რესპონდენტების მხოლოდ 5% თვლის, რომ მეტ-ნაკლებად აუცილებელია ასეთი ანგარიშების საზოგადოებისთვის წარდგენა (იხ. დიაგრამა 3.21).

დიაგრამა 3.21. ქართული კომპანიების მიერ საზოგადოებისთვის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ანგარიშის წარდგენის აუცილებლობა



კვლევის ანალიზის თანახმად, აუცილებელია, რომ ქართულმა კომპანიებმა ღიად წარუდგინონ საზოგადოებას მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით თავიანთი საქმიანობის ანგარიში. კვლევის ეს შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს მომხმარებლის მოთხოვნას კომპანიების მხრიდან მეტი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით მათი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ამდენად, კომპანიებმა უნდა დააკმაყოფილონ მომხმარებელთა ეს მოთხოვნა, რათა მათი კეთილგანწყობის მეშვეობით წარმატება მიაღწიონ ბაზარზე.

ამასთან, კვლევამ დაადგინა, თუ რომელ საინფორმაციო წყაროს ანიჭებს უპირატესობას მომხმარებელი, რათა გაეცნოს ანგარიშს ქართული კომპანიების მიერ განხორციელებული მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უმეტესობა (32%) დამოუკიდებელ ექსპერტთა ანგარიშებს ანიჭებს უპირატესობას ასეთი ანგარიშებისა და საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. მას მოსდევს კომპანიის ვებ-გვერდი და შემდეგ ადგილზეა ტელევიზია. გამოკითხულთა 8% უპირატესობას ბეჭდურ მედიას ანიჭებს და 6% - კომპანიის წლიურ ანგარიშებს. გამოკითხულთა მცირე ნაწილი უპირატესობას კომპანიის სარეკლამო მასალებს ანიჭებს და მხოლოდ 2% - რადიოს.

2007 წელს გაეროს პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის თანახმად [170], ტელევიზიას ანიჭებდა უპირატესობას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (90%) ბიზნესის სოციალური ანგარიშების გასაცნობად. მეორე ადგილას იყო ბეჭდვითი მედია, რასაც მოსდევდა ინტერნეტი. ამ თვალსაზრისით, მცირე ცვლილებებია კვლევების შედეგებს შორის, რადგან მომხმარებელი ახლა უკვე ინტერნეტს ანიჭებს უფრო მეტ უპირატესობას, ვიდრე ტელევიზიას, რაც აიხსნება კვლევის დემოგრაფიით და ინტერნეტის მზარდი ხელმისაწვდომობით. თანდათან, სულ უფრო მეტი ადამიანი იყენებს ინტერნეტს საჭირო ინფორმაციის იოლად მისაღებად.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტი ქალების უმეტესობა (41%) და მამაკაცთა მხოლოდ 18%, ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობის ანგარიშების გასაცნობად, უპირატესობას ანიჭებს დამოუკიდებელ ექსპერტთა ანგარიშებს. ორივე სქესის რესპონდენტების თანაბარ რაოდენობას ამგვარი ანგარიშების წარსადგენად საუკეთესოდ მიაჩნია კომპანიის ვებ-გვერდი. ტელევიზიას უპირატესობას ანიჭებს ქალების 18% და მამაკაცების ოდნავ ნაკლები


რაოდენობა (13%). ბეჭდურ მედიას კი უფრო მეტი მამაკაცი (13%) ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე ქალი (5%). ქართული კომპანიების მიერ განხორციელებული მარკეტინგის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიშის გასაცნობად, ქალების 5% და მამაკაცების 8% უპირატესობას წლიურ ანგარიშებს ანიჭებს. ორივე სქესის რესპონდენტთა თანაბარი რაოდენობა (3%) აღნიშნავს, რომ ამგვარი ანგარიშებისთვის საუკეთესო საშუალება კომპანიის სარეკლამო მასალებია. რესპონდენტ ქალთა უმცირესობა (2%) და მამაკაცთა ოდნავ მეტი რაოდენობა (3%) უპირატესობას რადიოს ანიჭებს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის გასაცნობად.

